ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფიის განვითარებაზე ძალიან დიდი გავლენა იქონია საბჭოთა პერიოდმა, რომლის დროსაც თარგმანები მხოლოდ რუსულ ენაზე იქმნებოდა.

საბჭოთა პერიოდში ქართველი ახალგაზრდები უცხო ენებს რუსულენოვანი ლექსიკონებით ეუფლებოდნენ. დღეს ქართველი ახალგაზრდების უმრავლესობას არ შეუძლია რუსულენოვანი წყაროების გამოყენება და იძულებულია მიმართოს მდარე ხარისხის მოძველებულ თარგმნით ლექსიკონებს, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება. ეს ვითარება ჩვენი ახალგაზრდობის განათლებულობის დონის დაწვევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება (1, 4).

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდგომ, მიუხედავად ევროპული გეზის აღებისა,

ქართველმა ლექსიკოგრაფებმა მაინც ვერ შეძლეს საქართველოში მოქმედი რუსულ-თურქული ლექსიკონების, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა პერიოდის მოძველებულ ტერმინოლოგიას, ახალი, სამეცნიერო-ტექნიკური, თუ ხელოვნების სფეროებთან დაკავშირებული ლექსიკონებით ჩანაცვლება.

დღევანდელი ქართულ-თურქული ლექსიკონები უმეტესად ცნობარის სახეს ატარებენ და მხოლოდ ზედაპირული და მცირე საილუსტრაციო მასალის მქონე ლექსიკონით შემოიფარგლებიან. თურქული ენის მომხმარებელთა მზარდი ბაზრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კი, ეს ლექსიკონები საჭიროებენ სერიოზულ დახვეწას სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით.

თანამედროვე ეპოქაში, როცა თურქეთთან პარტნიორული თანამშრომლობის საკითხი ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებასა და ეკონომიკური კავშირების გაზრდას ემსახურება, დამეთანხმებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თურქულ-ქართული ეკონომიკისა და ბიზნესის განმარტებითი ლექსიკონები, განსაკუთრებით კი ენციკლოპედიური სახის ეკონომიკური ლექსიკონები, რომელებიც ეკონომიკური ტერმინოლოგიის უდიდეს ბაზას მოიცავენ. ამგვარი ლექსიკონი მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს ეკონომიკის სფეროში მოღვაწე მეცნიერებსა და ექსპერტებს, ინვესტორებს, სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებსა და ნებისმიერი პროფესიის ადამიანს ყიდვა-გაყიდვის, ინვესტიციის გაწვევისა და მრავალი სხვა ქმედების განხორციელებაში. ეკონომიკური ენციკლოპედიური სახის ლექსიკონი ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა თითოეული ადამიანისთვის უცხო ენაზე საჭირო ეკონომიკურ საკითხებში გასარკვევად და რაციონალური გადაწყვეტილების მისაგებად.

ეკონომიკური ურთიერთობების გარდა, თემატური ლექსიკონები უნდა მოიცავდეს ისეთ სფეროებს, რომლებიც თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში იკვეთება: პოლიტიკური, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, კულტურული და ა.შ. სწორედ ამიტომაც ორი ერის წარმატებული კომუნიკაციისათვის აუცილებელია ქართულ-თურქული თემატური და ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექნა, რომელთა დეფიციტსაც თანამედროვე თურქულ-ქართული ლექსიკოგრაფია მწვავედ განიცდის.

თურქულ-ქართული ლექსიკოგრაფიული განვითარების მაღალ საფეხურს წარმოადგენს განმარტებითი ლექსიკონების შექმნა, რომლის სიტყვა-სტატიაში ფართოდაა გაშლილი ამა თუ იმ სიტყვის კონტექსტუალური მნიშვნელობა, მისი ვარიანტული შესატყვისები, მრავალმნიშვნელოვნება და კონტექსტური განმარტებები. მნიშვნელოვანია, ასევე, ვიზუალური კონტექსტური მნიშვნელობების ჩართვა. მაგალითად, სწორი თარგმანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პოლისემიური სიტყვის კონტექსტურად მოყვანილი განმარტებები, რომლებიც სიტყვის გამოყენების მზა მაგალითს იძლევა.

ნებისმიერი ენის ლექსიკა წარმოდგენილია ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზეოლოგიზმების ერთიანობით. თურქული ენა ფრაზეოლოგიზმებით საკმაოდ მდიდარი ენაა. ამიტომ აუცილებელია თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის შექმნა, რომელიც თურქულ ენაში არსებული ფრაზეოლოგიზმების ქართული ფრაზეოლოგიური ეკვივალენტებით ჩანაცვლების საშუალებას მოგვცემს.

ლექსიკონზე მუშაობა ცოცხალი და დაუსრულებელი პროცესია. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ლექსიკონის არა მხოლოდ შედგენა და გამოცემა, არამედ მასზე დღენიადაგ მუშაობა, დახვეწა, განახლება, შევსება.

ენა და, შესაბამისად, ლექსიკოგრაფია შესისხლხორცებულია ადამიანის კულტურულ განვითარებასთან და იცვლება განვითარების ყველა საფეხურზე კულტურულ და მასზე მოლაპარაკე საზოგადოების ცვლილებათა კვალდაკვალ (2, 9).

ენის სისწორე და სიმდიდრე პირდაპირ პროპორციულადაა დაკავშირებული

ეროვნულ კულტურასთან. პირველ რიგში, ეროვნულ სულზეა დამოკიდებული თვით პრინციპი ენის განვითარებისა. კულტურული მდგომარეობა ერისა ვრცელდება ენობრივ სტრუქტურაზე და მისი ფორმის განვითარებაზე.

მოვლენები, რომელიც ხდება საზოგადოებაში, აისახება ენაში ლექსიკის კორექციის სახით, სინტაქსისა და სიტყვათა ფორმირებების ელემენტების სახით, რის შედეგადაც ენაში ჩნდება ახალი სიტყვები, ჩნდება უამრავი ახალი ეკონომიკური თუ კულტუროლოგიური უნივერსალია.

ამ უნივერსალიების სხვა ენისა და სხვა ფონური ცოდნის მატარებლისთვის გაგებინების ერთადერთ საშუალებად ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკოგრაფია გვევლინება, რომლის შექმნის ამოცანას მივყავართ თეზაურუსული, იდეოგრაფიულ-განმარტებითი ლექსიკონის კვალზე, რომელიც, როგორც ს. ნიკიტინა ამბობს, „კულტურულ-ენობრივი სურათის აღმოჩენის ინსტრუმენტად“ გვევლინება.

ქართულ-თურქული თეზაურუსი, მოცემული ენის ლექსიკური ერთეულების ამომწურავი მარაგით, ფოლკლორული და მეცნიერული ტექსტების მასალის საფუძველზე საშუალებას მოგვცემს კარგად გავიაზროთ და აღვიქვათ დაპირისპირებული ენის სიტყვათა როგორც სემანტიკური, ასევე სიტყვის მიღმა არსებული უზარაზარი ფონური სამყარო, რომელიც ერის ენობრივ და სულიერ სამყაროს წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფია ზემოწამოთვლილ ლექსიკონთა სახეობების მწვავე დეფიციტს განიცდის. არსებული ჩამორჩენის დაძლევა ლექსიკოგრაფების მხრიდან სერიოზული პროექტების დასახვასა და მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვს, ვინაიდან კარგად განვითარებული ლექსიკოგრაფია წარმატებული თარგმანისა და შესაბამისად, ორ ერს შორის არსებული ეკონომიკური-კულტურული ურთიერთობის გაღრმავების წინაპირობაა.

#### **ლიტერატურა:**

1. მარგალიტაძე თ., ლექსიკოგრაფიული ცენტრი, თბ., 2011.
2. Шаклеин В. М. Лингвокультурология, традиции и инновации. М., Изд. «Флинта», 2012.

### **Zeinab Akhvlediani** *The Development of Turkish-Georgian lexicography* **Summary**

The article deals with the Georgian-Turkish lexicography, its modern look and its current critical condition. Georgian-Turkish lexicography lacks thematic, economic encyclopedic, economics and business dictionaries. To resolve the existing difficult situation in lexicography, it is necessary to develop and implement projects, since well-developed lexicography is a prerequisite of successful translation and close economic and cultural relations between the two nations.



**Зейнаб Ахвледзани**  
***Развитие турецко-грузинской лексикографии***  
**Резюме**

В статье рассматривается грузино-турецкая лексикография, ее современный вид и текущее критическое положение. В грузино-турецкой лексикографии острая нехватка тематических, энциклопедически-экономических словарей, и бизнес словарей. Разрешение существующих проблем в лексикографии требует разработки и осуществления серьезных проектов, а также напряженной работы. Хорошо развитая лексикография является обязательным условием для успешного перевода и, следовательно, улучшения экономических и культурных отношений между двумя странами.

**Кристина Айвазян**  
(Грузия)

## **ЭКСТРАЛИНГВИСТИЧЕСКИЙ ХАРАКТЕР ЯЗЫКОВЫХ ИЗМЕНЕНИЙ**

Интенсивность общественно-политических процессов, активно протекающих в современной Европе и серьезно изменивших языковую ситуацию, повысила необходимость в социолингвистических исследованиях, в частности, в сфере социальной обусловленности языка: влияние социальных факторов на функционирование и развитие языка, на трансформацию сложившейся языковой ситуации; методологические основы новых направлений в мировом языкознании; задача исследования роли человеческого фактора в языке, вопросов о том, что связывает жизнедеятельность человека с языком, или как изменение общественно - политической ситуации меняет языковую ситуацию в языковую политику.

Будучи живым организмом, язык имеет внутренний потенциал, который «молчит», ожидая внешнего стимула. Вследствие социально «толчка», следуя внутренним законам развития языка, внутренний потенциал проявляется, и происходят изменения, затрагивая всю систему или отдельные языковые звенья. Во всей этой повседневной пестроте социальный фактор все активнее стимулирует внутренние языковые процессы, но следует отметить, что, в свою очередь, внутренние законы в языке под влиянием всего выше описанного становятся менее заторможенными. В результате, весь языковой механизм начинает работать в высокоскоростном режиме.

Через публицистику, масс-медиа и другие каналы в повседневную разговорную речь вошли слова типа *контакт, резонанс, синтез, катализатор, амплитуда, аккумуляировать, отдача, апогей, зенит, координаты* и т.д. и т.п. Трансформировавшись, они уже не воспринимаются только как научные термины. Наиболее подвержены детерминологузации точные и естественные науки. Например, у медицинского термина *инъекция* развилось зафиксированное Толковым словарем русского языка конца XX века значение: «*То, что способствует активизации, оживлению кого-, чего-либо*». В результате в финансовом разделе новостного выпуска мы можем услышать фразы типа: «*Валютные инъекции западных стран в экономику России*» или «*проблемным банкам понадобятся финансовые инъекции*» (НТВ, новостная передача «Анатомия дня»).

Каузальность языка и общества является предметом исследований многих ученых, но, несмотря на это, все же актуальна и неисчерпаема, так как изменение условий жизни общества обуславливает преобразование языковой личности. Таким образом, ученые все более углубляются в проблему связи всех уровней языка с социальным фактором.

К слову, в процессе словообразования важную роль играют модели словообразования, тип которых также меняется в процессе развития языка (Внутренние языковые законы ограничивают авторов в создании неологизмов). Одни модели, утрачивая свою основополагающую функцию – продуктивность, трансформируются, другие уступают место новым. Продуктивные модели словообразования не просто отвечают за «ословливание», они формируют картину миру носителей языка, исключая или трансформируя старые концепты и вводя новые.

Внутренние законы отражают взаимосвязь изменений во всех подсистемах языка, причем в силу различия разных языковых систем, выделяют универсальные и частные законы, характерные для конкретных языков. Развитие русского языка демонстрирует органическое сочетание общелингвистических внутренних законов языкового развития (закон эволюции, закон аналогии, закон неравномерного развития разных ярусов языковой системы) с частными законами (законы ассимиляции, диссимиляции, редукции, морфонологические законы сочетаемости и пр.). Тем не менее, вся история развития

русского языка подтверждает огромную роль экстралингвистических факторов, которые всегда оказывали сильное влияние на развитие всей языковой системы, и в первую очередь, на лексику русского языка.

Распад Советской империи, ломка привычного образа жизни, затянувшийся период перестройки с ее многочисленными этноконфликтами и экономическими кризисами усилили и процессы языковых преобразований. И как не вспомнить тут вульгаризацию русского языка в процессе «революционного» стремления создать «пролетарский» язык: в период перестройки в средства массовой информации хлынул огромный поток ранее считавшейся нецензурной лексики. Мы считаем, что новая волна вульгаризации русского языка, снижение грамматических норм, наблюдающееся в наше время, во многом вызвано и стремительными темпами технического прогресса, когда вместе с компьютером и интернетом в нашу жизнь вошли чаты, фейсбуки, одноклассники и другие социальные сети, участники которых даже бравируют сознательным попиранием языковых норм.

В живом языке процессы саморазвития соприкасаются с внешними процессами. Современная эпоха актуализировала многие языковые процессы, которые в других условиях могли бы быть менее примечательными, более сглаженными. К внешним факторам, участвующим в накоплении языком элементов нового качества, могут быть отнесены следующие: изменение круга носителей языка, распространение просвещения, территориальные перемещения народных масс, создание новой государственности, развитие науки, техники, международные контакты и т.п. Сюда же включается фактор активного действия средств массовой информации (печать, радио, телевидение), а также фактор социально-психологической перестройки личности в условиях новой государственности и, соответственно, степени адаптации ее к новым условиям (3, 9).

В последние десятилетия особенно резко изменились условия функционирования языка. Прежде всего, это касается устной публичной речи. Расширение рамок публичной речи (телевидение, радио, митинги, собрания) дало возможность приобщить к ней новые слои населения. Кроме того, и это главное, изменился сам характер речи: люди теперь не читают по бумажке написанное заранее, а говорят экспромтом. Однако, по мнению некоторых исследователей, решающим фактором в языковом развитии оказывается действие внутренних законов: дело в том, что язык является системным образованием и постоянно развивается по лингвистическим законам динамических открытых структур (1, 13).

Разделяя точку зрения Н.С.Валгиной по данному вопросу, хотелось бы все же отметить, что анализ эмпирического материала показывает разную степень интенсивности протекающих процессов в разных подсистемах языка. Самый динамичный уровень языковой системы это лексический уровень. Именно лексика и фразеология наиболее гибко реагируют на социальные изменения, ученые лингвисты не успевают фиксировать все новообразования и устаревшие элементы. К счастью, с появлением электронных словарей этот процесс ощутимо упростился, а новые словарные статьи стали появляться оперативно.

Язык находится в постоянном движении, путь его развития вплотную зависит от истории и культуры народа, причем каждое новое поколение привносит в историю, культуру, общественно - социальное устройство и образ мышления, а значит и в язык что-то новое, так как язык ориентируется и вдохновляется потребностями общества. Причем лексический уровень быстрее других уровней языка отражает изменения, происходящие в обществе, что выражается в появлении новых слов, новых значений слов.

В 90-е годы XX в. мы стали свидетелями серьезных изменений социально-культурно-политического уклада в жизни когда-то единой страны. Каждая из бывших советских республик столкнулась с политически-финансовыми проблемами, которые вылились в изменения практически во всех сферах нашей жизни. Естественно, эти изменения серьезным образом сказались на внутренней системе русского языка, в частности, на словарном составе,

словообразовательной системе и словоизменении. Указанные новшества явились толчком для изменений, к которым язык эволюционно уже был готов, они вызвали т.н. «неологический бум», который в некотором смысле продолжается и сегодня. К тому же, если учесть, что человечество стремительно умножает свои познания в разных областях науки, то стремительный рост словаря становится совершенно понятен.

Как известно, активное пополнение словаря сопровождается активной архаизацией. Е.А. Земская ставит правомерный вопрос: «Что же уходит из русского языка в последние десятилетия!» Прежде всего, по ее мнению, язык покидают бюрократические, казенные элементы. Русский язык очень долго болел тяжелой болезнью – «канцеляритом». Это слово придумал Корней Иванович Чуковский (ср.: бронхит, дифтерит). Омертвление, оскудение языка опаснее всех нынешних арг и жаргонов. Канцеляритом была заражена вся нация, все «счастливое» сообщество НОМО SOVIETIKUS. Достаточно вспомнить такие выражения, как *зеленые массивы, головные уборы, макаронные изделия и пр.* Они въелись в язык отдельных людей и всей нации (электронный ресурс: <http://linguistics-online.narod.ru/index/0-396>).

В настоящее время в словарном запасе жителей постсоветского пространства вместо *макаронных изделий* в речи молодых носителей языка, чутко реагирующих на новые веяния, встречаем лексему *паста*. Анализ лексического наполнения семантической парадигмы *кухня* продемонстрировал, что данная парадигма расширилась и преобразилась до неузнаваемости. Японское «суси», адаптировавшись в русском языке как «суши», образовало новое слово, обозначающее деятеля, приготовляющего эту пищу – *сушист* (наглядная иллюстрация закона аналогии, ср.: флорист, пианист и др.). На сайтах для поиска работ часто можно встретить объявления типа:

*Требуется повар и сушист в кафе/ресторан.*

Меню тоже весьма изменилось, стало более разнообразным, обогатилось ранее неизвестными национальными блюдами, в связи с этим рестораторы часто печатают меню с пояснениями к названиям блюд. Теперь выбирать *плов, овощной суп, жаренное мясо/овощи* и т.д. не модно. Взамен в ресторане предлагают *ризотто, минестроне, овощи гриль* т.д. Таким образом, произошло своеобразное замещение русских лексем заимствованными, но, причины такого замещения могут быть различными:

1) в некоторых случаях это вызвано уточнением семантики новой лексемы (*овощи гриль* - овощи жаренные на гриле (закон экономии);

2) с целью рекламы (экзотика привлекательна), привлечения внимания клиента (*творожный ролл – творог с мятой в листьях сулугуни* (სუღუგუნის ფორფიტები ხაჭაპოს და ზოგბოს შოგთავბით), *смузи – свежесжатый фруктовый сок с мякотью*);

3) иногда заимствования оправданны, так как они являются номинантами нового понятия (как это произошло с многочисленными компьютерными терминами): *фейсбук, гигабайт, кулер, модем* и пр.

Как правило, изменения подобного рода происходят под воздействием сразу нескольких факторов. В условиях интенсивных межкультурных взаимосвязей подобные лексико-семантические процессы приобретают большую апеллятивно-воздействующую функцию на адресат, чему способствует всеобщий интерес народа к западным веяниям, желание путешествовать. Недаром в настоящее время интенсивно развивается индустрия туризма и помимо культурного, научного, свадебного и пр. туризма, одним из самых распространенных в мире разновидностей является так называемый гастрономический туризм. Именно благодаря культурному туризму и его самой востребованной разновидности – гастрономическому туризму – многие блюда грузинской кухни: *хачапури, хинкали, сациви, боржом* и др. уже давно не воспринимаются русскими как что-то неизвестное и экзотическое. Русский язык активно впитывает в себя подобную лексику из

разных языков (например, турецкого: *айран*, *баклава*).

Естественно, перенимая обозначения реалий и лакун разных культур, язык пестрит иностранными словами. Как справедливо отмечает Н.С.Валгина, иностранное слово стало не только необходимым, нужным, но и привлекательным, престижным. В таком случае мера и избирательность в применении иноязычной лексики начинает утрачиваться. Побеждает общий настрой, мода, желание быть «наравне с веком» (1, 108). Это касается, конечно, не только кухни. Модные, удобные для современного общества лексемы, имеющие русские эквиваленты появляются во всех социально востребованных сферах жизни. Весьма яркие примеры выше сказанного привел тонкий знаток современного русского языка академик В.Г.Костомаров: *конверсия* - преобразование, *стагнация* - застой, *консенсус* - согласие, соглашение, *имидж*- образ, *коттановый* - хлопчатобумажный, *реперный* - ключевой, важный, *транспарентный*- прозрачный (2, 81-83).

Однако, по мнению Е.А.Земской, «порча» языка, о которой так много пишут, затрагивает не систему языка, а языковую способность, умение говорить. Новые условия функционирования языка, появление большого количества неподготовленных устных публичных текстов создает впечатление о росте количества ошибок. Впрочем, некоторые лингвисты полагают, что «корявость» речи выявляет «заложенные в языке тенденции развития». Язык – система самоочищающаяся. Еще недавно повсюду говорили о «консенсусе», даже – о семейном. Где это слово? Прошло несколько лет, и оно умерло. В тоталитарные времена язык засушили, ему недоставало животворной влаги, теперь – перенасытили ею. Лишняя – уйдет. Раскрепощение, возможность свободно выражать свои мысли и чувства, игры с языком и при помощи языка – вот что характерно для русского языка нашего времени. Несмотря на серьезные опасения, которые появляются после знакомства с языком современных масс-медиа, В.Г. Костомаров успокаивает носителей русского языка, более того, в одном из своих интервью он сказал: «Спасать нужно нас, а не язык» (электронный ресурс - [http://www.gramota.ru/lenta/news/8\\_2430](http://www.gramota.ru/lenta/news/8_2430)).

Вспоминается фраза о «*пропащем поколении*», которое «...улыбнулось лету, морю и солнцу - и выбрало „Пенси“» (известный рекламный слоган 90-ых, также фраза из романа Виктора Пелевина «Поколение «П», которая тонко намекает на проамериканский интерес молодежи «лихих 90-ых»). Такой интерес объясняется, в том числе, длительным подавлением естественного взаимодействия русского и мирового сообществ.

Представленный нами обзор научной литературы по теме и анализ публицистического эмпирического материала позволяет утверждать, что современный русский язык постсоветского периода характеризуется схожими явлениями ломки литературных норм, которые наблюдались в период революционных преобразований, что свидетельствует об огромной роли общественно-политических событий в развитии языка.

Интенсивное обновление лексической системы отражает большое количество экономических, общественно-политических, технических и культурных новшеств, имеющих место в жизни всего постсоветского пространства. При активизации словообразовательных процессов, самым главным поставщиком лексических неологизмов являются иноязычные заимствования (в большей степени англо-американские, в меньшей степени – из других европейских языков и из турецкого языка).

Развитие языка – органичный процесс, в котором переплетены как внешние, так и внутренние законы языкового развития.

### ***Литература:***

1. Валгина Н.С. Активные процессы в современном русском языке. Москва, 2003.
2. Костомаров В. Г. Языковой вкус эпохи. Москва, 1994.

3. Русский язык конца XX столетия. Москва, 2000.
4. Электронный ресурс - [http://www.gramota.ru/lenta/news/8\\_2430](http://www.gramota.ru/lenta/news/8_2430).
5. Электронный ресурс: <http://linguistics-online.narod.ru/index/0-396>.

**ქრისტინა აივაზიანი**  
**ლინგვისტური ცვლილებების ექსტრალინგვისტური ბუნება**  
**რეზიუმე**

თანამედროვე ევროპაში განვითარებულმა ინტენსიურმა სოციო-პოლიტიკურმა მოვლენებმა, რომლებმაც გამოიწვიეს ლინგვისტური მდგომარეობის დრამატული მოდიფიკაცია, თავის მხრივ, განაპირობეს სოციოლინგვისტური კვლევების გაზრდის საჭიროება, განსაკუთრებით შემდეგი მიმართულებებით: სოციალური ფაქტორების გავლენა ენის განვითარებასა და ფუნქციონირებაზე, არსებული ლინგვისტური მდგომარეობის ტრანსფორმაცია, მსოფლიო ლინგვისტიკის განვითარებისათვის ახალი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ენაში ადამიანური ფაქტორის, ადამიანის საქმიანობის ენასთან კავშირის, ლინგვისტურ მდგომარეობასა და ენობრივ პოლიტიკაზე სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაში ცვლილებების გავლენის შესწავლა.

**Kristina Ayvazyan**  
***Extralinguistic nature of the linguistic changes***  
**Summary**

The intensive socio-political developments in today's Europe, which led to dramatic modification of the linguistic situation, have increased the need for sociolinguistic research, particularly, in social factors of language, such as the impact of the social factors on functioning and development of the language, transformation of the existing linguistic situation; methodological basis for new developments in the world linguistics. The aim of the research is to study the role of the human factor in the language, what links the human activity to the language, and the effect of the changes in the social and political situation on the linguistic situation and language policy.

Being a live organism, the language has an internal potential which is 'silent' and waits for the external stimulus. In the result of a social 'push', and following the internal laws of the language development, the internal potential of the language emerges and changes occur, affecting the entire system or some levels of the language.

მანანა ღამბაშიძე  
(საქართველო)

მარჯვენა ველის სატელიტები სახელურ ფრაზაში  
გერმანული პროზის მასალაზე

სახელური („ნომინალური“ – სახელს მიკუთვნებული (1, 709)) ელემენტები ასახელებენ ყველა საგანს, რომლებიც ზმნით არიან შეკავშირებული. თითოეულ ნომინალურ ელემენტს შეუძლია იყოს ფრაზის ბირთვი. აქედან გამომდინარე, თითოეული სიტყვათა კლასისათვის მნიშვნელოვანია ფრაზის მაწარმოებელი შესაძლებლობების და ფორმების დადგენა.

„სახელური ფრაზა განსაზღვრება როგორც სახელისა და მასზე დამოკიდებული წევრებისაგან შემდგარი წინადადების ნაწილი“ (2, 926).

სახელური ფრაზის წრფივი სტრუქტურა ორდინარული და მყარია. უ. ენგელი გვაძლევს სახელური ფრაზის შემდეგ სტრუქტურულ ფორმულირებას: არსებით სახელს სახელურ ფრაზაში აქვს შუა პოზიცია (Mittelstellung), მისგან წარმოიშობა მარცხენა და მარჯვენა ველი (linkes Feld, rechtes Feld) (3, 289). რიგ გრამატიკოსებთან ანალოგიური მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინები: წინაველი, შუაველი, ბოლოველი (Vorfeld, Mittelfeld, Nachfeld – დუდენი, ზომერფელდი, შრაიბერი (4, 25)). არსებითი სახელის შესაძლო სატელიტების გათვალისწინებით თვალსაჩინო ხდება სახელური ფრაზის მარჯვენა ველის მდიდარი სტრუქტურა. სახელურ ფრაზაში მარჯვენა ველის სატელიტები გაცილებით მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ვიდრე „მარცხენა ველის“ სატელიტები (5, 26-37).

მარჯვენა ველში ობლიგატორულად თავსდება:

წინდებულებიანი განსაზღვრებები

დირექტიული განსაზღვრებები

ექსპანსიური განსაზღვრებები

ნომინალური განსაზღვრებები

ვერბატიული განსაზღვრებები

კვალიტატიური განსაზღვრებები

სიტუაციური განსაზღვრებები

კომიტატიური განსაზღვრებები

მიმართებითი განსაზღვრებებითი დამოკიდებული წინადადებები დანართი.

აქვე ფაკულტატიურად განთავსდება:

მართული განსაზღვრებები (Genitivattribute)

ვარიანტული არსებითი სახელი

ინვარიანტული არსებითი სახელი.

ჩამონათვალში პირველი ხუთი განსაზღვრება აქტანტია. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები და მართული განსაზღვრებები არიან აქტანტები და თავისუფალი წევრები. დანარჩენი განსაზღვრებები თავისუფალ წევრებს წარმოადგენენ.

ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებების გარდა არსებობენ ელემენტები, რომლებიც მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება მარჯვენა ველში. უპირველეს ყოვლისა, ესენია ტიპურად პრეპოზიციური დეტერმინანტები და ზედსართავი სახელები.

დღეს უკვე თითქმის გამონაკლისის გარეშე პრეპოზიციური დეტერმინანტები,

ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე, არსებითი სახელის შემდეგაც თავსდებოდა. დღეს ისინი მხოლოდ პოეტურ და ძველ ტრადიციულ ტექსტებში მოიპოვება: *Kindlein mein* (ხალხური სიმღერა), *Vater unser* (ახალი აღქმა)

„პოსტპოზიციური დეტერმინანტი ყოველთვის მხოლოდით რიცხვშია, მაშინაც კი, როცა ბირთვი მრავლობითშია“ (3, 293).

იგივე ითქმის მარჯვენა ველის სატელიტ-ზედსართავ სახელზეც, რაც ითქვა დეტერმინანტზე. ძველ გერმანულ ენაში ზედსართავი სახელები შეუზღუდავად თავსდებოდა მმართველი წევრის შემდეგ. ასეთ გამოყენებას უმეტესად ვხვდებით ხალხურ სიმღერებში და პოეტურ ტექსტებში. იგი მე-19 საუკუნის ხალხური პოეზიის წყალობით კვლავ აღსდგა.

*ein Magdelein fein.*

*Kaiserkron und Päonien rot (Eichendorf) (6, 612).*

*Bruderlein fein* (სუფრული სიმღერა).

*Kinderlein zart* (ხალხური სიმღერა) (3, 293).

მაგრამ თანამედროვე გერმანულ ენაშიც არსებობს მიღებული წესები ზედსართავი სახელების პოსტპოზიციური გამოყენებისათვის. გამოვეყოფთ შემდეგ შესაძლებლობებს:

1) ზედსართავი სახელის (უფლექსიო) პოსტპოზიციის შედარების გამომხატველ ელემენტებში.

*Es kann ja nicht wahr sein, dachte ich, so viele Kilometer*

*kann das Auto ja gar nicht gefahren sein* (7, 54).

ამ კონსტრუქციის გვერდით დასაშვებია:

**Kilometer, so viele,** kann das Auto ja gar nicht gefahren sein.

მეორე ფორმულირება ემსახურება ზედსართავი სახელის გამოყოფას.

2) ზედსართავი სახელის (უფლექსიო) პოსტპოზიციის განკერძოებულ განსაზღვრებაში:

*Das Bild von Togo, bunt und groß,*

**flach,** wie ein alter Stich, ein prachtvoller Druck (7, 52).

3. ზედსართავი სახელის (უფლექსიო) პოსტპოზიციის კომპლექსურ მიმართებებში, რომლებიც ნაწილობრივ უცხო ენებიდან არის ნასესხები:

*Campari bitter,*

*Henkel trocken.*

*Rache rauchzart* (6, 612).

4. ზედსართავი სახელის (უფლექსიო) პოსტპოზიციის საბაზრო სამომხმარებლო საგნების აღნიშვნებში:

*Cola light*

*Damone mild*

*Dornfelder trocken* (3, 294).

5. ზედსართავი სახელის პოსტპოზიციის ტიპურია რეკლამასა და განცხადებებში.

*Damen - Hosenanzug, hochmodisch, sportlich, pflegeleicht* (8, 332).

6. ზედსართავი სახელი არტიკლთან ერთად განკერძოვდება პოეზიაში, სალაპარაკო ენაში, გასაკიცხ სიტყვებში.

*Der Kerl, der verrückte!* (8, 332).

როგორც გრამატიკოსები აღნიშნავენ, დასახელების ეს მეთოდი, რომელიც არ არის ახალი, დღესდღეობით ძალიან პოპულარულია. შვაბი დიასახლისები მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ყიდულობდნენ: „*Siedfleisch überzwerch*“, ან



„österreichischer Kaffee verkehrt“, რაც მოძველებულად გვეჩვენება, იმდენად, რომ დღეს თუ „Hackfleisch gemischt“ მოვითხოვთ ან „Spargel überbacken“ ვუკეთავთ, იმ ძველ საპატივსაცემო ტრადიციებში ვტრიალებთ. როგორც უ. ენგელი აღნიშნავს, „ექვვარეშეა, მეთოდი შემდგომ სივრცეს მოიპოვებს და რადგან ის არა მარტო ახალგაზრდებში, არამედ ინტელექტუალებშიც ძალიან პოპულარულია, შესაძლოა ის ნომინალური სფეროს სტრუქტურირების წინასაფხურს წარმოადგენდეს, რომლის ბოლოს ზედსართავი სახელი პოსტნომინალურ ადგილს იკავებს“ (3, 294).

ანალოგიურ თვალსაზრისს გამოთქვამს კრისტა დიურშიდიც: „საბოლოოდ შესაძლებელია ამ პოსტნომინალური განსაზღვრებითი კონსტრუქციიდან ახალი სიტყვათაწყობის ნიმუში ჩამოყალიბდეს“ (9, 294).

სახელურ ფრაზაში მარჯვენა ველის გავრცელებულ სატელიტს წარმოადგენს **მართული განსაზღვრებები (Genitivattribute)**. ისინი პროტოტიპურად (თუკი არ ფუნქციონირებენ როგორც პრეპოზიციური მართული განსაზღვრებები), ნომინალური ბირთვისაგან მარჯვნივ თავსდებათ. ექსპლიკატორული ნათესაობითი კი გამონაკლისის გარეშე პოსტპოზიციურია, ანუ არასდროს არის პრეპოზიციური განსაზღვრება. შემანტიკურად მართული განსაზღვრებები იყოფა:

1) კუთვნილებითი ნათესაობითი (Genitivus Possessivus), იგი თავისუფალ წევრს წარმოადგენს, პარტიტური ნათესაობითის ჩათვლით.

2) სუბიექტური ნათესაობითი (Genitivus subiectivus);

3) ობიექტური ნათესაობითი (Genitivus obiectivus).

4) ექსპლიკატორული ნათესაობითი (Genitivus explicativus).

**კუთვნილებითი ნათესაობითი** გადმოსცემს კუთვნილებით მიმართებებს.

Iohannes trat schnell **in die Firma meines Onkels** ein (7, 151).

..aber immer sah ich vor mir **das hoffnungslose Porzellan Gesicht des Zwerges** (7, 113).

..denn sie hatten **die andere Hälfte des Bildes** mit einem Zettel überklebt (7, 52).

..sie haben etwa **die Länge einer halben Elle** (7, 92).

...und ich sah eine Frau, die auf mich wirkte, wie eins jener unbeschreiblichen Lichter, die **die düsteren Bilder Rembrandts** erhellen“ (7, 8).

**Ein Mensch der Antike**, der im Mittelalter hätte leben müssen (10, 19).

რადგან პირველ ორ ნომინალურ ფრაზაში არ გვაქვს პარტიტური მიმართება, ეს ნათესაობითი ბრუნვა საშუალებას იძლევა შეიცვალოს კუთვნილებითი დეტერმინანტი:

seine Firma

sein Gesicht.

მაგრამ პარტიტური მიმართების არსებობის გამო დაუშვებელია:

\* seine Hälfte.

\* sein Mensch.

პარტიტური რელაციის დროს კუთვნილებითი დეტერმინანტით ჩანაცვლება მხოლოდ ნაწილობრივია შესაძლებელი.

schwache Stellen des Programms → (7, 142).

→ seine schwachen Stellen.

თუ არ არსებობს ცხადი ფლექსიური ნიშნები კუთვნილებითი ნათესაობითი ჩანაცვლებადია von-წინდებულებიანი ფრაზით.

ein Wort Hallers → (10, 19).

→ ein Wort von Haller.

Heimat Hallers → (10, 11).

→ Heimat von Haller.

მარჯვენა ველის კუთვნილებითი ნათესაობითი კომბინირებადია მარჯვენა ველის სხვა განსაზღვრებებთან და განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებასთან.

...und klemmte es an die Tür des Hilfsregisseurs der Hörspielabteilung (7, 221).

**Das Lachen Afrikas, weißes, rotes, gelbes Lachen** (7, 142).

Sie sehen das rührende Profil eines römischen Jünglings, der von der Liebe überwältigt wurde (7, 197).

**Ein Mensch der Antike, der im Mittelalter hätte leben müssen** (10, 19).

**სუბიექტური ნათესაობითი** ბრუნვის განსაზღვრებები, როგორც მისი სახელწოდებაც აღნიშნავს, მიმართულია წინადადების სუბიექტზე:

Die Spannung der Zuschauer ← (7, 27).

← Die Zuschauer spannen.

Das Schießen der Luxemburger ← (7, 76).

← Die Luxemburger schießen.

Ohne Wissen des Chefs ← (7, 137).

← Der Chef weiß es nicht.

Das unheimliche, wimmelnde Geräusch des gespannten Publikums (7, 26).

← Das gespannte Publikum rauscht.

სუბიექტური ნათესაობითი ტექსტთან მიმართებით (უკვე მოხსენიებულის) კუთვნილებითი დეტერმინანტით შეცვლის შესაძლებლობას იძლევა:

Die Spannung der Zuschauer → ihre Spannung.

Das Schießen der Luxemburger → ihr Schießen.

Ohne Wissen des Chefs - Ohne sein Wissen.

თუ არ არსებობს ცხადი ფლექსიური ნიშნები, სუბიექტური ნათესაობითი იცვლება წინდებულებიანი ფრაზით. სუბიექტური ნათესაობითი კომბინირებადია მარჯვენა ველის სხვა განსაზღვრებებთან:

**Die Meinung der Menschen über gewisse Dinge** (7, 114).

Ich zog mir den Zorn des Bezirkschefs des Reichsjagdgebrauchshundverbands zu (7, 41).

**ობიექტური ნათესაობითი** მიმართულია „წინადადების „ობიექტზე“ – კერძოდ, ბრალდებითი ბრუნვის დამატებაზე.

Die Gründung einer politischen Partei ← (7, 129).

← Man hat die politische Partei gegründet.

Befragen aller Bevölkerungsschichten ← (7, 114).

← Man hat alle Bevölkerungsschichten befragt.

eine kurze Schilderung des Milieus ← (7, 116).

← Man hat das Milieu geschildert.

Die Entwicklung seines Geschäfts ← (7, 126).

← Er hat sein Geschäft entwickelt.

ობიექტური ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრება ტექსტთან მიმართებაში (უკვე მოხსენიებულის) კუთვნილებითი დეტერმინანტით შეცვლის საშუალებას იძლევა:

Die Gründung der Partei → (7, 129).

→ ihre Gründung

Die Anschaffung dieses wertvollen Möbelstückes → (7, 121).

→ seine Anschaffung.

Verkennung der ökonomischen Fakten → (7, 202).

→ ihre Verkennung.

გამოკვეთილი ფლექსიური ნიშნების არარსებობის შემთხვევაში ობიექტური ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრება შეიძლება შეიცვალოს **von**-წინდებულიანი ფრაზით. ობიექტური ნათესაობითი კომბინირებადია მარჯვენა ველის სხვა განსაზღვრებებთან, თუმცა სუბიექტურ ნათესაობითთან თანხვედრა გამორიცხულია.

Die Herstellung **eines riesigen Postens Kerzen** (7, 92).

Seine Pläne schwankten zwischen ..und **der Gründung einer politischen Partei, die Europa vor dem Untergang bewahren würde** (7, 129).

**ექსპლიკატორული (განმარტებითი) ნათესაობითი** ბრუნვის განსაზღვრება გეხვედება სახელებთან, რომლებიც არამატერიალურს აღნიშნავენ. გამოჰყოფს რა მათ ძირითად შინაარსს, იგი განმარტავს არამატერიალურ სიდიდეებს.

Friseursen, Buchhaltern .. neide ich **die Einfachheit ihrer Bekenntnisse** (7, 141).

Onkel Freds Ankunft weckte in uns allen **die Erwartung starker männlicher Hilfe** (7, 128).

..die Leute, wenn sie **die Angst des Untergangs** ergriffen hat, die merkwürdigsten Dinge zu retten versuchten (7, 18).

..und ich kam hin und wieder **in den Verdacht der Unehrllichkeit** (7, 122).

ექსპლიკატორული ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრების შეცვლა კუთვნილებითი დეტერმინანტით იშვიათადაა შესაძლებელი, მაგრამ როგორც წესი, შესაძლებელია დეტერმინანტებით **dieser** ან **ein solcher**.

**diese Einfachheit, eine solche Einfachheit; diese Erwartung, eine solche Erwartung.**

ექსპლიკატორული ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებები კომბინირებადია მარჯვენა ველის სხვა განსაზღვრებებთან, მაგრამ არაკომბინირებადია ნათესაობითი ბრუნვის სხვა განსაზღვრებებთან.

მარჯვენა ველის სატელიტს წარმოადგენენ **წინდებულიანი განსაზღვრებები**.

წინდებულიანი განსაზღვრებები აქტანტს წარმოადგენენ და არამონაცვლეობითი ფორმით გეხვედება მხოლოდ არსებით სახელებთან, რომლებიც არამატერიალურ სიდიდეებს აღნიშნავენ, კერძოდ მოქმედებას ან მდგომარეობას.

„მნიშვნელოვანი არსებითი სახელების ფაკულტატიური წინდებულიანი აქტანტებია:

Ähnlichkeit mit	Meinung über/zu
Angebot an	Misstrauen gegenüber
Angriff gegen	Preis für
Angst vor	Rat an, für
Auswahl unter/zwischen	Schande für
Bedarf an	Schauer vor
Bitte um	Spaß an
Dank an, für	Stellungnahme zu
Drohung mit	Stolz auf
Forderung nach	Streben nach
Furcht vor	Treu zu
Lust auf	Trost für
Gruß an	Übergabe an
Interesse an für	Urteil gegen/über/zu
Liebe zu	Verdacht auf/gegen
Lob für, wegen	Wunsch nach
Mahnung an, wegen	Zerwürfnis mit

Meldung an  
Zutrauen zu და სხვა<sup>1</sup> (3, 297).

Zustimmung zu

Ich habe ihm **einen Brief mit einer Mahnung an Zahlungsfrist** gesandt (11, 856).  
Ich habe **eine Mahnung aus der Bücherei wegen Rückgabe des Buches** erhalten (11, 856).

Meinung über/zu

Es interessiert mich, **ihre Meinung darüber/dazu**, (12, 424)

...ich sah zum ersten Mal in ihren Zügen **Ahnlichkeit mit jenem Foto**  
eines hübschen liebevollen Mädchens (7, 10).

Franz also war es, der sich **von der Teilnahme an gewissen Feiern** ausschloß (7, 146).

Wenn auch in unserer Familie im allgemeinen **kein Mangel an Barmitteln** herrscht (7, 169).

..und **auf der Suche nach der Hausnummer** blieb ich vor einem  
Kolonialwarenladen stehen (7, 116).

Tatsächlich will ich die Verwandtschaft ..auf die möglichen Auswirkungen **dieser  
ungewöhnlichen täglichen Erregung auf die kindlichen Gemüter**  
aufmerksam machen (7, 182).

**Ein scharfer Appetit auf saure Gurken** befiel mich ganz plötzlich (7, 183).

**Der Verbrauch an Kerzen, Spekulatius, Marzipan** (7, 170).

Denn trotz aller Vorsicht ist natürlich **der Verschleiß an Zwergen,  
Ambossen und Hämmern** enorm (7, 169).

..und nicht einmal **der Vorrat an Bürsten und Stopfwohle**  
war mehr verhebblich (7, 202).

...eine Jahreszeit, in der meinen Verwandten **die Teilnahme  
an diesem Spiel** am schwersten fällt (7, 176).

Nie hat ein Mensch **ein tieferes Bedürfnis nach Unabhängigkeit** gehabt, als er (10, 32).

„...wir sind bemüht, ..**die Meinung der Menschen über gewisse Dinge** zu erforschen“ (7, 114).

..aber letzten Endes siegte **Angst vor den Schulaufgaben** (7, 191).

..alte Käuferinnen..., die **ihren Bedarf an Band und Litzen in Ellen** verlangen (13, 77).

**Die Sehnsucht nach einem frisch duftenden Kaffee, nach Taback, Brot und Eiern und  
der wohligen Wärme**, die der Schnaps ..hervorrufft (7, 200).

Mit ihm wuchs **meine Glaube an die Genesung meines Kameraden** (14, 77).

Ich hatte **Angst vor der Schrägerei** (7, 254).

**Die Ähnlichkeit der anwesenden Mimen mit den Verwandten**

die sie darstellten, war .. erschreckend (7, 181).

Onkel Franz, der als **ein Muster an Vitalität** galt (7, 147).

**Der Bedarf an Kerzen** ist heute gering (7, 92).

ყველა წინდებულის განსაზღვრებაში ნომინალური ბირთვით გამოხატული ფორმების გვერდით შესაძლებელია ფორმები ნაცვალსახელური ბირთვით და წინდებულის ნაცვალსახელებით:

Die Meinung über gewisse Dinge (7, 114) – Die Meinung **darüber**.

Die Ähnlichkeit mit den Verwandten (7, 181) – die Ähnlichkeit **mit ihnen**.

მრავალი წინდებულის განსაზღვრება მონაცვლეობს დამოკიდებულ წინადადებასთან ან ინფინიტიურ კონსტრუქციასთან:

<sup>1</sup> ორ წინდებულს შორის მძიმე ნიშნავს, რომ შესაძლებელია ერთდროულად ორი განსაზღვრება მოცემული წინდებულებით. წინდებულებს შორის ხაზი მიუთითებს, რომ შესაძლებელია მხოლოდ ერთი განსაზღვრება მოცემული წინდებულებით.

Mit ihm wuchs **meine Glaube an die Genesung meines Kameraden** → (14, 77).

→ Mit ihm wuchs meine Glaube, **daß mein Kamerad geniest.**

Ich hatte **Angst vor der Schlägerei** → (7, 254).

→ Ich hatte **Angst zu schlagen.**

წინდებულებიანი განსაზღვრებები კომბინირებადია არსებითი სახელის ყველა სხვა განსაზღვრებასთან. ისინი მარჯვენა ველში თავსდება ხშირად ნათესაობითი ბრუნვის განსაზღვრებიდან მარჯვნივ.

**Die Meinung der Menschen über gewisse Dinge** (7, 114).

**Die Ähnlichkeit der anwesenden Mimen mit den Verwandten** (7, 181).

ბევრი მათგანი შესაძლოა მოსცილდეს ნომინალურ ბირთვს და წინადადებაში წინაველში მოთავსდეს.

**Der Bedarf an Kerzen** ist heute gering (7, 92).

→ **An Kerzen** ist heute **der Bedarf** gering.

Jeder wird begreifen, daß ich **wenig Neigung zum Lachen** verspüre (7, 143).

→ Jeder wird begreifen, daß ich **zum Lachen wenig Neigung** verspüre.

ნომინალურ ფრაზაში მარჯვენა ველის გავრცელებულ სატელიტს წარმოადგენს **ინვარიანტული არსებითი სახელი**. იგი აქტანტია და თავის მოსახელე „პრე-ნომინალურ განსაზღვრებასთან“ (5, 33) მხოლოდ ერთი საერთო აქვს. იგი სახელადი ბირთვის ბრუნების დროს უცვლელი რჩება. სხვა მხრივ მას, მარცხენა ველის ინვარიანტულ სახელთან შედარებით, სხვა შინაარსი აქვს.

ინვარიანტული არსებითი სახელი გამოხატავს შემდეგ შინაარსებს:

„ადამიანთა სახელები და მეტსახელები

გეოგრაფიული სახელები

დროითი ერთეულების სახელები

მასალა – ტიპის აღნიშვნები“ (3, 198).

ნომინალური ბირთვი კი აღნიშნავს ტიტულს, ფუნქციას, ნათესაობით კავშირებს, მიმართვა არსებით სახელებს, სივრცის და დროის ცნებებს, გვარს, სახეობებს, სიდიდეს, ზომას. ყველა ეს ნომინალური ბირთვი პრენომინალური არსებითი სახელისაგან განსხვავებით არტიკლთან ერთად ფუნქციონირებს.

Mein Onkel Franz (7, 166) – Meines Onkels Franz.

Der Name Meixner (7, 119) – des Namens Meixner.

Die Firma Soderdum (7, 166) – Der Firma Soderdum.

Sein Schwager Karl (7, 172) – Seines Schwagers Karl.

Das Stück Seife (7, 273) – Des Stückes Seife.

Ein Glas Gurken (7, 172) – Eines Glases Gurken.

Ein Stück Seife (7, 268) – Eines Stückes Seife.

Eine Menge Orden (7, 189) – Einer Menge Orden.

Ein Stück Brot (7, 253) – Eines Stückes Brot.

Die Dosis Luminal (7, 155) – Der Dosis Luminal.

Ein hables Pfund Margarine (7, 196) – Eines hablen Pfundes Margarine.

Einige Zentner Seife (7, 201) – Einiger Zentner Seife.

Eine Tasse Tee (7, 240) – Einer Tasse Tee.

Eine Menge Wasser (7, 56) – Einer Menge Wasser.

Ein Glas Wein (7, 104) –. Eines Glases Wein.

Die Frau Hösslin (13, 32) – Der Frau Hösslin.

Meine Tante Milla (7, 153) – Meiner Tante Milla.

Mein Vetter Johanes (7, 161) – Meines Veters Johanes.  
Der Herr Frohwein (13, 32) – Des Herrn Frohwein.  
Ein Kürbel Wasser (7, 108) – Eines Kürbels Wasser.  
Eine Menge Leute (13, 102) – Einer Menge Leute.  
Ein ganzes Faß Wein (7, 130) – Eines ganzen Faßes Wein.  
Ein Stück Blech (7, 246) – Eines Stückes Blech.  
Der Ministerpräsident Pelzer (7, 187) – Des Ministerpräsidenten Pelzer.  
Eine Becher Elsässer (10, 26) – Eines Bechers Elsässer.  
Diese Frau Kaschnitz (13, 29) – Dieser Frau Kaschnitz.  
Der Staatsphilosoph Dr. Bleigoeth (7, 87) – Des Staatsphilosophen Dr. Bleigoeth.  
Der Herr Rektor (7, 78) – Des Herrn Rektor.  
Die Schule „Friedrich der Große“ (7, 57) – Der Schule „Friedrich der Große“.

მიმართებები მარჯვენა და მარცხენა ველში გვიჩვენებს, რომ ორივე ველში უცვლელი ელემენტი ინვარიანტული არსებითი სახელია, ცვლადი ელემენტი ფრაზის ბირთვი. მხოლოდ პოზიციაა განსხვავებული. მარცხენა ველში ბირთვი დგას მეორე ადგილზე, მარჯვენა ველში პირველ ადგილზე.

**ვარიანტული არსებითი სახელი** მარჯვენა ველში აქტანტს წარმოადგენს და იცვლება ნომინალურ ბირთვთან ერთად. ვარიანტული არსებითი სახელი წარმოადგენს მმართველი პირის დანამატს, რაოდენობისა და ზომის აღმნიშვნელ სახელებში კი მასალაზე მინიშნებებს გამოხატავს.

- und ich hatte nur fünf Wörter .. entgegengesetzt **Wilhelm der Zweite** (7, 251)  
(ხშირად იწერება Wilhelm II.).

Ja, sagte ich, „Lohengrin“ und Anna von Cleve, eine der Frauen **Heinrichs des Achten** (7, 247).

**Ein Becher Elsässer und ein Stück gutes Brot**, das ist die beste aller Mahlzeiten (10, 26).

ფლექსიურობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც ვარიანტულ არსებით სახელს, თავის მხრივ, განსაზღვრება ახლავს თან:

Ich versuchte sie **zu einer Flasche guten Wein** einzuladen (10, 70).

ნომინალურ ბირთვსა და ვარიანტულ არსებით სახელს შორის, რომელიც მმართველ პირთა სახელებთან გამოიყენება, ბრუნვის შეთანხმებები განსაკუთრებით მკაცრად დაცულია. რაოდენობის და ზომის აღმნიშვნელი სახელების შემდეგ განსაზღვრება შესაძლებელია უცვლელი დარჩეს.

**zu einer Flasche guter Wein** einzuladen.

ნომინალურ ფრაზაში მარჯვენა ველის სატელიტს წარმოადგენს **დირექტიული განსაზღვრებები**. ისინი აქტანტს წარმოადგენენ და ფუნქციონირებენ არსებით სახელებთან, რომლებიც გზას, მიმართულებას, გადაადგილების საშუალებებს, მიზანმიმართულ მოქმედებას აღნიშნავენ.

Die Straßen waren leer, **der Weg zum Revier** nicht weit (7, 84).

„**Personenzug nach Köln** fünfundneunzig Minuten Verspätung“ (7, 12).

- es war .. **eine breite viergleisige Brücke über den Rhein** (7, 37).

Morgens ging ich .. zum Bahnhof und fuhr **mit dem Achttuhrzug nach Gründerheim** (7, 37).

Ich stieg **in den Zug nach Düsseldorf** (7, 113).

დირექტიული განსაზღვრებები ასახელებენ მიზანს, წარმომავლობას ან მიმართულებას. უმეტეს შემთხვევაში, როგორც მაგალითებიდან ჩანს, მათ აქვთ წინდებულიანი ფრაზის სახე. შეძლებისდაგვარად გვხვდება ზმნიზებებიც ან წინდებულნი ანაფორა.

**ein Stück weit** ließen wir uns vom Strom der Menge mittragen (7, 21).

Als es mir endlich gelungen war, eine Weile in „**Sophiens Reise von Memel nach Sachsen**“ zu lesen (10, 49).

ღირექტიული განსაზღვრებები ნაწილობრივ ენაცვლება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებს:

Personenzug nach Köln (7, 12) – Personenzug, **der nach Köln fährt**.

Eine Brücke über den Rhein (7, 37) – Eine Brücke, **die über den Rhein führt**.

მარჯვენა ველის სატელიტია **ექსპანსიური განსაზღვრებები**. ისინი აქტანტებს წარმოადგენენ და ფუნქციონირებენ მხოლოდ იმ არსებით სახელებთან, რომლებიც გაერცობას, მოძრაობას ან კვანტიტატიურ ცვლილებებს აღნიშნავენ. ექსპანსიური განსაზღვრებები, გამონაკლისის გარეშე, რაოდენობის აღმნიშვნელები არიან და როგორც წესი, იწარმოებიან **von** ან **um** წინდებულებით:

..alles war **ein absoluter Trümmerhaufen von Zirka acht Meter Höhe** (7, 124).

Die Tür, zu der **eine Freitreppe von drei Stufen** emporführte (7, 38).

მარჯვენა ველის სატელიტს წარმოადგენს **ნომინალური განსაზღვრებები**. ისინი ფუნქციონირებენ ისეთ არსებით სახელებთან, რომლებიც მოქმედებას ან საქმიანობას გამოხატავენ და იწარმოებიან **als**-ნაწილაკიანი მიმართებებით. ნომინალური განსაზღვრებები განმარტავენ არსებით სახელებს რეალიზებული აგენსის ან სუბკატეგორიის საშუალებით:

Franz also war es, der **..das Ganze als Getue und Unfug** bezeichnete (7, 146).

**Philosophie als ein Zeichen beginnender Liberalisierung** (7, 87).

ნომინალური ფრაზის მარჯვენა ველში თავსდება **ვერბატიული განსაზღვრებები**, რომლებიც აქტანტს წარმოადგენენ და ფუნქციონირებენ ზოგიერთ დევერბატიულ სახელთან. ვერბატიული განსაზღვრებები არსებობენ მხოლოდ წინადადების ფორმით – ძირითადად როგორც დამოკიდებული წინადადებები ან ინფინიტიური კონსტრუქციები. ისინი მარჯვენა ველში სრულიად მარჯვნივ თავსდება:

Ich hatte auch damals **Angst, über die Brücke zu fahren** (7, 38).

.. ich hatte Angst und doch **die volle Gewißheit, nicht zu stürzen** (7, 28).

**კვალიტატიური განსაზღვრებები** თავისუფალ წევრს წარმოადგენს და მარჯვენა ველში თავსდება ძირითადად წინდებულების: **mit, aus, in, von** თანხლებით:

Draußen stand **ein Mann mit einer Glatze** (7, 24).

Wanderburn war **ein großer Dichter mit dunklem Haar, einem sympathischen Gesicht** (7, 235)

**Ein kleines Haus aus roten Backsteinen** (7, 112).

Straßenseite war nur **mit einer hohen Mauer aus Quadern** bebaut (7, 105).

**Ein kleines Mädchen im Nachthemd** stürzte sich auf die Fensterbank (7, 119).

Hinter ihm sah ich **ein hutloses Mädchen in einem bräunlichen Mantel** (7, 100).

Und jedesmal saß auf dieser Freitreppe **ein kleines Mädchen von neun oder zehn Jahren** (7, 38).

Der Steppenwölfe war **ein Mann von annähernd fünfzig Jahren** (10, 4).

კვალიტატიური განსაზღვრებები ნათესაობით ბრუნვაში იშვიათად გვხვდება და როგორც უ. ენგელი აღნიშნავს „**კველი გამოყენების ნიმუშს წარმოადგენს**“ (3, 300).

..wir sanken erschöpft **in ein Schlafwagenabteil zweiter Klasse** (7, 190) → თანამედროვე ფორმებია **in die zweite Klasse** → **in der zweiten Klasse** ist noch Platz (12, 348).

**Ein Mann mittleren Alters** → თანამედროვე ფორმებია **Er ist (er steht)**

im mittleren Alter (12, 58)

ნომინალურ ფრაზაში მარჯვენა ველის სატელიტია **სიტუაციური განსაზღვრე-**

ბები, რომლებიც თავისუფალ წევრს წარმოადგენენ და გვხვდებიან ზმნიზედის ან წინდებუდიანი ფრაზის ფორმით:

Immer noch kniete **das junge Mädchen da** mit bedecktem Gesicht (7, 107).

..und **der Mann oben** ging mit dem Terborch wieder zurück (7, 264).

**Die große schwarze Tafel dort** verriet lediglich die Abfahrt eines Zuges (7, 96).

Selbst **diese billigen Drucke an den Wänden**, diese süßlichen Bilder, waren wie ausgehängte Anklagen (7, 9).

...ich erkannte sofort **das kleine Mädchen von damals** (7, 45).

Im Licht ...versuchte ich zu lesen, **sein rotes Plakat an der Stange** (10, 29).

**კომიტატიური განსაზღვრებები** ფუნქციონირებენ მარჯვენა ველში, როგორც თავისუფალი წევრები, უმეტესად წინდებუდიანი ფრაზების ფორმით. გამოიყენება წინდებულები: **mit** ან **ohne**.

**Der Arzt mit einem studentischen Kragen** (7, 65).

**Das Kriegerdenkmal mit dem großen, goldenen Eisernen Kreuz** (7, 51).

..und **der Mann mit der roten Mütze** schrie (7, 12).

**Menschen ohne Persönlichkeit, ohne starke Prägung, ohne Schicksal** (10, 33).

**Tage ohne besondere Schmerzen, ohne besondere Sorgen, ohne eigentlichen Kummer, ohne Verzweiflung** (10, 20).

**მიმართებითი დამოკიდებული წინადადებები** წინადადების ფორმის განსაზღვრებებია და ფუნქციონირებენ ნებისმიერ არსებით სახელთან. როდესაც რამდენიმე განსაზღვრება იყრის თავს, ისინი მარჯვენა ველში უკიდურესად მარჯვნივ მდებარეობენ.

Das dreizehnte große Messer stak wie ein tödlicher Pfeil dort, **wo das Herz des Mannes hätte sein müssen** (7, 19).

Anblick der schwebenden Vögel, **die vergebens aufschossen und niederstürzten** (7, 81).

Ein grauverhangener Horizont über öden Äckern, **die niemand bestellt** (7, 5).

დამოკიდებული წინადადებების ეს სახეობა უმეტეს შემთხვევაში „მიმართებითი ნაცვალსახელით“ იწყება, რომელსაც ორმაგი ფუნქცია აქვს: „დამოკიდებული წინადადება არის სუბიუნქტი მთავარი წინადადების არსებით სახელთან და ამავე დროს დამოკიდებულ წინადადებაში გააჩნია განსაზღვრული სინტაქსური ფუნქცია“ (3, 156). ტენიერმა კი, რათა აეხსნა მიმართებითი ნაცვალ-სახელების ორმაგი ბუნება დაჰყო ისინი „ტრანსფერმად“, რომლის ფუნქცია სუბიუნქტია და „ანაფორულად“, რომელიც ფუნქციონირებს დამოკიდებულ წინადადებაში, როგორც სინტაქსური წევრი (15). ტრანსფერმი ზედაპირზე არ ჩანს, მაშინ როდესაც ანაფორა ნაცვალსახელია, კერძოდ ჩვენებითი ნაცვალსახელი.

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით მიმართებითი დამოკიდებული წინადადებები აღიწერება იმ მარტივ ელემენტებთან მიმართებაში, რომლებსაც ისინი ცვლიან. მიმართებითი დამოკიდებული წინადადებები, როგორც აქტანტები, ფუნქციონირებენ ძირითადად როგორც სუბიექტური ნათესაობითი.

**Die Erwartung und die Stimmung des Publikums** (10, 9)

= Die Erwartung und die Stimmung, **die das Publikum äußerte**.

**die rätselhafte Fremdheit Hallers** = (10, 9).

= die rätselhafte Fremdheit, **die Haller verspürte**.

მიმართებითი დამოკიდებული წინადადებები, როგორც თავისუფალი წევრები, ნებისმიერ არსებით სახელს შესაძლოა დაერთოს.

**Das niedrige Dach, dessen Traufe ich mit der Hand erreichen konnte**, war mit rostigen Blechplatten geflickt (7, 7).



Es war eines jener **mit vielen Taschen benährten Stoffetuis, in denen unsere Mütter ihr Aussteuerbesteck aufzubewahren pflegten** (7, 17).

Aber ich brauche oben **einen Widerstand, wo das Ding gegensschlägt und seinen Schwung verliert** (7, 14).

Links stand ein kleines, wie **plattgedrücktes Haus, wie es sich Arbeiter nach Feierabend bauen** (7, 6).

..wir bogen **in die dunkle Quergasse, wo die grelle Lichtreklame der "Sieben Mühlen" sich im glitzenden Asphalt spiegelte** (7, 21).

Итак, ребенок – главная ценность жизни. Детям Д.Кабдылгазина посвятила немало детских сказок, рассказов. Но... в текстах миниатюр Д.Кабдылгазиной отсутствуют дети в качестве самостоятельных объектов художественного творчества или собственно героическо-участников активного акта действий. Если находить образы детей в гендерном творчестве этого автора, то мы можем обнаружить их только в эпизодах, в качестве упоминаний-уточнений ситуаций. Как, например, в миниатюре «Домохозяйство (грусть)»:

«- Чем занимается ваша жена?»

- Она дома. С ребенком.

- А-а, - говорят многие, а сами думают: и что она целый день делает, дармоедка?».

Или в миниатюре «Уйти»: «Лиля хотела уйти из дома в ночь, оставив мужа и детей. Лишь бы не видеть, не слышать, не знать – НЕ ПРИНАДЛЕЖАТЬ».

В рассказе «Каша, одуванчик и Каштан» дочери упоминаются при описании соседской собаки: «Мои дочери как видят его, чуть с ума от восторга не сходят, кличат его, гладят его красивую шерсть...» (2). И еще один раз в этом же рассказе при «нечаянно» зашедшем разговоре о будущем, но и здесь информация о детях не снимает сюжетно-тонального напряжения: «Никто не застрахован» подумалось. У нас в семье две дочери – мы замужем, родители одни. Помогаем, конечно, как можем, но я – далеко. У меня две дочери, какие они будут?» (2).

Пожалуй, единственное произведение, в котором обозначено повествование о ребенке как ценности женской жизни, является миниатюра «Материнство». И опять рассуждения о материнском счастье даны в противопоставлении счастью отцовскому:

«Вот оно материнское счастье: каждый день видеть маленькое чудо – первых улыбок, шагов и слов. И чувствовать настоящую и самую что ни на есть взаимную любовь. Вдыхать сладкий запах за ушком, чистое как ветер детское дыхание, прижимать к себе нежное, как цветок создание. Забывать обо всем под переливчатый детский смех. А что такое отцовское счастье?.. Примерно, то же самое. Но только понятия такого не существует...».

Детская жизнь со всеми её радостями и бытом дарит автору не один художественный образ-метафору, образ-эмоцию, сентенцию-откровение о себе самой. Но пришедшие во взрослое творчество, эти составляющие детской жизни (каша по утрам, детские носки, игрушки, походы в игровые центры, прогулки ) разворачиваются в текстах Д.Кабдылгазиной безотносительно к детям и с большим или меньшим оттенком грусти. Как, например, надувной гелевый пингвин, купленный детям в один из воскресных выходов в развлекательный центр (2):

«И еще я стала думать, что мы похожи: я и надутый гелием пингвин. Я тоже летаю себе под потолком и смотрю с восторгом и завистью, как другие умело решают проблемы: выбивают тебе липовую прописку, заказывают автобусы, чтобы организовать досуг твоим детям в школе, не боятся начинать свой бизнес. А я пока только умею летать. И только под потолком. И только, если меня потянут за веревочку» (2).

В более поздних текстах Д.Кабдылгазиной можно увидеть уже неточечное присутствие детей, девочки иногда приходят в тексты в качестве равных героев-собеседников. И тогда у читателя появляется возможность откорректировать образ самой героини, в один момент пытающейся постичь несколько явлений, прожить несколько жизней. Детское взрослеющее сознание принимает это материнское отстранение как вполне обычное и знакомое состояние:

«- Ма-а-ам... - Дочка заглядывает в лицо матери. Видя её отстраненный взгляд, дочка больше не пристаёт: она не дожидается ответа прямо сейчас...» (6).

Трудно назвать эту форму жизни параллельной, т.к. автор не успевает жить в двух действительностях – собственно своей, непереказуемой внутренней, и обусловленной внешним миром. Процесс авторефлексии героини настолько активен, что её сознание не успевает отразить образы окружающей действительности, превратить их в эмоции, и героиня как-будто отстает в своей реакции на жизнь.

Её собственно авторское сознание погружено в какую-то иную действительность, иногда невидимую окружающим, а чаще всего непонятную. И здесь знаменательна фраза, которой автор заканчивает рассказ «Точка»:

«Возвращайся, - говорил муж, склонившись над ней, когда Жанна уже вторые сутки отказывалась выходить из комнаты, скрючившись и уткнувшись в спинку дивана, - где б ты ни была, возвращайся».

Из знакомых констант женского (да и не только) творчества остается одна, самая вечная категория любви. Возможно, она проявится в малой прозе Д.Кабдылгазиной и удержит ее от распада? Но рассуждения на эту тему встретятся только в миниатюре «Материнство» относительно праведности материнской любви и несуществующей отцовской. В остальных контекстах это слово не встречается, оно как будто вычеркнуто из лексики автора.

В миниатюре «Домохозяйство (радость)» читаем строки, похожие на признание в любви: «Ты относишься к нему, как к королю, чтобы он относился к тебе, как к королеве ...ты и вправду чувствуешь себя королевой . Ты – центр маленькой галактики, что может замедлить ход, если что-то не так с тобой. Настроение, здоровье, внешний вид людей в твоём мире во многом зависит от тебя. И все твои желания – закон. Пусть твой мир

маленький, но туда всегда хочется вернуться из мира большого, чтобы забыть о нем до утра, наслаждаясь теплом и спокойствием».

Но вот что странно, в художественной галактике Д.Кабдылгазиной никак не собираются воедино все любящие. Вот как в этой миниатюре: есть король-Он и королева-Она, но нет детей. В миниатюре «Материнство», казалось бы, собрался заветный треугольник отец-мать-ребенок, но и в этом тексте героиня отталкивает супруга, отказывая ему в отцовском счастье: «А что такое отцовское счастье?... понятия такого не существует» (8).

В более поздних миниатюрах и рассказах читатель начинает понимать, что не семья и не отдельные члены ее вызывают душевную смуту героини творчества Д.Кабдылгазиной, а невозможность полного выражения себя. Именно тогда и появляется метафора короткого одеяла: «Быть работающей мамой – все равно, что укрыться коротким одеялом. Какая-то часть всегда жертва – то дети, то работа. Захочешь успеть всё - скрючишься» (9).

Без самообмана героиня Д. К. общается только с собой или с мнимым собеседником. Она находит образы-сравнения, признается в существующих конфликтных ситуациях только в тех художественных текстах, в которых из живых людей только она одна. И тогда признания героини ошеломляют своими откровениями: «Пусть в моем микрокосме уютно, пусть радостно от детей, но мне душно и тошно. Тошно от того, что жизнь уходит... она уходит безвозвратно, и ты остался замершим эмбрионом, скрюченным в неразорванной оболочке своих давних стремлений и целей...» (6).

Семантика метафор-автохарактеристик, редко встречающихся в текстах, или ущербна, или странна: пингвин под потолком, замерший эмбрион, «тряпица, намотавшаяся на ось колеса], единственный пешеход, недо (недомама, недожена, недохозяйка).

Возникает логичный вопрос: что могло стать причиной такого отстранения женщины от семьи и общества? Менталитет восточной молчуньи? Снохи? Стихи Д.Кабдылгазиной более откровенны, чем проза:

Фильтрую воздух через нос,  
Фильтрую мысли через губы –  
Уже не ставлю на поднос  
Душевных изливаний кубок.  
Уже не тянет в облака  
Беспечною стрелой взмываться.  
Веревка быта так крепка –  
Молчит прирученная птица (Келин).

Или так проявляется разрыв между еще действующим укладом семьи, требующим от женщины беззаветного служения, и уже изменившимися общественными правилами хорошего тона, опять требующими от женщины вовлеченности в общественную жизнь? Ищу подтверждения или опровержения в стихах этого же автора – и нахожу: «Жизнь стала похожей на детали из разных пазлов под названиями: «Дом», «Семья», «Работа». Вроде все складывается, но то детали не состыковываются, то картинка выходит удручающей...» (10).

Или...?

Еще одну подсказку дает сама автор в рассказе «Снова дорога». В её обращении к воображаемому (а может быть, и к реальному собеседнику) есть место сомнениям:

«... Мне кажется, что стоит рассказать тебе, что я вижу сейчас, что чувствую. Если мне хорошо и спокойно, то пусть часть этого состояния будет и с тобой. И если вдруг рассказанное оживёт перед твоими глазами, то это будет почти всё равно, что мы прошлись вместе. /.../ Но я немного рискую. Ведь если ты поднимешь меня на смех или просто не поймешь, завтра это дорога уже не будет только «моей». Она станет вроде как тобой «поругана», а мне придется по ней всё так же ходить каждый день и корить себя за глупость.

Но, самое главное, вряд ли мне захочется что-либо ещё тебе «рассказывать»...(4).

Мои стихи  
Пусть редки  
И плохи.  
Не метки,  
Но легки,  
Как в банке  
Мотыльки.  
Держу их взаперти –  
К тебе им нет пути (11).

Не в этом ли опыте таится еще одна причина того, что главным приемом рассказывания о себе в малой прозе Д.Кабдылгазиной является утаивание главного от себя?

### *ლიტერატურა:*

1. Мелешко Т. Современная отечественная женская проза: проблемы поэтики в гендерном аспекте (ЗАКЛЮЧЕНИЕ. Типологические особенности современной Отечественной женской прозы). // [http://www.a-z.ru/women\\_cd1/html/br\\_zakl.htm](http://www.a-z.ru/women_cd1/html/br_zakl.htm)
2. Кабдылгазина Д. Каша, Одуванчик и Каштан // [http://prosa.kz/ru/prose/miniature/23712.diana\\_kabdilgazina.kasha-oduvanchik-i-kashtan](http://prosa.kz/ru/prose/miniature/23712.diana_kabdilgazina.kasha-oduvanchik-i-kashtan)
3. Кабдылгазина Д. Пингвин под потолком // [http://proza.kz/kz/prose/miniature/29148.diana\\_kabdilgazina.pingvin-pod-potolkom](http://proza.kz/kz/prose/miniature/29148.diana_kabdilgazina.pingvin-pod-potolkom)
4. Кабдылгазина Д. Снова дорога// [http://proza.kz/ru/prose/out-of-genre/48379.diana\\_kabdilgazina.snova-doroga](http://proza.kz/ru/prose/out-of-genre/48379.diana_kabdilgazina.snova-doroga)
5. Кабдылгазина Д. Мои четыре удивления// [http://proza.kz/ru/prose/out-of-genre/41011.diana\\_kabdilgazina.moi-chetire-udivleniya](http://proza.kz/ru/prose/out-of-genre/41011.diana_kabdilgazina.moi-chetire-udivleniya)
6. Кабдылгазина Д. Недо-// [http://proza.kz/ru/prose/out-of-genre/34590.diana\\_kabdilgazina.nedo-na-konkurs](http://proza.kz/ru/prose/out-of-genre/34590.diana_kabdilgazina.nedo-na-konkurs)
7. Кабдылгазина Д. Уйти. // [http://proza.kz/ru/prose/out-of-genre/43615.diana\\_kabdilgazina.uiti](http://proza.kz/ru/prose/out-of-genre/43615.diana_kabdilgazina.uiti)
8. Кабдылгазина Д. Вумен-сапиенс // [http://proza.kz/ru/prose/essay/20175.diana\\_kabdilgazina.vumen-sapiens](http://proza.kz/ru/prose/essay/20175.diana_kabdilgazina.vumen-sapiens)
8. Кабдылгазина Д. Записки бывшей домохозяйки // [http://proza.kz/ru/prose/out-of-genre/45721.diana\\_kabdilgazina.zapiski-bivshei-domohozyai](http://proza.kz/ru/prose/out-of-genre/45721.diana_kabdilgazina.zapiski-bivshei-domohozyai)
9. Кабдылгазина Д. Здравствуй// [http://proza.kz/ru/poetry/vne-zhanra/42307.diana\\_kabdilgazina.zdravstvui](http://proza.kz/ru/poetry/vne-zhanra/42307.diana_kabdilgazina.zdravstvui)
10. Кабдылгазина Д. Мои стихи // [http://proza.kz/ru/poetry/vne-zhanra/19660.diana\\_kabdilgazina.o-chem-ya-tebe-molchu](http://proza.kz/ru/poetry/vne-zhanra/19660.diana_kabdilgazina.o-chem-ya-tebe-molchu)

**ჟანა ტოლისბაევა**  
**რაზე ვდუმვარ შენთან, ან დიანა კაბდილგაზინას შემოქმედების**  
**ზოგიერთი თავისებურებანი**  
**რეზიუმე**

ოთქმის ორი ათწლეულია ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღების ობიექტს რუსეთში და, შედარებით ახლახან – ყაზახეთში, ქალთა პროზა წარმოადგენს. ყაზახი ქალი, რომელმაც შედარებით ცოტა ხნის წინ დაიწყო შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, შევიდა ლიტერატურულ სივრცეში საკუთარი (მეზო-

ბელი სლავურისგან განსხვავებული) სტილით, ხელწერითა და ხასიათით. სტატიის სახელწოდებად შერჩეულია ახალგაზრდა და, უდავოდ, ნიჭიერი მწერლის დიანა კაბდილგაზინას ერთი ლექსის სათაური. მისი მინიატურები ავტობიოგრაფიულია, რაც დასტურდება ავტორი-მთხრობელის იდენტიფიკაციითა და ლირიკული (სწორედ ლირიკული) გმირით. იმ იშვიათ ტექსტებშიც კი, სადაც სიუჟეტი წარმოდგენილია მესამე პირის მიერ, ვლინდება ნაცნობი ყოფითი და ფსიქოლოგიური გარემო. დიანა კაბდილგაზინას მინიატურა - ეს არის „გაუხსნელი კვირის“ ჟანრი; ეს არის ქალთა ემოციის წამიერი დაბადების, კონტროლქვეშ აყვანის და ჩახშობის მოწმე და თვითმხილველი.

**Janna Tolysbaeva**  
***What I am silent with you about, or some aspects of the creativity features***  
***of Diana Kabdylgazina prose***  
**Summary**

For nearly two decades the attention of literary critics in Russia and more recently - in Kazakhstan- has been concentrated on prose of women writers. A Kazakh woman, who more recently began her artistic and public way, entered the literary space with her own (and very different from the neighboring Slavic) handwriting style. As the title of the article we selected a header of one of the poems of a young and undoubtedly talented writer Diana Kabdylgazina. Her storiottes are autobiographical, which is evidenced by the identification of the author-narrator and the lyric (namely lyric) heroine. Even in the rare texts, where the story is narrated by a third part, one can guess the familiar household and psychological surroundings. Storiotte of Diana Kabdylgazina represents the genre “unopened bud”; it is the witness and the onlooker of the rising, controlled and crushing female emotions.

## თამარ ჩოკორაია

(საქართველო)

### არსენა, როგორც ისტორიული და კოლექტიური მეხსიერების ნაწილი

(მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ მიხედვით)

*(სტატია დაიწერა პროექტის – „კოლექტიური მეხსიერების ფორმირების პროცესი ქართულ ისტორიულ პროზაში (მე-20 საუკუნის 20-60-იანი წლები)“ – ფარგლებში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით)*

სტატიის კვლევის საგანია მიხეილ ჯავახიშვილის ისტორიული რომანი „არსენა მარაბდელი“. არსენა მარაბდელი პოპულარული სახეა ქართულ კოლექტიურ მეხსიერებაში, რომელიც ფოლკლორული წყაროებიდან იღებს სათავეს. საინტერესოა მისი ტრანსფორმაცია ისტორიულ რომანში და რა გავლენა მოახდინა მწერლის ინდივიდუალურმა ხედვამ კოლექტიურ მეხსიერებაზე. გასათვალისწინებელია, ასევე, ნაწარმოების შექმნის სოციოპოლიტიკური კონტექსტი, თუ რატომ და როდის მოხდა ამ ისტორიული პერსონაჟის აქტუალიზება.

მ. ჯავახიშვილმა „არსენა მარაბდელის“ წერა 1925 წელს დაიწყო და 1932 წელს დაასრულა. ისტორიული რომანი ასახავს XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოს ისტორიას. მწერალმა ხალხური წყაროებისა და XIX საუკუნის ისტორიული რეალიების შესწავლას ხანგრძლივი პერიოდი მოანდომა, ვინაიდან იმ დროისათვის მრავალი საკითხი ჯერ კიდევ არ იყო გამოკვლეული (13). მ. ჯავახიშვილმა გამოიყენა ფოლკლორული მასალა და არსენას სახის ორიგინალური ინტერპრეტაცია შესთავაზა მკითხველს. ისტორიულ რომანში არსენა ბევრად უფრო რთული პერსონაჟია, ვიდრე ხალხური ლექსებიდან არის ცნობილი.

არსენას ხალხურ წყაროებზე მსჯელობის დროს დავეყრდნობით ზ. კიკნაძის ნაშრომს – „ქართული ხალხური ეპოსი“ (2011 წ.), რომელშიც საფუძვლიანად არის შესწავლილი „არსენას ლექსის“ ჩვენამდე მოღწეული ვარიანტები. ხალხური არსენას პროტოტიპი რეალური პიროვნებაა, რომელიც XIX საუკუნის I ნახევარში ცხოვრობდა. შესაბამისად, მის შესახებ დაწერილი ლექსები XIX საუკუნის II ნახევრიდანაა შექმნილი. პერსონაჟი იმდენად პოპულარული ყოფილა, რომ ხალხური ლექსის უამრავი ვარიანტი დაგროვდა. როგორც მკვლევარი ზ. კიკნაძე აღნიშნავს, არსენას პერსონაჟი ტრადიციული ეპიკური გმირია (6, 104). „არსენას ლექსს“ აგრძელებდნენ მოხეტიალე მესტერეები. ხოლო ხალხური ლექსი პირველად დაბეჭდა ნ. ყიფიანიმა. დღევანდელი პუბლიკაციები, ძირითადად, პ. უმიკაშვილის ვერსიას ეყრდნობა. პირველად სწორედ მან შეისწავლა ხალხური ვარიანტები, შეაჯერა და ეპოსის სახე მისცა (6, 105). არსენა მარაბდელის სახე მწერლობაშიც პოპულარულია. ა. წერეთელს ეკუთვნის დრამა „არსენა“, ა. ყაზბეგსაც აქვს ამავე სახელწოდების დრამა, ი. ჭავჭავაძის პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ნახსენებია არსენა, რომელიც იბრძვის ჩაგვრის წინააღმდეგ. არსებობს აგრეთვე ამ თემაზე შექმნილი უამრავი ლექსი (10, 42). ამის მიუხედავად, ვ. ბარნოვი აღნიშნავდა, რომ არსენა ოძელაშვილზე ვრცელი ფორმატის ნაწარმოები შექმნილი არ იყო (2, 14-15). მ. ჯავახიშვილამდე ამ თემაზე შეიქმნა მუნჯი კინოს

ნიმუში „არსენა ყაჩაღი“ (რეჟისორი ვ. ბარსკი). ხოლო ისტორიული რომანის პუბლიკაციის შემდეგ გამოვიდა გახმოვანებული ფილმი „არსენა“, რომლის რეჟისორიც იყო მ. ჭიაურელი.

მ. ჯავახიშვილის ისტორიული რომანის „არსენა მარაბდელის“ დასრულების შემდეგ, 1933 წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში მოაწყო დისკუსია თემაზე – „არსენა მარაბდელი“, სადაც მოხსენებით გამოვიდა არაერთი კრიტიკოსი. დისკუსიაზე იმსჯელეს ისტორიული რომანის ღირსება-ნაკლოვანებებზე. აღნიშნული პოლემიკა მით უფრო საინტერესოა თუ გავითვალისწინებთ მ. ჯავახიშვილის მისამართით გამოთქმულ მუქარას: „მ. ჯავახიშვილიც არ იქნება მივიწვებელი, რომელმაც ბოლო დროს თავი შეაფარა „არსენა მარაბდელის“ თემატიურ მასალს, ეს სრულიადაც არ ხსნის ბრძოლის წარმოების აუცილებლობას მის წინააღმდეგ“ (8). ამ ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტს, თუ როგორ მიიღებდა საბჭოთა კრიტიკა ისტორიულ რომანს (დისკუსიის მასალები აღებულია შ. აგლაძის ნაშრომიდან „მიხეილ ჯავახიშვილი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, თბ., 1993). დისკუსიაზე ს. ხუნდაძემ აღნიშნა: „ზოგიერთი ისტორიული მოვლენა ისეთ ასპექტში არის ასახული, რომელიც არ იძლევა ამ მოვლენის და მოძრაობის სწორ ისტორიულ გაგებას... „არსენა მარაბდელში“ არა ისტორიული „სინამდვილე“ მეტყველებს, არამედ თვით ავტორის მორალურ-ესთეტიკური იდეები, რომელიც ისტორიულ დოკუმენტალობას თავისებურ იდეალისტურ სამოსელში ასახავს. ეს მომენტები ამჟღავნებენ იმას, რომ ავტორმა ვერ შესძლო სავსებით დაუფლება ნამდვილი რეალიზმის მეთოდისა“ (12). შ. რადიანი მსჯელობს ნაწარმოებში „იდუური ხასიათის შეცდომებზე“. მისი აზრით, მწერალი არ არის კრიტიკული ისტორიის მიმართ და სცდება რეალიზმის ჩარჩოებს: „არსენა მარაბდელში“ მ. ჯავახიშვილი შორდება რეალისტურ ისტორიზმს, მასში ისტორია ხშირად მოხიანს მხოლოდ, როგორც დეკორატიული ფონი“ (9). ბ. ბუაჩიძე აღნიშნავს: „რომან „არსენა მარაბდელში“ მ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი, ყოველმხრივ და ყველა საკითხში, უცხო იდეურ „მემკვიდრეობისაგან“, იდეურ ბურჟუასაგან, ნაციონალიზმისაგან და ზოგჯერ ისტორიულ სინამდვილის აშკარა დამახინჯებისაგან“ (4).

აღნიშნული ამონარიდები კარგად ასახავს 30-იან წლებში მ. ჯავახიშვილის გარშემო შექმნილ ატმოსფეროს. ნაწარმოები უნდა შექმნილიყო სოცრეალიზმის „ესთეტიკით“, ავტორს უნდა გაეტარებინა იდეოლოგიური კლიშეები, წინ წამოეწია ხალხის თემა, კლასობრივი ბრძოლა. როგორც ჩანს, სწორედ ამ ნიშნით აარჩია ავტორმა არსენას თემა. საბჭოთა კრიტიკის შეცდომაში შესაყვანად რომანში, ძირითადად, ხაზი ესმება არსენას კეთილშობილებას, მის ბრძოლას გლეხთა თავისუფლებისთვის. თუმცა, ისტორიული რომანი ხაზგასმულად ანტიკოლონიური ტექსტია და ასახავს რუსი სამხედრო პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებებს. რაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, იმდროინდელ კრიტიკას არ გამოორჩენია და მიუთითებდნენ მის ნაციონალისტურ სულისკვეთებას. „არსენა მარაბდელის“ შექმნის პერიოდში ისტორია და ნაციონალიზმი არასასურველ თემატიკას განეკუთვნებოდა. მხოლოდ მოგვიანებით, ე.წ. სამამულო ომის დროს გახდა აქტუალური პატრიოტული თემებით მანიპულაცია.

ნეგატიური განწყობების მიუხედავად, „არსენა მარაბდელი“ იმ პერიოდში არ აუკრძალიათ, ითარგმნა რუსულ ენაზეც. 1934 წელს მ. ჯავახიშვილმა დაწერა ლიბრეტო და მიაწოდა სახკინმრეწვეს. საბჭომ განიხილა იგი და ფილმის გადაღება დაავალა სტალინის ფავორიტ რეჟისორს, მ. ჭიაურელს. შეთანხმების თანახმად, მწერალსა და რეჟისორს სცენარის შექმნის დროს უნდა ეთანამშრომლათ, რაც საბოლოოდ არ შედგა. კინოსცენარი მოგვიანებით ს. შანშიაშვილს დაუკვეთეს. საბო-



ლოდ ფილმი ისე გადაიდეს, რომ მწერლის არც ერთი შენიშვნა არ გაითვალისწინეს და უხეშად დაარღვიეს მისი საავტორო უფლებები. კინოფილმის სცენარზე კი, რომელიც დიდწილად მ. ჯავახიშვილის ისტორიული რომანის მიხედვით იყო შექმნილი, ხალხური მოტივები მიაწერეს. მ. ჯავახიშვილმა არაერთ ინსტანციას მიმართა წერილებითა და განცხადებებით, თუმცა ამაოდ. მისი დასაბუთებული მოსაზრებები არავის გაუზიარებია (15, 183-194).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის 1954 წლის 4 მაისის დაადგენილებით, მოიხსნა აკრძალვა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაზე („საარქივო მონაბე“, №10, 01.12.2010, გვ. 134-135). მწერლის რეაბილიტაციის შემდგომ კრიტიკა შერბილდა, დაიწყო რომანის იდეოლოგიზირებული ინტერპრეტაცია. მაგალითად მოვიყვანო მხოლოდ რამდენიმე სტატიას, ვინაიდან „არსენა მარაბდელზე“ არსებული ამ პერიოდის კრიტიკა იდენტურია, სტატიიდან სტატიაში მეორდება მსგავსი მოსაზრებები: „არსენა ყოველგვარი ბოროტების სათავეს ბატონყმურ ურთიერთობებში ხედავს, იგი მოითხოვს ბატონყმობის გაუქმებას, თვითმპრობელური სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის ბარბაროსული მოქმედების აღაგმვას“ (10, 46). ასევე აქტუალური იყო ე.წ. ინტერნაციონალური ძმობის საკითხი: „არსენა მარაბდელის“ ერთ-ერთ ძირითად მოტივს წარმოადგენს ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობისა და ძმობის მოტივი. მის. ჯავახიშვილი სიყვარულით ხატავს რუს გლეხს – კარპინს, რომელიც მხარში უდგას ქართველ გლეხკაცებს... მათ მხარში უდგას უკრაინელი ოსტაპი... მათთანვე არიან სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის შვილები“ (10, 49). ანალოგიური მოსაზრებები არის გამოთქმული შემდეგ წლებშიც, მეტი აქცენტია გაკეთებული კლასთა შორის ბრძოლის საკითხზე: გლეხთა და თავადაზნაურთა დაპირისპირებაზე, არსენა წარმოჩენილია გლეხური მოძრაობის ლიდერად. სტატიებში მეფის რუსეთის კოლონიური ჩაგვრაც არის ნახსენები, თუმცა ძირითადი აქცენტი სოციალურ საკითხებზეა გადატანილი (3; 5; 7). საბჭოთა კრიტიკამ კარგად გამოიყენა სოციალური უთანასწორობის იდეა და მიჩქმალა მწერლის მკვეთრად გამოხატული ანტიკოლონიური პოზიცია. „არსენა მარაბდელი“ დღეს საინტერესოა, როგორც ანტიკოლონიური ტექსტი, რომელიც ამხელს მეფის რუსეთის მიერ ჩადენილ დანაშაულებებს და ალგორითულად ბოლშევიკური დიქტატურის სისხლიან რეჟიმზე მიგვანიშნებს. პოსტკოლონიურ კვლევებში აქტუალური გახდა ტექსტებში ასახული იმპერიალისტური და ანტიკოლონიური იდეოლოგიების კვლევა (16, 5).

მ. ჯავახიშვილის ისტორიულ რომანში „არსენა მარაბდელი“ კარგად არის გამოკვეთილი ანტირუსული იდეოლოგია. ტექსტში მისი გამოხატულებაა გაუქმებული სადროშო და ფუნქციონალური დროშა, რომელსაც ცარისტული რუსეთის მხარდამჭერი მოღალატე თავადები ველარ პატრონობენ. დროშის შებილწვას ცდილობს რუსი მაიორი, ხოლო არსენა მისი გადამრჩენელია. სწორედ დროშის გარშემო ერთიანდებიან ეს დაპირისპირებული მხარეები. კოლონიზაციის სიმბოლოა გაუქმებული სადროშო: „ზაალი, გიორგი მეფის ნასუფრაჯალია, ნამდივანბეგარი, ბატონი ალგეთის, თრიალეთის, გაღმა-გამოდმა ბორჩალოსი და ერთგული დარაჯი სახელოვანი „მოწინავე დროშის“, რომელიც, როგორც **სადროშო, რუსებმა გააუქმეს**, ხოლო თვითონ დროშა, როგორც ალაში, ეხლაც ზაალს ეკუთვნის და იგი ნარგიზების ფორზე, აგერ იქ, კარვის თავზე ფრიალებს“ (14, 6). საინტერესოა გაუქმებული სადროშოს დარაჯის ზედწოდება – პატარა, დიდი ზაალის საპირისპიროდ: „ცოცხალი ზაალი შვილის-შვილია განსვენებული დიდი ზაალის... ერეკლე მეფის ეშიკაღასის, მორდალის, მდივანბეგის, მსაჯულის, ქორიასაულბაშისა და საქართველოს უმაღლესი მთავრობის წევრისა. ასეთი კაცის ბადიში – **პატარა ზაა-**

ლი – ამოდენა ხალხს, შინაურსა და უცხოს, უბრალოდ ვერ დაენახვებოდა, ამიტომ ის თავის საყმოს წინაშე დღესაც ისევე გამოეწყო, როგორც მაშინ იყო გამოწყობილი, როცა მთავარმართებლებს ეახლებოდა ხოლმე: კნორინგს, ციციანოვს.. რტიშჩევს, სასტიკ პროკონსულს ერმოლოვს („არჯალი მხეცი, სატანა, მუჟიკი, ანტიქრისტე“) და ბოლოს გრაფ პასკევიჩს – „ერმალას“ ახლანდელ თანაშემწეს, „ჩემს მეგობარს“, რომელსაც დღეს თუ ხვალ უეჭველად მთავარმართებლად დანიშნავენ, **ხოლო ერმოლოვს პანდურს ამოჰკრავენ და საიდანაც მოსულა, ისევ იქით გააბრუნებენ**“ (14, 6). ამ პასაჟში კარგად ჩანს ნარატორის ირონიულ-ცინიკური დამოკიდებულება, ერთი მხრივ, თავადისადმი, რომელსაც დასაკინებლად პატარას უწოდებს; მეორე მხრივ, რუსი სამხედრო პირისადმი ირონია, რომელსაც, მართალია, სისასტიკით გაუთქვამს სახელი, მაგრამ მასაც პანდურის კვრით გააბრუნებენ.

ზოგადად, რომანში რუსი სამხედრო პირების გვერდით არანაკლებ უარყოფითად არიან წარმოდგენილი ქართველი თავადებიც, რომლებიც ანგარების მიზნით ხელს უწყობენ კოლონიზაციის პროცესს: „მარაბდის ბატონს ინგლისური მაუდის შავი კაბა და ლურჯი აბრეშუმის გულისპირი ეცვა... **წელზე ოქრო-ძვლით მოჭედილი ხმალ-ხანჯალი ჩამოეკიდნა, რომელიც ათასი წლის ტვირთით და ხავსით იყო დაჭორფლილი...** მეფეთა და მთავარმართებელთა ჯილდოებიც და საჩუქრებიც ზედ ჰქონდა ასხმული. მაუდი თავადმა ვასილჩიკოვმა მოუტანა პეტერბურგიდან, ლალის დიდი ბეჭედი ერეკლე მეფის ნაჩუქარი იყო, ხოლო **ოქროთი და ძვლით შეჭედილი კვერთხი, რომელიც ახლა არქიელსაგით დაჰქონდა, უდღეურმა იმპერატორმა პაულემ დესპანის კოვალენსკის ხელით გამოუგზავნა**“ (14, 7). საუკუნეების განმავლობაში თავადაზნაურთა ფენის განუყოფელი ატრიბუტი – ხმალ-ხანჯალი უფუნქციოა, ათასი წლის ბრძოლებგამოვლილი უკვე შელახულია. შიმბოლურია, რომ ზაალ ბარათაშვილი მასთან ერთად თან დაატარებს კვერთხს, რომელიც რუსმა იმპერატორმა უსახსოვრა. ნარატორი აქაც ცინიკურ ტონს არჩევს – უდღეური იმპერატორი. მოღალატე ქართველი თავადები დაკავშირებული არიან რუს ჩინოვნიკებთან, მათგან იღებენ სასურველ ჯილდოებს: „არც ერთი მთავარმართებელი არ ყოფილა, რომ ბარათაანთ სამივე თაობის მკერდზე, ვითარცა კანკელზე, ჯვარი ან ვარსკვლავი არ ჩამოეკიდნა. ყველამ ღირსეული საჩუქარი მიიღო, რადგან **სამთავ მკერდის ქვეშ ახალი ტახტისა და ახალი სამშობლოსადმი მართალი გული ჰფეთქვდა**“ (14, 7). ქართველმა თავადებმა ახალი სამშობლო იპოვეს. ერთ დროს დიდი ზაალი ბრძოლებით იწონებდა თავს: „ერეკლე ან დავით-სარდალი რომ ომარ ხანს, ჰაჯი ჩალაბს, აზატ-ხანს ან სხვა ვინმეს დაეტაკებოდნენ ხოლმე, დიდი ზაალიც იქვე სადმე ტრიალებდა და თავგამოდებით იბრძოდა. ეხლაც ავონდება პატარა ზაალს: **ერთხელ დიდი ზაალი და დიდი დავით ორბელიანი წაგებულ-მოგებულ ბრძოლებს ანგარიშობდნენ. თითომ თურმე ასზე მეტი ბრძოლა მოიხადა**“ (14, 10). ამის ნაცვლად პატარა ზაალის საფიქრალი და საზრუნავი შემდეგით შემოიფარგლება: „ზაალს ალა-მაჰმადის მიერ მარაბდის აკლება ისე არ სწყენია, როგორც **ახლა მარაბდელების წაქცევა ეწყინა**“ (14, 11). მუქად გამოვყავით ადგილები, რომლებშიც, ჩვენი აზრით, ნარატორმა შიმბოლური კოდები ჩადო: გაუქმებული სადროშო, მისი ბინადარი პატარა ზაალი, რომლის მორთულობაშიც ფიგურირებს ათას საუკუნეგამოვლილი, დახავსებული ხმალ-ხანჯალი. გაუქმებული სადროშოს ნაცვლად ახალი სამშობლო. იმპერიიდან გამოგზავნილ სამხედრო პირებს პანდურით აგდებს იმპერატორი, რომელიც ზოგჯერ უდღეურია და უხვად ურიგებს ჯილდოებს მათ, ვისაც ახალი სამშობლოს სიყვარულისთვის „გული უძგერს“. ტექსტის ქვეტექსტი გასაგებია: დაკინებული თავადაზნაურობა რუსი კოლონიზატორ-

რების მხარდამჭერები ხდებიან. ზაალის მეტყველებაც, რომელიც საკვება რუსიციზმებით, ამ დაკნინების გამომხატველია: „ფიე! ამისთანა ამბავი გაგონილა მეთქი? დალახვროს ღმერთმა! სტუმარი მოვიდეს, ვიდაც ოხერ-ტიელი მოათრიოს და ყველა დარჩეული ბიჭები გამილახოს?! **ვოტ იშო!** გაგიგიათ მეთქი ამისთანა ამბავი?!“ (14, 7).

ამ დაკნინებულ სურათს აგვირგვინებს დროშის ყოვლად შეუფერებელი ადგილი: „დაცარიელებულ ფორზე წითელი არშეებით და კუწუწოებით შემოვლებული **დიდი კარავი გამოჩნდა, რომელიც ვეება უთავო ბატს ჰგავდა**, და იმ ბატის ქვეშ სამი კნენა და მათი მოახლენი ჭუჭულებივით შეკუჭულიყვნენ, ხოლო მათს **თავზე საქართველოს მოწინავე დროშა ფრიალებდა**“ (14, 9). დროშაც ხმალ-ხანჯალივით ღირსება შელახულია, კარავზეა ჩამოკიდებული, რომელიც უთავო ბატს ჰგავს. თავადაზნაურობას მისი დაცვის უნარიც აღარ შესწევს. სიმბოლურია სწორედ ის პასაჟი, სადაც გლეხი არსენა იცავს დროშას: „არლოვმა მიიხედ-მოიხედა და ფიცხელი ბრძანება გასცა: – ახლავე ჩამოხსენით და აქ მომეცით (დროშა – თ. ჩ.). ფორზე ავი სინჟემ ჩამოწვა. არავინ არ დაიდრა. ზოგი გაფითრდა და ზოგიც იმ ალაპივით გაწითლდა... გრიგოლ ორბელიანს ზაფრანას ფერი ედო. დავით ბარათაშვილს თავი ჩაექინდრა, მარშალი ალექსანდრე გაშეშებული იდგა... დროშის მოლარეს ზაალს კი პირი დაელო და ხმა დაეკარგა. არსენა მაიორს საწადელს მიუხვდა. პირისახეზე მწვავე ალმურმა აჰკრა და თავში აუვარდა.

ეს რა მიჰქარა ბასილა მაიორმა? ჰსურს დროშა ჩამოართვას? ვის, ბარათაშვილებს და ორბელიანებს? კეთილი, მაგრამ ეს ალაპი მარტო მათი ხომ არ არის! არა, მარტო მათი აღარ არის...

„რა ღმერთი გაუწყრათ ამ წყეულებს! გაიფიქრა არსენამ. – რამ დააჭიავა, რამ მოადუნა, ვინ გამოჰფიტა და ვინ დააძაბუნა?! თუ დაბერდნენ და გადაშენდნენ, დროა დროზე გადგნენ და გზა დაგვიტომონ“ (14, 29). მოგვიანებით, როცა უკვე დაუმორჩილებელი არსენა ტყეში გავა, ის თავად დაეპატრონება დროშას: „განჯინაში ძველი დროშა გიყუდია. თავადები დაბერდით, დაძაბუნდით და ვეღარ ატარებთ, ჩვენ კი ესარის ახლა დავიბადენით, მკლავიც გვიჭრის, გულიც გვერჩის და თქვენზე უკეთაც მოუვლით. იძლევი თუ არა?... შენვე ჩამოიტანე და შენვე ჩამაბარე. მოდიხარ თუ არა? – მოვდივარ, მოვდივარ! ჩამოჰკვნესა ბატონმა და შინ შევარდა“ (14, 217). დროშის გადაცემას არსენა სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს: დაკნინებული თავადების ნაცვლად, ერის წინამძღვრობა უბრალო ხალხმა უნდა იკისროს.

რომანში თავადაზნაურობა ურყოფითადაა წარმოჩენილი. მართალია, ზაალ ბარათაშვილის მკვეთრად უარყოფითი პერსონაჟის საპირისპიროდ, ორბელიანების მიმართ მთხრობელი უფრო შემწყნარებელია, თუმცა არც მათ ერთგულებას ივიწყებს „ახალი სამშობლოსადმი“: „ოთხივ ორბელიანი ნაომარია. ხვალ დილითაც საომრად მიდიან და ამიტომ **სააფიცრო მუნდირები** აცვიათ. მაგრამ თავდაპირველი ის არის, რომ ოთხივენი **ერეკლე მეფის შვილის-შვილები არიან და ამიტომ ურთიერთსაც და თავიანთ თავსაც კერპსავით ეთაყვანებიან, თავიანთი სისხლი სალოცავ ხატად მიაჩნიათ**“ (14, 9). მართალია, ზაალივით დაუნდობლები და მედროვეები არ არიან, მაგრამ ახალი სამშობლოსადმი ვალს ისინიც იხდიან, ხოლო მათი გვარიშვილობით თავის წარმოჩენა ნარცისიზმს ვეღარ სცილდება. გლეხებსაც მათი იმედი აღარ აქვთ. ეს კარგად გამოჩნდა დროშის დაცვის ეპიზოდში, სადაც მხოლოდ არსენამ გაბედა ხმის ამოდება და მოქმედება. გლეხი დათუნას ფიქრებშიც ეს აზრი იკვეთება: „საერთოდ ბატონ-ყმობაც უნდა მოსპოს, თვითონ ალექსანდრემ უნდა მოსპოს, **თორემ რუსის მომხრე თავადაზნაურები პირს შეჰკრავენ, ქვეყანას გაჰყიდნიან** (როგორც მრავალჯერ გაუყიდათ)“ (14, 65). თავადაზნაურთა მეორე

ფრთა, რომელსაც შალვა ბარათაშვილი წარმოადგენს, კოლონიზაციის წინააღმდეგ შეთქმულებას გეგმავს. ფილადელფოს ბერთან ერთად „აქტი გონიერი“ აქვთ შედგენილი და ჩურჩულით ცდილობენ მომხრეების შექმნას. რომანში 1832 წლის შეთქმულების პერიპეტიებიცაა გადმოცემული, სადაც შეთქმულთა სისუსტე და არამდგრადობაა ნაჩვენები.

ნაწარმოებში რუსული კოლონიზაციის სიმძიმეს ყველაზე ადეკვატურად გლეხები აღიქვამენ, ვინაიდან სწორედ მათ გადაიტანეს დაპყრობილ ქვეყნაზე თავსდატეხილი ყველა უბედურება. ეროვნულ ტრაგედიას თან დაერთო სოციალური ჩაგვრა: გაკოტრებულმა თავადაზნაურობამ მათ ორმაგი გადასახადები დააკისრა, რასაც დაერთო რუსი კოლონისტების საგადასახადო მოთხოვნებიც. სიმბოლურია ხალხში გაავრცელებული ლექსი: „ბარნაველმა ნელი დუდუნით დაიწყო ახალი პანაშვიდური სიმღერა, რომელიც ის-იყო ახლად შემოდიოდა და საიდუმლოდ ითქმებოდა: **სკვითმა წავგართვა სამშობლო-ო-ო...**“ (14, 65).

პანაშვიდური სიმღერა მწერლის თანამედროვეობისთვისაც აქტუალური იყო, ვინაიდან კოლონიზატორი შეცვლილი არ იყო. კოლონიზაციის შედეგებმა ყველა სფეროში იჩინა თავი. განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ეკლესიის ბედი, ვინაიდან რუსეთის ერთმორწმუნეობა იყო მნიშვნელოვანი არგუმენტი გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროს: „ფილადელფოს ბერი წლეულ ოცდაათისა შესრულდა. ჭაბუკობაში გელათის მონასტერში იყო მორჩილად, მაგრამ ვინ გაუძღვებდა ეგზარხოს ფეოფილაქტეს (ჯოჯოხეთის მოციქული და ანტიქრისტე). **ქართული ეკლესია მოსპო, მღვდელმთავრები აცემინა, რუსეთში გადასახლებინა, მონასტრები და ეკლესიები დაძარცვა და ქართული წირვა სიონის ტაძარშიც კი აკრძალა...** „რუსი ღენერლები იმერეთშიც ასპიტი ყაჩაღებით შემოიჭრნენ. – ხშირად იტყოდა ხოლმე შემდეგ ფილადელფოსი. – **ჰსოცეს, ანგრიეს, სწვეს, სძარცვეს და სამშობლოს ერთგულები ათასობით გააციმბირეს**“. ამიტომ ლოცვის ნაცვლად იმ ხანებში გელათსა და სხვაგანაც წყევლა-კრულვა ისმოდა და წირვის მაგიერ ურვა და ვალალი იდგა“ (14, 85). პერიოდული ეგზეკუციების უმძიმეს შედეგებს მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა გრძნობს, განსაკუთრებით ისინი, ვინც რუს სამხედრო პირებს არ ეპირფერებიან. ეგზეკუციას შიში და ზაფრა მოაქვს, ამ სიტყვის ხსენებაც კი დიდ ტკვილთან ასოცირდება: „**ზეკუცია! ზეკუცია!** – სწრაფად გადადიოდა პირით-პირში. წარჩინებულთა შორის ახალი სტუმრების მოსვლამ სიხარული გამოიწვია. მარტო მაიორმა, ზაალმა და დავითმა იცოდნენ ადრევე, **რომ ამ სტუმრებს მარაბდაში ცრემლი და ვაება მოჰქონდათ**“ (14, 102). „საღვინოდ მომზადებული **ეზო ხიშტებით, თოფებით, ხმლებითა და ხანჯლებით გაივსო და სამხედრო ბანაკად გადაიქცა**“ (14, 104). ზაალ ბარათაშვილმა იცის რა შედეგი მოჰყვება ხეშტებიანი რუსების შემოსვლას, მაგრამ უძღურებისა და სინანულის ნაცვლად მას ასეთი პასუხი აქვს: „ყველაზე მეტად კნეინები შეშინდნენ – გარდა ხორეშანისა, რომელმაც ბოლოს საერთო დუმილი გაჰკვეთა:

– **ზაალ, მარაბდაში სისხლი დაიდვრება...**

– **დაიდვრება და დაიდვაროს, რა ჩემი ბრალია!** – წაიბურტყუნა ზაალმა, – ამაზე მეტი რაღა გინდა, ვეუო! (14, 111).

ამგვარი ეროვნული და სოციალური ფონი ხდება არსენა მარაბდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასპარეზი. ხალხური წყაროებიდან ცნობილ პერსონაჟს მ. ჯავახიშვილმა უფრო რთული მისია დააკისრა, ის მხოლოდ დაუმორჩილებელი, ტყეში გავარდნილი ყაჩაღი აღარაა. არსენა ბატონყმობის წინააღმდეგია, მას კოლონიზებული სამშობლოს ბედიც აწუხებს და ხედავს თავადაზნაურთა გვარის დაკნინებას. 1832 წლის შეთქმულები მასთან დაკავშირებას ცდილობენ, არსენას

თავისი პრინციპული შეხედულებები გააჩნია, რის გამოც შეთანხმება შეუძლებელი ხდება. რომანის დასაწყისში არსენას განსაკუთრებული ფიზიკური სიძლიერის ხაზგასმა ფოკლორული წყაროდან იღებს სათავეს: „ამას წინათ აღზევანიდან მომავალი ურემი ტალახში ჩაფლულა. მარილით ყოფილა დადებული. ყვეარი ხარი მიაშველეს და მაინც ვერაფერს ვერ გახდნენ. არსენამ თურმე პირჯვარი დაიწერა და ის ურემი ბუმბულივით აიგდო ბეჭებზე, აი რა ბიჭია ოძელაშვილი“ (14, 14). არსენას გამოჩენას თან ახლავს ამ ამბების გახსენება. განსაკუთრებული ფიზიკური ძალა ტრადიციული ეპიკური გმირისათვის დამახასიათებელია, აქ ჩანს ამ სახის მითოსური შრე. ფიზიკურ ძალასთან ერთად არსენა თამამია, ბატონს თანასწორით ესაუბრება, რაც მისი ათვალწუნების ერთ-ერთი მიზეზი ხდება: „სვეტილი არსენა უკვე ფეხდაფეხ მიდიოდა ზაალისკენ – ტანგაშლით, ლაღად და თამამად მიაბიჯებდა. სავსე კისერი ოდნავ მოიდრიკა და საერთო სალაშში ისევ ძველებური თავადური კილო ჩააქსოვა: – ბატონებს ვახლავარ. – და გაჭიმული შედგა. ზაალმა ბოღმა ჩაიბრუნა. ისევ ის არსენა! ისევ თავხდი, თამამი, მოურიდებელი და მოუდრეკელი“ (14, 17).

არსენას ამგვარი გამოჩენის შემდეგ ბუნებრივი ხდება პერსონაჟის ცხოვრების გზა. ნაწარმოებში ასახული სოციალური და ეროვნული ფონი მას მხოლოდ ერთადერთ არჩევანს უტოვებს – ეს არის დაუმორჩილებლობა. ამ ყოველივეს წინ უძღვის ზაალის პირობის დარღვევა, ბატონის მიერ საყვარელი ადამიანების გაყიდვის საშიშროება, ეგზეკუცია, არსენას ოჯახის წევრებისა და თანასოფლელების სამარცხვინო დასჯა: „მარაბდელებო... უწინ როზგი მაინც არ ყოფილა, ახლა კი ვაჟაკაცს ქული მოჰხადეს, საქვეყნოდ სცემეს, სამუდამოდ ასაღდათებენ და ციმბირში აღპობენ... ესეც არ იკმარეს... მოვიდნენ და კისერზე დაგვასხდნენ, შინ ჩაგვისახლდნენ. ბაღლებს შიმშილით დაგვიხოცავენ, დედაკაცებს ლენაქს ახლიან და ჩვენც გაგვჯოხავენ. მაშ რაღა ოხრად მინდა ეს ძაღლუმადური სიცოცხლე და ტიელი ქული!“ (14, 125-126). მთხრობელი შექმნილ ვითარებაში არსენას ერთადერთ არჩევანს უტოვებს: „მოუსვენრად და ბოღმით სტოკავდა არსენა ოძელაშვილი. მას მეტი გზა აღარა ჰქონდა: უნდა წასულიყო, გაგარდნილიყო, მაგრამ ის მრავალ გლეხს ითრევდა სამკედრო სასიცოცხლო ბრძოლაში გლეხურ სიმართლისთვის, სიცოცხლისა და შრომის უფლებისთვის – აი რაზე ჰფიქრობდა იმ წამს არსენა“ (14, 151).

ისტორიული რომანის პირველ ნაწილში გადმოცემულია XIX საუკუნის I ნახევრის ისტორიული რეალიები. მეორე ნაწილი მხოლოდ არსენას რაზმს ეთმობა, მესამე ნაწილში ფრაგმენტულად არის ასახული 1832 წლის აჯანყების პერიპეტეები. მეორე ნაწილში არსენას რაზმის ცხოვრება იდეალიზებულია. ყაჩაღობენ, მაგრამ ნააღაფარს დარიბებს ურიგებენ, თავისთვის მხოლოდ მცირედს იტოვებენ: „შეფიცულები გუშინწინ სათარეშოდ გავიდნენ. ქვეშეთის გზა მოინადირეს, მდიდარ ჩარჩებს წაართვეს, დარიბ გლეხებს მისცეს, თეთრ წყაროს და სამშვილდეს ჩამოუქროლეს და დაველად მხოლოდ უცილებლივ თოფის წამალი, იარაღი, საცვალი, თამბაქო, ქსოვილი და ამგვარი წვრილმანი ამოიტანეს“ (14, 170). მათი ტყეში გაგარდნის მიზეზებს მთხრობელი ხშირად უსვამს ხაზს: „ზაალმა და მაიორებმა ეს ლუტი ძმები საბოლოოდ გააბოროტეს, რადგან ნადირით გაჰყარეს ტყეში და ყველაფერი წაართვეს – ოჯახიც და მოკეთეც, შრომაც და სიყვარულიც, უფლებაც და სიხარულიც“ (14, 171). არსენა მოწესრიგებული ლიდერია, რაზმი მუდმივად საქმით ჰყავს დატვირთული, რათა უსაქმობამ არ გარყვნას ისინი: „თარეშის შემდეგ რაზმი ისვენებს. ბელადები თათბირობენ. ოძელაშვილი ამბობს, ტყუილა ჯდომას ტყუილი საქმე სჯობიაო. უსაქმო კაცი მალე მოდუნდება, დაღაჩრდება...: – ბი-

ტეპო, თქვენ ენაგეთში ჩახვალთ და ქავთარაშვილის თივას მოუთიბავთ. დავრდომილია და უღპება... შენ კი ფარცხისეულ ქერივს ბაბალეს შემას ჩაუტან, მადლია... თქვენც პაპა სეხნიას მკაში მიეშველებით, თორე ავად არის და ცოდოა“ (14, 172). არსენა რაზმის ინტელექტუალურ განვითარებაზეც ზრუნავს: „არსენას ცოლი მკაფიოდ და გრძნობით კითხულობს – ზოგჯერ კი ზეპირად უამბობს – როსტომის, ყარამანის, ვეფხისტყაოსნისა და ციკლოპური დევების გმირულ თავგადასავალს“ (14, 172). არსენას სახელი კი მთელ საქართველოში ლეგენდად იქცევა: „მეცხვარეები საქართველოს ყველა კუთხეში იფანტებოდნენ და თან ლეგენდა დაჰქონდათ ვინმე არსენაზე, რომელიც საცაა გლეხებს დაუძახებდა და თავისუფლებას, მიწას და სამართალს დაურიგებდა“ (14, 175). არსენა უსისხლო ყაჩაღია, ის არ ღერის სისხლს, რაც სხვა ყაჩაღებისათვის გაუგებარია: „შენ ყველას ყელის გამოჭრას უპირებ, მე კი ჯერ არავინ არ მომიკლავს და არც ვაპირებ მოკვლას... უსისხლო სახელი ბორჩალოელი ყაჩაღისთვის მართლად გაუგებარი რამ იყო. ჭკუას ძალას ატანდა და ლამობდა მშრალი წყალი ან ცივი ცეცხლი წარმოედგინა, მაგრამ ვერ დასძლია“ (14, 201).

უსისხლო ბრძოლამ არსენას სახელი გაუთქვა. მ. ჯავახიშვილმა ხალხური არსენა სრულიად შეცვლა, მას გაცილებით დიდი მიზნები დაუსახა და ასპარეზი დაუთმო. არსენას სურს დაჩაგრული გლეხობა და გაუბედურებული, კოლონიზებული ქვეყანა გადაარჩინოს. ავტორი არსენას სახელს 1832 წლის შეთქმულებასთანაც აკავშირებს. შეთქმული შალვა ბარათაშვილი და ფილადელფოს ბერი მას გაანდობენ თავიანთ გეგმებს და მონაწილეობასაც სთავაზობენ: „ძმაო არსენ, ახლა საქართველოში შენზე მეტად სახელოვანი ვაჟკაცი აღარ არის. ალექსანდრე ბატონიშვილი დაბერდა და იმედს აღარ იძლევა. თავად-ახნაურობის უმეტესობას რუსეთის მეფის მხარე უჭირავს და ხალხს ვეღარ უძღვება. გლეხი უპატრონოდ დარჩა და ბელადს ეძებს, შენზე უკეთესი ბელადი კი არცა ჰყოლია და არც ეყოლება“ (14, 296). თუმცა მათ ერთმანეთს ვერ გაუგეს, რადგან შეთქმულ თავადებს ძველებური წყობის შენარჩუნება და რუსი კოლონიზატორების განდევნა სურდათ. არსენას კი უფრო დიდი მიზნები ჰქონდა: მას სურდა სრულიად საქართველოს გათავისუფლება, როგორც კოლონიური, ისე ბატონყმური უღლისგან: „ბატონ-ყმობა?... მაშ უბატონოდ როგორ შეიძლება?... სად გაგონილა? რაკი არ გაგონილა, მაშ ბატონმა ეგ ჩუმი საქმე თვითონვე გააკეთოს. ესეც ხომ დალა არ არის, რომ რუსი დავისმართო. უბატონოდ სად გაგონილა! მაშ რისთვის შეეფიცნენ შარშანწინ ი ვიღაც დეკემბრელები? რისთვის დაღვარა ზღვა სისხლი ნაპალევანმა?... მაშ ფრანგისტანში ისევე ბატონ-ყმობა დარჩა?“ (14, 298).

არსენას მიერ ტყეში შექმნილმა უტოპიურმა სამყარომ მალე დაიწყო რღვევა. ყაჩაღები ბოლომდე ვერ მოარჯულა და კვლავ დაიწყეს ზედმეტის მიტაცება, უსაქმურობა. ურჩობაც გაბედეს და ერთხელ არსენას უკითხავად ზაალ ბარათაშვილის სახლიც გადაწვეს და მთელ ოჯახს ამოწავადნენ, არსენას რომ არ მიესწრო და არ გადაერჩინა. რომანის დასასრულს არსენას იდეებს განხორციელება არ უწერია, მას მისი მღევარი გიორგი კუჭატნელი შეიწირავს, თუმცა არსენას შთამომავლობის ჩვენებას ნაწარმოებში გარკვეული იმედი შეაქვს.

როგორც ვხედავთ, მ. ჯავახიშვილმა ისტორიულ რომანში შექმნა არსენას იდეალიზებული სახე, ის გმირად გამოაცხადა, რომელიც თანაბრად იბრძოდა სოციალური და ეროვნული იდეალებისთვის. მ. ჭიაურელის ფილმსაც მიუძღვის წვლილი ამ იდეალის დამკვიდრებაში. მწერლის სახელის რეაბილიტაციის შემდგომ კი კრიტიკოსებმა ნაწარმოებში კლასთა ბრძოლისა და სოციალური ჩაგვრის თემატიკა წამოსწიეს წინ. არსენას გმირად გამოცხადებას სასკოლო სახელმძღვანელოებმაც შეუწყო ხელი, რომელშიც შეტანილი იყო, როგორც ხალხური „არსე-

ნას ლექსი“, ისე მ. ჯავახიშვილის ისტორიული რომანი. დღევანდელ დღეს არსენას სახელი შედარებით მივიწვევებულა კოლექტიურ მეხსიერებაში, სასკოლო სახელმძღვანელოებიდან წლებია ამოღებულია ხალხური ლექსი, ხოლო მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებებიდან „არსენა მარაბდელი“ ყველაზე მეტად „ჯაყოს ხიზნებმა“ დაჩრდილა. სასკოლო პროგრამაშიც სწორედ ეს ნაწარმოები შევიდა. საბჭოთა კინოფილმი „არსენა“ აღარ სარგებლობს პოპულარობით. თუმცა არსენას სახელი მეტ-ნაკლებად მაინც შემორჩა კოლექტიურ მეხსიერებას, ამაზე მოწმობს თბილისის ფორუმის ვებგვერდზე გამართული დისკუსია, რომელიც გმირისა და ანტიგმირის ტრადიციულ დიქოტომიაზეა აგებული: არსენა გმირი იყო თუ უბრალო ყაჩაღი. ეს მომენტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ საბჭოთა ეპოქაში ლიტერატურა მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს კოლექტიური მეხსიერების შექმნას და გარკვეული იდეალების დამკვიდრებას.

### **ლიტერატურა:**

1. აგლაძე შ., მიხეილ ჯავახიშვილი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, თბ., 1993.
2. ბარნოვი ვ., არსენა, თბ., 1921.
3. ბენაშვილი დ., მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1959.
4. ბ. ბუაჩიძის შეხედულება დამოწმებულია წიგნიდან: აგლაძე შ., მიხეილ ჯავახიშვილი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, თბ., 1993.
5. გვერდწითელი გ., მიხეილ ჯავახიშვილი, თბ., 1977.
6. კიკნაძე ზ., ქართული ხალხური ეპოსი, თბ., 2001.
7. კვანჭილაშვილი ტ., მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, თბ., 1966.
8. მელაძე კ., მდგომარეობა ლიტერატურის ფონზე  
<http://lib.ge/book.php?author=1591&book=9698>
9. შ. რადიანის შეხედულება დამოწმებულია წიგნიდან: აგლაძე შ., მიხეილ ჯავახიშვილი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, თბ., 1993.
10. რადიანი შ., მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1957.
11. საარქივო მოამბე, 2010.
12. ს. ხუნდაძის მოსაზრება დამოწმებულია წიგნიდან: აგლაძე შ., მიხეილ ჯავახიშვილი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, თბ., 1993.
13. ჯავახიშვილი მ., როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“, ჟურ. დროშა, 1933, №9.
14. ჯავახიშვილი მ., არსენა მარაბდელი, თბ., 1955.
15. ჯავახიშვილი ქ., მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, თბ., 1991.
16. Boehmer E. Colonial and postcolonial literature, Oxford University Press, New York, 2005.

**Tamar Chokoraia**

*Arsena as a part of historical and collective memory  
(according to “Arsena Marabdeli” by Mikheil Javakhishvili)  
Summary*

The article discusses the historical novel “Arsena Marabdeli” by Mikheil Javakhishvili, where author tries to follow aesthetics of social realism. However, official critics did not miss an evident anticolonial character of the text. The character of Arsenia Marabdeli is a part of the collective memory, which stems from folk sources.

**Тамар Чокорая**  
*Арсена Марабдели как часть исторической и коллективной памяти*  
*(по роману М. Джавахишвили „Арсена Марабдели“)*  
**Резюме**

Объектом исследования статьи является исторический роман М. Джавахишвили «Арсена Марабдели», где писатель старается использовать эстетику соцреализма. Несмотря на это, официальная критика отметила явно антиколониальный характер произведения. Образ Марабдели часть коллективной памяти, который берет начало из фольклорных источников.



**კახა ღლონტი**  
(საქართველო)

**ქრისტოს ჯვარცმის მისტიკა და კონსტანტინე  
გამსახურდიას შემოქმედება**

გვინდა განვიხილოთ საკითხი, რომელიც წარმოგვიდგენს ქრისტეს ჯვარცმის მისტიკის ასახვას კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში.

ქრისტიანული სარწმუნოების არსის შემეცნება ბიბლიას უკავშირდება, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველთა საფუძველია. საქართველოში ქრისტიანობის ქდაგება წილად ხვდა ღვთისმშობელს. მაგრამ, რადგანაც მოახლოებული იყო ღვთისმშობლის გარდაცვალების დრო, ამიტომაც მის მაგივრად საქართველოში ქრისტიანობის ქდაგების მისია წილად ერგო ქრისტეს მოციქულს – ანდრია პირველწოდებულს. მანამდე კი, მოხდა ქრისტეს კვართის ჩამოსვენება საქართველოში და მცხეთაში მისი დაფვა. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება IV საუკუნეში მოხდა, როცა წმ. ნინომ იქადაგა ქართლში და იმ ადგილზე, სადაც ქრისტეს კვართი იყო დასვენებული, აღიმართა სვეტიცხოველი, ანუ ცოცხალი სვეტი და აშენდა სვეტიცხოვლის უკვდავი ტაძარი.

კონსტანტინე გამსახურდიამ სვეტიცხოვლის ტაძარს უძღვნა თავისი უკვდავი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ და ეს ისედაც უკვდავი ტაძარი, სიტყვაში განსხეულებული, კიდევ ერთხელ უკვდავყო. თუ გავიხსენებთ, რომ სვეტიცხოვლის ტაძარს საფუძველში ხე სიცოცხლისა უდევს, ცხადი გახდება, რომ იგივე ხე სიცოცხლისა უდევს საფუძველად კონსტანტინე გამსახურდიას უკვდავ რომანს – „დიდოსტატის მარჯვენას“. ამ გენიალური ნაწარმოების ძირითადი იდეა სწორედ მარადიულობასა და უკვდავებასთან ზიარებაა. ნაწარმოების მთავარმა გმირმა კონსტანტინე არსაკიძემ სვეტიცხოვლის ტაძრის აგებით დასძლია სიკვდილი და ეზიარა მარადიულობას და უკვდავებას, სასუფეველს. ეს მიუთითებს აღნიშნული ნაწარმოების ქრისტიანულ ხასიათზე, აგრეთვე ნაწარმოების მთავარი გმირის – კონსტანტინე არსაკიძის მსოფლმხვედელობის ქრისტიანულ ორიენტაციაზე, რომელსაც თავისი წარმომავლობის გამო ხშირად წარმართული ორიენტაციის პერსონაჟად მიიჩნევენ და რომელიც თავად არის ნაწარმოებში ალეგორიული სახით ქრისტეს იმპულსის მატარებელი, თავისი შემოქმედებით ვითარცა სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი. სვეტიცხოველი რომ უკვდავების სიმბოლოდაა მიჩნეული კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“, კარგად იკითხება ამ სიტყვებში: „ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი... ათასეული წლები წაღეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“ (2, 125) – ამბობს კონსტანტინე არსაკიძე და ნათელი ხდება, რომ სვეტიცხოველის ამგები დიდოსტატის პირით, თავად ნაწარმოების ავტორი გვესაუბრება. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს კონსტანტინე გამსახურდიასა და მისი უკვდავი რომანების ქრისტიანულ ორიენტაციას.

სიკვდილით სიკვდილის დაძლევისა და კვლავ აღდგომა-აღორძინების საკითხია ის ძირითადი მაგისტრალური მიმართულება, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მთელ ქართულ ლიტერატურას თავისი თხუთმეტსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე. ქრისტეს ჯვარცმის მისტიკა აისახა დიდი ქართველი მწერლის – კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში, მის ცალკეულ რომანებში.

მწერლის შემოქმედების მთავარი გმირები – კონსტანტინე სავარსამიძე, თარაშ

ემხვარი, კონსტანტინე არსაკიძე და სხვა პერსონაჟები სწორედ ის სახეებია, რომელთაც თავიანთი ამქვეყნიური ცხოვრებით ერთგვარად გაიმეორეს ქრისტიანობის ფუძემდებლის – იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების გზა. მათ თავიანთი სიკვდილითა და ჯოჯოხეთში ჩასვლით დასძლიეს სიკვდილი და უკვდავებას, მარადიულ სიცოცხლეს ეზიარნენ. კონსტანტინე გამსახურდიას რომანების მთავარი გმირები მოგზაურობენ ჯოჯოხეთში, ამარცხებენ სიკვდილსა და ჯოჯოხეთს და ხელახალი აღდგომითა და აღორძინებით ხსნა და გადარჩენა მოაქვთ კაცობრიობისათვის. ისინი წარმოადგენენ შესაწირავ კრავს, როგორც იესო ქრისტე, რომელიც უნდა დაიკლას, რათა გამოისყიდოს ცოდვითდაცემული კაცობრიობა. აი, ის ძირითადი იდეა, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების მთავარ საფუძველს წარმოადგენს.

ქრისტეს ჯვარცმის მისტერია სიმბოლურ-ალეგორიული სახით ასახულია კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში – „დიონისოს ღიმილში“ და „მთვარის მოტაცებაში“. „დიონისოს ღიმილში“ პირდაპირაა საუბარი იესო ქრისტეს ჯვარცმის შესახებ, რასაც სიმბოლურად კონსტანტინე სავარსამიძის ჯვარცმა განასახიერებს:

„... მე ქრისტეს წარმოვადგენდი, ვითომ ქრისტე ვარ, ჩემი ძიძიშვილები ურიების როლს თამაშობდნენ. დაბალ ძეწნის ხეზე - ჯამლეტმა ჯვარედინად მიაჭედა ფიცარი. მე გამიყვანეს და გამაკრეს.

ეს წარმოდგენა იმით გათავდა, რომ ცალი ხელი ძეწნის ტანსა და ფიცარს შორის დამრჩა; ძიძა რომ არ შეგესწრებოდა და დროზე არ ჩამოვედეთ „ჯვარიდან“, ალბათ ხელი მომტყდებოდა: მთელი თვე შეხვეული მქონდა მკლავი და ამის შემდეგ ჯვარცმის წარმოდგენაც აღარ მოგვიწყვიტა“ (2, 389).

როგორც ჩვენს ნაშრომში – „ქრისტიანული მსოფლმხედველობა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში“ ვწერდით: „შეგვიძლია მოვიყვანოთ კონკრეტული ფაქტები კონსტანტინე გამსახურდიას - „დიონისოს ღიმილიდან“ და „მთვარის მოტაცებიდან“, რომელიც სწორედ სიკვდილით სიკვდილის დაძლევისა და მარადიულ სიცოცხლესთან ზიარების ალეგორიულ, სიმბოლურ სახეებს წარმოადგენენ და რომლებიც თავის თავში იესო ქრისტეს მიერ სიკვდილით სიკვდილის დაძლევისა და მკვდრეთით აღდგომის შინაარსის შემცველები არიან. ამგვარ მოტივებს ჩემი აზრით - „დიონისოს ღიმილში“ წარმოადგენს კონსტანტინე სავარსამიძის ჯოჯოხეთში ჩასვლა, ხოლო - „მთვარის მოტაცებაში“ თარაშ ემხვარის ენგურში დახრჩობა“ (4, 19).

კონსტანტინე გამსახურდიას რომანის – „დიონისოს ღიმილის“ ძირითად დედა-აზრს ქრისტეს ჯვარცმის მისტერია წარმოადგენს, რომელიც ნაწარმოებში ალეგორიულად კონსტანტინე სავარსამიძის ჯოჯოხეთში მოგზაურობითა და მარმარილოს ტახტზე მჯდომარე მონღოლის (სლანსკის) მოკვლითაა სიმბოლიზებული, რაც იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ ჯოჯოხეთში ყოფნისას კონსტანტინე სავარსამიძეს თავად ჯვარცმული იესო ქრისტე გამოეცხადება, რაც იმას ადასტურებს, რომ კონსტანტინე სავარსამიძის ჯოჯოხეთში მოგზაურობის ძირითადი მიზანი - იესო ქრისტეს ჯვარცმის ალეგორიული ასახვაა.

მოვიყვანოთ ამ მოსაზრების დამამტკიცებელ ფაქტებს „დიონისოს ღიმილიდან“: „...და გაირღვა მიწა, უფსკრულში ჩავსრიალდი და უშველებელ ველზე პირქვე დავეცი... და აჟღარუნდა ჩემ ტანში რაღაც... სხეულზე ხელი შევივლე: თავზე ფოლადის მუზარადი მხურავს, მხრებზე - ფოლადის კინენი, მკერდზე - ფოლადის ბექთარნი, მუხლებზე - ფოლადისავე სამუხლენი, საკანჭურები, ხელებზე - სამკლავენი, წელზე - კონსტანტინე არგვეთის მთავრის ვადაჯვრიანი ხმალი. იქვე აგდია მისი ფარი და ლახტი“... (2, 669).

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ქრისტიანულ იდეებსა და მოტივებს ერწყმის წარმართული იდეები და მოტივები. სინთეზი იმდენად ღრმაა და სახისმეტყველება იმდენად მრავალფეროვანი, რომ რეალურად ჭირს იმ კონკრეტული ქრისტიანული წყაროს დადგენა, საიდანაც აღებულია ესა თუ ის იდეა და მოტივი. მწერლის შემოქმედებაში ქრისტიანული სახეები ხშირ შემთხვევაში იცვლება წარმართული სახეებით. ხშირად, მწერლის თანამედროვე ადამიანები და მის მიერ გამოგონილი და შექმნილი მისი ნაწარმოების ცალკეული პერსონაჟები - ალევორიულად განასახიერებენ იმ ბიბლიურ-ქრისტიანულ სახეებს, რომლებიც იოანეს გამოცხადებაშია გამოყენებული.

შემდეგ კონსტანტინე სავარსამიძე და მისი მეგობრები ჯოჯოხეთში მოგზაურობისას მიადგებიან კოშკს, სადაც უშველებელ მარმარილოს დარბაზში მარმარილოს ტახტზე მჯდომარე მონღოლს იხილავენ, რომელიც კონსტანტინე სავარსამიძის ძველი ნაცნობი - სლანსკი აღმოჩნდება, რომელიც ნაწარმოებში - აპოკალიფსური დრაკონის (იოანეს გამოცხ. 12.1-3) სიმბოლოა:

„... მარმარილოს ტახტზე დაწვამაღალი, ყვითელეპოლეტებიანი მონღოლი იჯდა. ფართე, განზე გამდგარი ყვითელი ყურები. ყურებიდან თელგამი მოსდიოდა. თავჩაქინდრული ყვინთავდა. შევდექით.

ორი შუბს დაყრდნობილი რაინდი ტალად უდგა მარცხნით და მარჯვნივ. მარჯვენას შავი ეცვა, მარცხენას ენდროსფერი.

„სლანსკი!“ დაუწყვირე მე და ჩემსავე ხმაში ფოლადისებური წკრიალი გავიგონე... ვიძახი, ვყვი, ხმა აღარა მაქვს, გაჭირვების ოფლი მასკდება. მაშინ სლანსკის თვალებში შევხედე და შეუულოცე ისევე, როგორც გველს ულოცავდა ტაია შელია. სლანსკის დაეძინა. ავდექი, არგვეთის მთავრის ხრმალი ავიღე ისევე...

მეც ისევე ავუსრულე პირობა, როგორც მან... ყელი გამოვჭერი და სისხლი დავლიე. უცებ ისევე აჭრიალდა ჩემი ძვლები, ცივი, ამაზრზენი ხელები ვიგრძენი კისერზე. გაფითრებული კაცი თავზე წამომადგა და მეუბნება:

„თქვენ სააქაოს ანგარიშები საიქიოს გინდათ გაასწოროთ?“ ახლა ამ კაცს ვეცი გაცოფებული და წავაქციე. მან წინააღმდეგობაც არ გამიწია. სათნო თვალებით მიცქერის და ვიცანი მისი დაღრეჯილი სახე. ფერდებზე და ხელის გულებზე მოლიბრო ნამსჭვალები. ეს იყო ის კაცი, სულ პირველად რომ ვნახე ჩემი სოფლის ეკლესიაში ჯვარზე გაკრული“ (2, 671-673).

სისხლისმსმელი წარმართი სიზმარში ცნაურდება, მაგრამ იმავე სიზმარში შემოდის ქრისტიანული სული, სათნო თვალებითა და სიკეთით აღსავსე. ეს სიზმარი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში მოჩანს გაორებული სულის ყვილი, წარმართისა და ქრისტიანის ერთ პიროვნებაში ჭიდილი. კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება“ თავისი არსით ქრისტიანული ნაწარმოებია. რომანში ხორციელდება წარმართობის დაძლევა და ქრისტიანობის აღორძინება. თარაშ ემხვარის სიკვდილში გამოყენებულია სიკვდილით სიკვდილის დაძლევისა და მკვდრეთით აღდგომის ქრისტიანული იდეა.

ნაწარმოებში წარმართობა გარდაიქმნება ქრისტიანობად. გაორებული თარაშ ემხვარის სული გამთლიანდება და იგი ქრისტიანულ საწყისად იქცევა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თარაშ ემხვარი მდინარე ენგურში ჯვართან ერთად იღუპება. ჯვარი კი ქრისტეს ჯვარცმის სიმბოლოა. თარაშში შესაწირავ მსხვერპლს წარმოადგენს. იგი კვლამადი და კვლავ აღდგომადი ღვთაების სიმბოლოა. თარაშ ემხვარი იღუპება როგორც წარმართი და აღდება როგორც ქრისტე. როგორც სამყაროს ქრისტიანული საწყისი.

ეს ჯვარი „მთვარის მოტაცების“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის თამარ შარვაშიძის საკუთრებაა, რომელიც მან დაკარგა და დაკარგული ჯვარი არზაყან

ზვამბაიამ იპოვა. ნაწარმოების ფინალში თამართან მიმავალ თარაშს არზაყანი აძლევს ჯვარს და სთხოვს რომ იგი თამარს გადასცეს:

„... ორიოდ ნაბიჯიც არ ჰქონდა ცხენს გადადგმული, არზაყანი გამობრუნდა. გულდაწყვეტილად შეხედა თავის საყვარელ ულავს. ცოტა მომიცადეო, სთხოვა და სახლში შევიდა. კარგახანს აცდევინა მაგნოლიის ქვეშ ცხენოსანს. მერმე ქაღალდში გახვეული ნივთი მოუტანა თარაშს და ეს უთხრა:

ეს თამარს გადაეციო, შარშან ვიპოვნეო ეს ჯვარი ილორში, მაგრამ არ ვუმხელდიო განზრახ.

თარაშმა თამარის ჯვარი იცნო“ (1, 749).

თარაშ ემხვარი მდინარე ენგურში თამარის ჯვართან ერთად იღუპება. ჟვარი ჯვარცმის სიმბოლოა. ეს კი იმის საბუთია, რომ თარაშ ემხვარის მდინარე ენგურში დაღუპვა ქრისტეს ჯვარცმის მისტერიის სიმბოლურ-ალეგორიული ასახვაა.

აი, ეს მონაკვეთი კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებიდან“, სადაც აღწერილია თარაშ ემხვარის მდინარე ენგურში დაღუპვა:

„... შეუტია ცხენდაცხენ თარაშ ემხვარმა აზღვავებულ სტიქიონს. ერამხუტ ემხვარის უბადლო გმირობა მოიგონა, როცა იგი აჩხოსთან, ერთი მუჭა ჩერქეზების ამარა ეძგერა ხმაღამოწვდილი კაზაკების ბატალიონებს...

გაშალა მკლავები ემხვარმა. მოსტაცა თვალი მოგარვარე დისკომ მთვარისამ, თითქოს უფსკრულეთს დარჩენოდა ცეცხლებერ მგზნებარე ცალი თვალი და მიჰყვა მთვარეს ცნობაწართმეული ცურვით, მაგრამ იძალა ისევ ენგურმა, იბურთავა მთვარე, გამოსტაცა ქანცმიღეულ მცურავს და გააქანა უფსკერო შავეთში“ (1, 762-763).

ცნობილი მკვლევარი და მეცნიერი აკაკი ბაქრაძე წერდა: „თუ გავიხსენებთ, რომ ქართულ მითოლოგიაში წყლის ღმერთი იგრი სიცოცხლის საწყისია, რომ მდინარე ენგურის სახელი ამ წარმართული ღმერთის სახელიდან არისო წარმოებული, რომ იგრის სადიდებელი თვე იგრეკა, საბა ორბელიანის განმარტებით, აპრილია და, რომ თარაშ ემხვარი ენგურში სწორედ აპრილში დაიხრჩო, მაშინ უსაფუძვლო არ იქნება დასკვნა: აქაც სიკვდილის საშუალებით ხელმეორედ აღორძინება-განახლების აზრია გატარებული, რადგან თარაშის სიკვდილი იმ ღმერთის სახელთან არის დაკავშირებული, რომელსაც მართალია ხანდახან სიკვდილი მოჰქონდა (იგრის გამოჩენას წყაღდილობა და ქარიშხალიც მოჰყვებოდა), მაგრამ მაინც სიცოცხლის საწყისი იყო“ (3, 260). იგივე არგუმენტები (აპრილის მოტივი, აღორძინება-განახლების იდეა...), ვფიქრობთ, უნდა ამტკიცებდეს ჩვენს მოსაზრებას, რომ „მთვარის მოტაცებაში“ თარაშ ემხვარის ენგურში დაღუპვა ქრისტეს ჯვარცმის მისტერიის ალეგორიულ ასახვას წარმოადგენს.

მართალია, თარაშ ემხვარი იღუპება, მაგრამ ამით თავად სიცოცხლე არ სრულდება. თარაშ ემხვარის დაღუპვაში თავიდანვე დევს სიცოცხლის ხელახლა დაბადების იდეა. ნაწარმოების ძირითადი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, მართალია, ადამიანი კვდება, მაგრამ ამით თავად სიცოცხლე არ ისპობა და არ ნადგურდება. აღდგომის იდეა თავად ბუნებაში დევს, როგორც ამოუხსნელი კოდი, სიცოცხლისა და სიკვდილის ცვალებადობის პროცესი. თარაშ ემხვარის სახით კვდება სულიერად გაორებული ადამიანი, რათა შემდეგში კვლავ დაიბადოს როგორც ერთიანი და სრულყოფილი.

კონსტანტინე არსაკიძე, კონსტანტინე სავარსამიძე, თარაშ ემხვარი და მწერლის შემოქმედების სხვა გმირები ის პერსონაჟებია, რომლებმაც თავიანთი სიკვდილით სიკვდილი დასძლიეს და ეზიარნენ მარადიულ სიცოცხლეს, უკვდავებას.

### **ლიტერატურა:**

1. გამსახურდია კ., თხზულებათა ანტოლოგია, ტ. I, თბ., 1973.
2. გამსახურდია კ., თხზულებათა ანტოლოგია, ტ. IV, თბ., 1976.
3. სიგუა ს., მარტვილი და ალამდარი, თბ., 1991.
4. ღლონტი კ., ქრისტიანული მსოფლმხედველობა კონსტანტინე გამსახურდიას შექმედებაში, თბ., 2007.

### **Kakha Glonti**

#### ***The mystery of crucifixion of Jesus Christ and Konstantine Gamsakhurdia's work*** **Summary**

The mystery of crucifixion of the Christ was reflected in the great Georgian writer Konstantine Gamsakhurdia's work and his various novels as well.

The main characters of the writer's work - Konstantine Savarsamidze, Tarash Emkhvari, Konstantine Arsakidze and other characters exactly followed and repeated the Founder of Christianity - The Jesus Christ's earthly life path, by their living on the earth. They overcame the death and got everlasting life by their dying and entering the hell. The main characters of Konstantine Gamsakhurdia's novels travel to the hell, defeat the death and hell and they bring salvation and survival by their resurrection and revival. They present sacrificing lamb as Jesus Christ - which will be slaughtered in order to redeem sinful humanity. This is the basic idea, which is the main basis in the work of Konstantine Gamsakhurdia.

### **Каха Глonti**

#### ***Тайна распятия Христа и творчество Константина Гамсахурдия*** **Резюме**

Тайна распятия Христа отражается в творчестве великого грузинского писателя Константина Гамсахурдия, в его романах.

Главные герои творчества писателя – Константин Саварсамидзе, Тараш Емхвари, Константин Арсакидзе и другие персонажи - это образы, которые прожили на земле и как-то прошли путь, пройденный Христом. Они со своей смертью и прибытием в ад преодолели смерть и обрели бессмертие. Главные герои Константина Гамсахурдия путешествуют в ад, побеждают смерть и повторным Воскресением и Возрождением спасают человечество. Они являются ягнятами жертвоприношения, как Христос, который был убит для того, чтобы искупить грехи человечества. Вот главная идея, представляющая главную основу творчества писателя.

**მაია დუმბაძე**  
(საქართველო)

**ქალბატონი შოშა – ქალი ამორძალი**  
(თომას მანის „ჯადოსნური მთის“ მიხედვით)

კლავდია შოშა ცნობილი გერმანელი მწერლის, თომა მანის რომანის „ჯადოსნური მთის“ მთავარი ქალი ფიგურაა. შესაძლებელია თუ არა, რომ ქალბატონი შოშა იყოს ამორძალი? შემთხვევითი არ არის, რომ ის წარმოშობით დაღესტნიდანაა. ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რატომ ირჩევს თომას მანი კავკასიას ქალბატონი შოშას წარმოშობის ქვეყნად? ეს კითხვა არის ცენტრალური მნიშვნელობისა, რადგანაც თხრობის თეორიაში ადგილის გადმოცემა უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი. მოქმედების ადგილის წარმოდგენა არის არსებითი. ამიტომ პასუხი კითხვაზე – რატომ დაღესტანი? – ვფიქრობთ, მარტივია. თრადიციულად, კავკასია ამორძალების სამშობლოა. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ქალბატონი შოშას ისტორია იმთავითვე ამორძალების ისტორიაა. ამ მოსაზრების განმტკიცებას ისიც უწყობს ხელს, რომ ქალბატონი შოშას ამორძალებთან თავისი წარმოშობის ქვეყნის გარდა, კიდევ ბევრი რამ აკავშირებს.

როგორც ქალი, ჩვენ მიერ განხილული პერსონაჟი, არ არის ნაზი და თავმდაბალი. მისთვის დამახასიათებელია კატასავით მიპარვა, ხმაურიანი მიხვრა-მოხვრა. ის არ არის მოვლილი, როგორც ქალები კასტორპის საზოგადოებრივი ფენიდან. თუნდაც მისი ხელები გავიხსენოთ: „ჰანს კასტორპმა შეხედა ამ ხელს. ეს ხელი განსაკუთრებული ქალურობით ვერ დაიკვეხნიდა და არც ისეთი მოვლილი და ნატიფი იყო, როგორც ახალგაზრდა ჰანს კასტორპს თავისი წრის ქალთა საზოგადოებაში უნახავს. საკმაოდ ფართო და მოკლეთითებიან ხელში იყო რაღაც პრიმიტიული და ბავშური, რაღაც მოწაფისებური. ამ ფრჩხილებმა, ეტყობა, არ იცოდა, რა იყო მანიკური, ისინი მოწაფურად უშნოდ და პირდაპირ წაეჭრათ, ხოლო ნუნებზე კანი ოდნავ გაუხეშებულიყო, რაც ეჭვს ბადებდა, რომ მათ პატრონს ფრჩხილების კვნეტის უბოროტო ცოდვა შემოსჩვეოდა“ (მანი).

ეს უკვე შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი ანალოგი ამორძალებისა. ისინი ხომ გამუდმებულ ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი და შესაბამისად, არ შეეძლოთ საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა. ხელი მებრძოლი ქალის არსებითი დამხმარე საშუალებაა. განსაკუთრებით, მშვიდდის დაჭიმვის დროს ენიჭება მას გადამწყვეტი მნიშვნელობა. ყველაზე მეტი წილი ხელზე მოდის. ამორძალი და მანიკური ერთმანეთთან შეუთავსებელია.

ქალბატონი შოშა არც ეტიკეტის წესებს აქცევს ყურადღებას. მას სულაც არ ანაღვლებს ის, რომ იგი ყოველთვის იგვიანებს სასადილოში, კარებს მაგრად აჯახუნებს, იწვევს ხმაურს, ფარფატს და წერიალს, როცა სხვები უკვე ჭამის პროცესში არიან. კარების მიჯახუნება მიუთითებს ამ ქალის მბრძანებლურ როლზე. თავისი უყურადღებობითა და სხვების უპატივცემლობით, ის თავის დომინანტობას უსვამს ხაზს. შეუბრალებლად იშორებს თავიდან ყველაფერს, რაც გზაზე გადაელობება. ამორძალებიც ხომ ისე ლახავენ ყველა ცხოვრებისეულ დაბრკოლებას, როგორც ქალბატონი შოშა აჯახუნებს კარებს.

მიუხედავად იმისა, რომ „ჯადოსნური მთა“ გერმანული რომანია, ტექსტში გერმანელები თითქმის არ გვხვდებიან. ის უფრო მეტად ინტერნაციონალური ნაწარმოებია, ძალიან ბევრი უცხოელით. სცენებში შეხვდებით: იტალიელს, პოლანდიელს, ებრაელს, ავსტრიელს, მექსიკელს, ინგლისელს, ამსტერდამელს, ბერძენს,

ფრანგს, ეგვიპტელს, პოლონელს, ბელგიელს, ჩეხს, შოტლანდიელს, ესპანელს, ბულგარელს, ჩინელს, უნგრელს, დანიელს. მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით „ჯადოსნურ მთაში“ რუსები არიან წარმოდგენილნი. „Keine andere Nationalität so die Szene des Zauberbergs beherrscht wie die russische“ (4, 46). „არც ერთი ეროვნება არ ავსებს ისე „ჯადოსნური მთის“ სცენას, როგორც რუსი ეროვნების პერსონაჟები“, – ვკითხულობთ რუდოლფ ვოლფთან.

რუსები ისეთი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი, რომ მანი მათ ჯგუფებადაც კი ყოფს: „კარგი რუსების მაგიდა“ და „მდარე რუსების მაგიდა“. სუფრის წევრებს შორის ყველაზე გამორჩეული მაღამ შოშაა. იგი იდუმალი, ეროტიული ქალი ფიგურაა. ის რუსია, თავისი ფრანგული გვარის მიუხედავად, და სწორედ ეს რუსი ქალბატონი დგას რომანის ცენტრში.

ასეთი განსაკუთრებული პოზიცია პერსონაჟისა, გვაძლევს საშუალებას გავცეთ პასუხი კითხვას, თუ რატომ მიანიჭა მანმა რომანში მთავარი გმირი ქალის როლი მაინცდამაინც რუს ქალს. კავკასიის თემის წამოწევა ხომ არ არის მანის მხრიდან ერთგვარი მინიშნება იმისა, რომ მწერალს განზრახული აქვს ამორძალების თემით დაინტერესება და მათზე თხრობის დაწყება? კიდევ ერთხელ ჩნდება კითხვა: რატომ მაინცდამაინც დადესტინიდანაა წარმოშობით მაღამ შოშა. დადესტინიდან, რომელიც კავკასიაში მდებარეობს და სადაც ამორძალების კვალი მეცნიერულადაა დადასტურებული?

„აქ უპირველეს ყოვლისა, აზიური სული ტრიალებს. ეს გულუხვობა, ეს ბარბაროსული ხელგაშლილობა დრო-ჟამის ხარჯვაში აზიური სტილი გახლავთ“ (მანი) – ასე ახასიათებს რომანის ყოვლისმცოდნე გმირი, ფილოსოფოსი სეტემბრინი შორეულ კავკასიას.

რუსული განასახიერებს აზიურ კომპონენტებს. ამის მაგალითია ქალბატონი შოშა, თავისი ორი ყირგიზული თვალით. და სწორედ კლავდიას აზიური კომპონენტები, როგორცაა გაუმჭვირვალობა, უკომპლექსობა და არც ისე უნაკლო სხეულის აღნაგობა, ხიბლავენ ჰანს კასტროპს.

ქალბატონი შოშა არის რუსი და აქედან გამომდინარე, საშიში, ველური და ბარბაროსი ქალი, რადგან რუსები კვლევებში ამ თვისებებით არიან დახასიათებულნი. რომანში სეტემბრინი აკეთებს დასკვნას, რომ ყველა რუსი ბარბაროსი აზიელია. ამიტომ ახსენებს იგი „მოსკოვიტურ მონგოლეთს“, „თათრულ სახეებს“ და „ჩინგიზ-ხანს“, როცა რუსებზე საუბრობს.

ფართო ყვრიმალეებისა და ვიწრო თვალების მოტივი რომანში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და აღნიშვნის ღირსია.

„შესავლის მიხედვით (მოლერ ვან დენ ბრუკი, დოსტოევსკის უპირატესობანი, გვ. XII) „წინწამოწეული ყვრიმალეები“ სლავურის ფარგლებში მიუთითებენ აზიურ ტიპზე“, – ხსნის მ. ნოიშანი.

აღსანიშნავია, რომ ეს მოტივი ტექსტში არც ერთ სხვა სლავურ ფიგურასთან არ გვხვდება. და სწორედ ამ მოტივით ახერხებს ჩვენი რუსი ქალბატონი კასტროპის მოჯადოებას. ჰანს არ შეუძლია გაექცეს ამ აზიურ მომაჯადოებელ ძალას. ეს არის ის, რაც მას ასე ადაფრთოვანებს.

როგორც ვხედავთ, რუსული ხშირად ნეგატიურ ატრიბუტებთანაა დაკავშირებული. თუმცა, ეს სწორად მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს გაგებელი, თუ ამას ემპირიულად კი არ ავხსნით, არამედ დავსვამთ კითხვას ლიტერატურის ფუნქციის შესახებ. ეს განპირობებულია იმით, რომ აზიური პრინციპით ადამიანის მსოფლმხედველობაა აღნიშნული. კარგი იქნება აქ იმ ფრაგმენტის მოყვანა, სადაც სეტემბრინი აზიურ პრინციპს ხსნის. მისი თქმით, „სამყაროში ორი პრინციპი ებრძვის ერთმანეთს“. შეიძლება პირველს დაერქვას „აზიური პრინციპი“, მეორეს კი – ევ-

როპული. აზიური პრინციპი მოიცავს „უძრავობას, უმოქმედო სიმშვიდეს“. ეს ერთგვარი „უნიციპალიტეტი, მონური პრინციპია“ (მანი). ეს არის პასიური, ინსტიტუტური, ერთფეროვანი ადამიანის პრინციპი. ამის საპირისპიროდ დახასიათებული ე. წ. „ვეროპული პრინციპი“. „კასტორპის ისტორიაში აზიის მოტივი მოქმედებს როგორც ეროტიულ-სექსუალური ჟინი, როგორც გამაბრუებელი ქაოსის ძალა, ფსიქოლოგიურად დანახული ის, რაც გონების პრინციპსა და მშვიდ წესრიგში იჭრება“ – ასეთ დასკვნას აკეთებს არატეე კავესუმირტი თავის სადოქტორო ნაშრომში, სადაც ის „ჯადოსნურ მთაში“ აზიური მოტივის საკითხს იკვლევს.

ქალბატონი შოშა სლავეურ რასას მიეკუთვნება. კრიტიკაში ამ ხალხის ჯგუფზე საგნებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მ. ნოიმანი წერს: „ამ რუს ქალს უკვე პირველ კონცეპციაში ჰქონდა ფართო ყვრიმალეები და ვიწრო თვალები. მოელერის თანახმად სლავეურში ძველად შერეული იყო აზიური და არიულ-გერმანული ტიპი. მაგრამ უფრო თვითშეგნებული, უფრო ხალისიანი ნაწილი მოშორდა და ასე დარჩა საბოლოოდ მხოლოდ შეუგნებელი, უძრავი, გულგრილი, მომთმენი უჯრედები. მათი შეერთება იყო სლავეიზმი. წინ წამოწეული ყვრიმალეები აჩვენებენ აზიურ ტიპს, რომელშიც ყველაზე უფრო სუსტადაა მოცემული სურვილის, ინიციატივის, ენერჯის სულიერი საქმიანობა“ (2, 343).

რუს ქალზე განსხვავებული მოსაზრებისაა ნადია სრასერი. მისი აზრით, რუსი ქალი ემანსიპირებულია და საკუთარი პოზიცია გააჩნია პატრიარქალურ დაქვემდებარებაში.

„რუსი ქალის ცხოვრების სფერო, განსაკუთრებით კი განათლებული ქალისა, მამაკაცის ცხოვრების სფეროსგან განსხვავდება იმით, რომ იგი ფიზიოლოგიურად არის განპირობებული. ყველაფერში, სადაც არა სქესობრივი იღებს გადაწყვეტილებას, მისი საქციელი და სურვილი მამაკაცურისგან თითქმის არ განსხვავდება. აქედან გამომდინარე, რუსი ქალი ხშირად ვერ ითავსებს მდებარეობითი სქესისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. მისი თვისებები და მიდრეკილებები არ არის სპეციფიკური მდებარეობითი თვისებები და მიდრეკილებები. ამაშია ის განსაკუთრებულობა, რაც მათ ქალის განსხვავებული ტიპის დაღს ასვამს. და ეს ხსნის ასევე იმას, თუ რატომ განისჯება რუსი ქალი, რატომ უწოდებენ მას უცხო ქალს. მისი ქალური ბუნების ჩაწვდომის გარეშე, მიაკუთვნებენ მას მამრობითი სქესის ფიქრებსა და გრძნობებს. ამის შედეგია მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაში უჩვეულო თავისუფლება და საზოგადოებრივი კონვენციების მიმართ დიდი დამოუკიდებლობა“ (3, 212).

ეს მოსაზრებები (განსაკუთრებით, ბოლო) საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ ქალბატონი შოშას მსგავსება ამორძალ ქალებთან. ნათელია, რომ ამორძალებს ქალური ძალიან ცოტა რამ გააჩნიათ და უფრო მეტად მამაკაცურ თვისებებს ფლობენ. ასე, მაგალითად: მებრძოლი ხასიათი, სიძლიერე, კარგი შეგუების უნარი, გამძლეობა, დამოუკიდებლობა, წამყვანი პოზიცია, სხვა ქალებისგან გამორჩეული, უცხო და უჩვეულო ცხოვრების სტილი. ისინი თავად ღებულობენ გადაწყვეტილებებს, სხვისი აზრისა და საზოგადოების მიერ აღიარებული წესების გაუთვალისწინებლად. ამორძალებს მათ მიერვე დამკვიდრებული ცხოვრების წესები აქვთ, რომლებიც ხშირად გარემომცველი გარემოსთვის საშიში შეიძლება იყოს. ამ მოვლენას ვაწყდებით ჰანს კასტროპთან. ქალბატონ შოშასთან ურთიერთობისას მან უარი თქვა თავის სამოქალაქო კონვენციებზე. „ვალპურგის დამეს“, სწორედ ქალბატონ შოშას აქვს აღებული ხელში მართვის სათავეები. იგი აკვირდება კასტორპს თავიდან ბოლომდე. მივა თუ არა ახალგაზრდა კაცი მასთან, მისთვის სავსებით სულერთია. ქალი პატიუბს მას უბრალო მოტივით, დაუბრუნოს ფანქარი. ამორძალი ქალისთვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან მომენტს ამჟღავნებს შოშა, როცა



სურს, საკუთარი სურვილის მიხედვით ამოირჩიოს მამაკაცები და დაიქვემდებაროს ისინი. კიდევ სხვა, უდავოდ, აღსანიშნავი კომპონენტი იჩენს აქ თავს. იგი ღვას რომანის მოქმედების ცენტრში. ამორძალები უცხო მამაკაცებთან ატარებენ მხოლოდ ერთ სასიყვარულო ღამეს. მათ არ აქვთ და არც ჭირდებათ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან ხანგრძლივი ურთიერთობა. მამაკაცებს ამორძალები მხოლოდ სასიყვარულო ღამისა და განსაკუთრებით, განაყოფიერებისთვის იყენებდნენ. ნორმალურ, ადამიანურ ურთიერთობაზე არც კი შეიძლება იყოს საუბარი. ამით მათი ცხოვრება თავგადასავლებითაა სავსე. ვინ იცის, ვინ იქნება შემდეგი. ამორძალებთან კონვენციის საკითხი კი, საერთოდ არ განიხილება. ზოგიერთ წყაროში ისიც არის გადმოცემული, რომ ამორძალები ძალიან ცუდად ექცეოდნენ იმ მამაკაცებს, ვისთანაც სასიყვარულო ღამეს ატარებდნენ. ზოგჯერ მებრძოლი ქალები მათ კლავდნენ კიდევ. ყოველ შემთხვევაში, ამ მამაკაცების მომავალი ბუნდოვანი იყო, როგორც ეს კასტორპის შემთხვევაშია.

მადამ შოშა არის ამორძალი ქალი და გააჩნია თვისებები, რომლებიც მას განსხვავებენ სხვა ქალებისგან. თუმცა, არა მხოლოდ დამოუკიდებლობა, თავისუფლება, განუმეორებლობა, გაუმჭვირვალობა და მსგავსი თვისებები აქცევენ მას ამორძალად. აქ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი „ფართო ყვრიმალეები და ვიწრო თვალეები“ (მანი).

სწორედ, ამორძალი ქალის ეს თვისებები აინტერესებს ჰანს კასტორპს. იმთავითვე, როცა იგი ქალბატონ შოშას პირველად ხედავს, რაღაც ამოუცნობი ემართება. კასტორპი ქალს მთელი თავისი მრავალფეროვნებით ღებულობს. ერთი მხრივ, აჯადოებს გარეგნობა, აზიური ტიპი. მეორე მხრივ, იგი ქალის ქცევების გამო თავს უხერხულად გრძნობს. ეს არის კარების ჯახუნისა და დაგვიანებების არაბიურგერული მანერები.

მადამ შოშას ამორძალობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ კრიტიკოსები მას ხშირად ადარებენ ბევრ სხვადასხვა მითოლოგიურ-პოეტურ ფიგურას. იგი ხან ვენერაა, ხან გენიუსი, სიკვდილის ქალღმერთი, ან კიდევ პერსეფონე. როცა სეტემბრინი საუბრობს კლავდიას ეროტიულ ხიბლზე, ის ავლებს პარალელებს ლილიტასთან, კირკესთან, განსაკუთრებული ირონიით კი, ბეატრიჩესთან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახელი, ქალღმერთების სახელებია სხვადასხვა მითოლოგიიდან. აქ თვალშისაცემი ის ფაქტია, რომ ყველა ეს სახელი დაკავშირებულია სიკვდილთან, მაცდუნებელ ძალასთან, ქვესკნელთან, საშინელებასა თუ ჯადოქრობასთან. ამ ფაქტითაც ეჭვსგარეშეა ის, რომ საქმე გვაქვს ამორძალ ქალებთან გავლელულ პარალელებთან. მათ შორისაც არსებობდა ერთი ამორძალი, რომელიც ჯგუფში დედოფალად, ქალღმერთად იყო აღიარებული. ამის მაგალითად პენტეზილიას დასახელებაც საკმარისია. თუმცაღა ჩვენ სხვა ამორძალ ქალღმერთებსაც ვიცნობთ: პიპოლიტე, ანტიოპე, ტალესტრისი, მარპესია, ლამპეტა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უცხო, ველური, ბარბაროსი, უკომპლექსო და დამოუკიდებელი მადამ შოშა ამორძალია, „ჯადოსნური მთის“ ყველა ქალი პერსონაჟისგან განსხვავებული.

წარმოშობის ქვეყანა (ამორძალების ერთ-ერთი სამყოფელი დაღესტანი), მაშინდელი საზოგადოებისთვის უცხო ეტიკეტის წესები – კარების მიჯახუნება და ხმაურით მიხვრა-მოხვრა, აზიური მოტივის ამსახველი ფართო ყვრიმალეები და ვიწრო თვალეები, ერთდროულად რამდენიმე მამაკაცთან სასიყვარულო ურთიერთობა, გულგრილობა საკუთარი ქმრისა და ოჯახის მიმართ, მოუვლელი თითები, სხვისი აზრის უპატივცემლობა, კარგი შეგუების უნარი, მებრძოლი ხასიათი, თავისი სიტყვის გატანა, წამყვანი პოზიციის მორგება – ის ანალოგიები თუ პარალელებია, რომლებიც ჩვენს გმირ ქალს ამორძალებთან აახლოვებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „ჯადოსნური მთის“ ყველაზე უჩვეულო და მისი არაქალაქურობით გამოირჩეული მადამ შოშა, მთელი თავისი გარეგნული თუ შინაგანი თვისებებით ამორძალი ქალია.

#### **ლიტერატურა:**

1. Aratee Kaewsumrit: Asienbild und Asienmotiv bei Thomas Mann, Frankfurt am Main, Peter Lang. GmbH. 2007.
2. Michael Neumann: Thomas Mann: Große kommentierte Frankfurter Ausgabe: Werke-Briefe-Tagebücher, Der Zauberberg, Roman, Band 5.2, Fischer Verlag. 2002.
3. Nadja Strasser: Die Russin, Berlin. 1917.
4. Rudolf Wolff: Thomas Mann: Aufsätze zum Zauberberg, Band 33, Bonn, Bouvier. 1988.

**Maia Dumbadze**  
***Mme Chauchat- an Amazon***  
**(According to “The Magic Mountain” by Thomas Mann)**  
**Summary**

The main goal of the paper is to prove that Mme Chauchat, the protagonist of a famous German writer Thomas Mann’s novel “The Magic Mountain”, is an Amazon. It should be noted that there are number of literary works studying the personality of this extremely mysterious woman, although, it has never been analyzed from the given angle. A thorough and accurate analysis of Mme Chauchat’s physical features and her inner world enables us to draw particular parallels between her and Amazons. As the result, an interesting question arises – why is she from Dagestan, from the place where the trace of living Amazons is scientifically proved and acknowledged? Why is she always there on the foreground with her unfeminine, courageous and imperious character? She is a dangerous, wild and barbarian woman. Her narrow eyes and wide shaped face are frightening and attractive at the same time. Mme Chauchat, the woman excessively loving freedom, assertiveness and leadership in the society, is a significantly different character from other women protagonists. These qualities and her other resembling features with amazons give us the clue to see her as one of them, perhaps with only slight transformed character.

**Майя Думбадзе**  
***Госпожа Шоша – женщина амазонка***  
**(По произведению Томаса Манна «Волшебная гора»)**  
**Резюме**

Основной целью работы является доказать, что в знаменитой работе Томаса Манна, «Волшебная гора», главная героиня госпожа Шоша - женщина амазонка. Следует отметить, что существует много литературных произведений изучающих личность этой таинственной личности, но она никогда не обсуждалась в таком контексте. Глубокое исследование физических знаков и духовного мира госпожи Шоши, а так же точный анализ позволяет нам проводить параллели с женщинами амазонками. Почему госпожа Шоша родом из Дагестана, где след амазонок был доказана. Почему она всегда на переднем плане своим боевым и властным характером. Она опасна и дика. Её узкие глаза и широкие, выступающие вперёд линии лица одновременно привлекательны и пугающи. Госпожа Шоша любительница свободы, доминирующего положения в обществе и осуществляющая свои собственные желания, отличается от всех других женщин. Это, и многое другое общее с амазонками дает нам повод увидеть в этой женщине немного измененную женщину амазонку.

**Butiurca Doina**  
(Romania)

## TRANSPARENCY AND TRANSLATABILITY REGARDING THE TERMINOLOGY OF PROFESSIONAL PNEUMOPATHIES

### 1. Theoretical background

The theoretical studies in terminology developed on the basis of *sociolinguistic approach* from two points of view and in two different cultural contexts: in France through the research of Louis Ghillbert and in Quebec under the influence of linguists such as Pierre Auger, Claude Boulanger, J. C. Corbeil.

Jacques Maurice, the promoter of Hispanic Studies in France, introduces in the '80 the diachronic dimension to the study of terminology - a change considered untouchable from the perspective of the Wüsterian studies. The present-day theoretical studies show a growing interest in expanding the field of research from the synchronic analysis to the diachronic approach. For François Gaudin (5, 80-92) the object of study of socio-terminology is the movement of terms in the synchronic and diachronic dimension ("...les variations langagières...peuvent alors être reliées a des variables qui peuvent être sociales, historiques, géographiques." 2005, p.88).

Under the descriptive aspect, the diachronic approach proposes the establishment of the origin, of the formation of terms, of the socio-cultural and historical details, of semantic mobility, etc.

The importance of the diachronic vision in terminology also lies in the fact that it allows a comparative study of two or more languages. The contrastive study highlights the evolution of knowledge that cannot be limited to a certain language. And last but not least the diachronic analysis calls for a common, archaic conceptual background.

Synchrony today is a mobile concept (Eugenio Coşeriu called it *actual diachrony*), and as a result the scholarly literature stresses the importance of diachrony, even in the case of the issues of *semantic neology*. François Gaudin, Pascaline Dury (4) addresses the concepts of *semantic variation*, of *semantic transfer* from one language to another from a diachronic perspective.

### Types of terminological variation in the "synchronic diachrony" (Eugenio Coşeriu):

In studying *synchronic diachrony* in the *Vocabularul panlatin de pneumopatii profesionale* [The Pan-Latin vocabulary of professional pneumopathies] (Quebec 2012) we consider two aspects: corpus linguistics and sociolinguistics.

From the sociolinguistic perspective, the corpus of analyzed terms is, with the required exceptions, heterogeneous. It is a type of heterogeneity claimed/imposed by several factors, starting from the specialized discourse and continuing with the socio-cultural, geographical, historical factors which motivate terminological variations.

Fields of scientific study borrow concepts from one another, thus terms circulate. Medical sciences provide interesting features of study, especially since medicine is not a recent science and shows an impressive diachronic dynamic. In the medical terminology there is an *intra-domain variation*, on the level of subdomains, branches of medicine, as well as an *inter-domain mobility*, manifested between the medical field and its related fields (biology, anatomy, chemistry, etc.).

## **I.1. Intra-domain mobility**

### **Fr. *maladie* / Ro. *boală* / En. *disease***

The Romanian terminology provides numerous examples of synchronic diachrony. The term *boală* ['illness'] of a Slavic origin, mentioned as an element of the basic vocabulary of the Romanian language as back as the sixteenth century (6, 80) shows that present-day specialized meanings have gone through successive stages of semantic variation. There is a first stage of *conceptual-semantic mobility* marked by the transition from the common lexicon - where it designated any alteration of health translated, usually, subjectively by the sensation of pain, anxiety, etc. - to the specialized lexicon, where it designates an collection of abnormal phenomena, physical or mental, resulting in a subject by one or more endogenous or exogenous causes which may be accompanied by pathological modifications (Valeriu Rusu 2007:432). The medical language of the 18th century (2, 224) included many concepts designated by circumlocutions, including: *the diseases of the stomach*, *the diseases of the chest*, etc. For the archaic form of *lung diseases* the Pan-Latin vocabulary of professional pneumopathies uses the term *pneumopathies*. Used in the current medical terminology in over 900 linguistic calques, the term *boală* ['disease'] is characterized by a high denotative mobility, similar to its equivalents in the French and English terminology: Fr. *maladie* En. *disease*. The lexicographical and terminological dictionaries of the English language retain many synonymous terms to designate the concept of disease, such as: 1. *illness*; 2. *complaint* (*liver complaint*); 3. *ailment*, *trouble*. (Irina Panovf, *Dicționar român-englez, englez-român*, București, Editura Științifică și Enciclopedică, Bucharest: 120); *disease*; *sickness* (Macmillan English Dictionary, Oxford 2006: 1324). *Disease* has however acquired a special dynamic in the English medical language use.

Presently the syntagms formed with the Rom. *boală*/ Fr.*maladie*/ En. *disease* know at least three directions of development in the evolution of new knowledge in the field, moving toward a *universal conceptual-semantic dynamic*:

1. *syntagms that designate diseases with a common name*: Ro. *boala cronică de altitudine* (cf. Fr. *maladie chronique d'altitude*; En. *altitude disease* ), Ro. *boala cultivatorilor de in* (Fr. *maladie des travailleurs du lin*; En. *flax dresser's disease*), Ro. *boala fabricanților de detergenți* (Fr. *maladie des ouvriers des usines de détergents*; En. *enzyme detergent respiratory disease*), etc.

2. - *polilexical metaphors*: Ro. *boala acoperișului de stuf* (Fr. *maladie du toit de roseau*; En. *thatched roof disease*); Ro. *boala copiilor roșii* (Fr. *maladie des enfants rouges*; En. *red boys disease*); *boala lanțurilor grele* (Fr. *maladie de chaînes lourdes*; En. *heavy chain disease*), etc.

3. - *syntagms with proper names*: Ron. *boală Hunter*; Ro. *boală Kobi*, Ro. *boală Mari*, etc.

The syntagms with proper names do not use equivalents of the same linguistic structure in every language: unlike the Romanian and Spanish corpus where we find expressions such as Ro. *boală Rivalta* / syn. *actinomicoză*, Sp. *actinomicosis* / Sp. *enfermedad de Rivalta* (based on the French model: Fr. *actinomyose* (f.n.); Fr. *maladie de Rivalta*), the English language does not express the concept by a syntagm with a proper name: En. *actinomycosis* / syn. *ray-fungus disease*.

## **I.2. Inter-domain mobility**

### **I.2.1. Semantic transfer**

The lexicon of professional pneumopathies is no exception from the point of view of inter-domain mobility: it takes over - through semantic transfer - terms from domains relatively close to the medical field, giving them the acception of occupational disease: the term *morvă* (f.n.) calqued in the Spanish (Sp. *muermo*, m.n.), the Galician (*mormo*, m.n.), the Italian (*morva*, f.n.), in the continental Portuguese (*morvo*, m.n.) and in the Romanian (*morvă*, f.n.) terminology, based on the French model (Fr. *morve*) is one of the many examples of inter-domain mobility. In Latin *morbus*, *i* (m.n.) designated concepts of physiological diseases, illnesses of the soul as well as the notion of *Morbi* (pl.) used in Roman mythology to name deities of the Underworld (Gheorghe Guțu,

*Dicționar latin-român*, Humanitas 2003: 839). Although it has been stated that the Latin *morbus* does not have any continuation in the Romance languages, there is one successor in the veterinary terminology, the term *morvă*. Emile Littré in *Le Dictionnaire de la langue française* reports for the first time, with reference to the veterinary terminology, the specialized meaning the French language confers the Neo-Latin variant of *morve* [“maladie infectieuse des chevaux transmissible à l’homme” (<http://littrereverso.net/dictionnaire-francais/>)]

Pascaline Dury (Pascaline Dury, *Les variations sémantiques en terminologie: étude diachronique et comparative appliquée à l’écologie*, în *Semantique des termes specialises*, coord. Valérie Delavigne și Myriam Bouveret, 1999, Universitatea Rouen, Paris) shows the fact that semantic transfer from one domain to another certifies the polysemy of terms (v. supra Fr. *morve*; En. *glanders / farcy*). The equivalents Fr. *mal* (m.n.) / Ro. *rău* (n.s.) / En. *sickness* are other examples.

**Fr. *mal* (m.n.) / Ro. *rău* (n.s.) / En. *sickness*;**

In the French common language *mal, e* (adjective) was used with the semi-specialized meaning of *pain, suffering* (in Fr. *maux de tête* - ‘headache’). Analyzing the specialized language in the field of *professional pneumopathies*, we observe that by moving from the class of adjectives to that of nouns, *mal* (m.n.) has acquired through terminologization a high level of *intradomestic semantic mobility*: *mal des montagnes* (m.n.); *mal d’altitude* (n.n.). Following this model, the Western Neo-Latin languages create (by preserving the etymon *malus, a, um*) several semantic calques to designate *decompression sickness / mountain sickness*, etc. The migration of the term *mal* in the 18<sup>th</sup> century into the field of Romantic aesthetics, in the phrase *mal du siècle* - has a double relevance: it attests the polysemy of the term, on the one hand, and on the other it illustrates the diachronic character of the external polysemy of the term.

In the vocabulary of the Romanian language the adjective *rău* (cf. lat. *reus, i*) develops a quasi-identical grammatical and semantic route: it has, on the one hand, the meanings of ‘lacking quality’ / ‘disobedient’ / ‘who upsets, who offends’ / ‘anxious, burdensome’ in the general lexicon, and on the other hand, under the at least partial influence of the French model (*mal* adj. / subst.), the specialized meaning of ‘disease’ (becoming a noun). In the terminology of *professional pneumopathies* the term *rău* is used in semantic calques following the French pattern: med. *rău acut de munte* [‘acute mountain sickness’]; *rău de altitudine* [‘height sickness’]. In the English terminology, med. *sickness* requires the same disambiguation of the specialized meanings: *acute mountain sickness, decompression sickness, height sickness, motion sickness, sea sickness*, etc. The polysemy of the term is a semantic characteristic mentioned, among others, in the *Macmillan English Dictionary* (“a particular illness: *climbers who suffer badly from altitude sickness*”: 1324).

**Fr. *intoxication* / Ro. *intoxicație* / En. *poisoning* /**

The English term *poisoning* is another example for polysemy, a phenomenon present in the paradigmatic relations of English medical terminology. The term is used in two types of contexts: as a semantic equivalent of the French *intoxication*, as it can be seen in the following examples:

En. *arsine poisoning* (Fr. *intoxication par l’hydrogène arsénié* (f.n.))

En. *cadmium poisoning* (Fr. *intoxication par le cadmium* (f.n.)).

From the socio-terminological point of view, *poisoning* shows besides its contextual disambiguation capability a high capacity of transparency of conceptualization: the syntagms created in the English language double the scholarly term, advancing the Greek-Latin origin term in use:

En. *antimony poisoning* together with En. *hydrargyrisim* [cf. Fr. *antimoniose* (f.n.)]

En. *arsenic poisoning* together with En. *arsenicism* [(Fr. *arsenicisme* (m.n.)]

En. *mercury poisoning* [(Fr. *hydrargisme* (m.n.)]

En. *antimony poisoning* together with En. *hydrargyrisim* [cf. Fr. *antimoniose* (f.n.)]

### I.2.2. Metaphor through interaction

*The metaphor through interaction* is the fusion between two distinct areas of knowledge that allow the birth of a new concept. According to this theoretical framework, the terminological metaphor is an atypical creation as it is not founded - in its own principles - on a similarity. It is the result of the interaction between two concepts associated with the same syntagms / terminological structures, as well as between the concept of the related field and a new concept, used by the receiving field.

The vocabulary of professional pneumopathies employs a large number of terms coming from related fields. 1. from geology: argint ('silver'), bauxită ('bauxite'), cărbune ('coal'), caolin ('caolin'), cobalt ('cobalt'), grafit ('graphite'), pământ ('earth'), plumb ('lead'); 2. from chemistry: arsenic ('arsenic'), azot ('nitrogen'), monoxid de carbon ('carbon monoxide'), talc ('talcum'); 3. from natural sciences: bumbac ('cotton'), câmp ('field'), cânepă ('hemp'), ciupercă ('mushroom'), munte ('mountain'); food: cafea ('coffee'), ceai ('tea'), brânză ('cheese'), malț ('malt'); 4. from the domain of professions: blănar ('furrier'), coafeză ('hairdresser'), cultivator de in ('flax grower'), degustător ('taster'), fabricanți de detergenți ('detergent manufacturers'), fermier ('farmer'), lustruitor de argint ('silver polisher'), țesător ('weaver'); from zoology arici ('hedgehog'), pasăre ('bird'), canar ('canary'), etc. There are domains which seem not to have any *a priori* scientific or logical connection with the *hard core* of traditional medical knowledge. The new branches of medicine, however, impose an impressive number of new concepts through interaction, moved semantically and linguistically into its own application domain. Out of the 161 terms, 42% conceptualize elements of knowledge in the field of pneumopathies through metaphors formed on the bases of logical relations of interaction:

Fr. *aluminose*; En. *aluminosis*, Ro. *aluminioză* (cf. Lat. *alumen, inis* (n.n.) 'alum');

Fr. *actinomyose* (f.n.); En. *actinomycosis*; Ro. *actinomicoză* (cf. Gr. *ἀκτίς, -ίνος* s.f. 'ray of light, glow, heat' + Gr. *μύκης, -ητος (-ου)* m.n. 'mushroom');

Fr. *anthracose* (f.n.), En. *anthracosis*, Ro. *antracoză* (f.n.) [cf. Gr. *anthrax, -akos*, 'coal'];

Fr. *argyrie* (f.n.), En. *argyria*, Ro. *argiroză* (f.n.) [cf. Gr. *ἀργύριον, -ου* n.n. 'silver, money'];

Fr. *barytose* (f.n.), En. *baritosis*, Ro. *baritoză* (f.n.) [cf. Gr. *Βάρος, -εως* n.n. 'weight, gravity, load, disgrace'];

Fr. *échinococcose* (f.n.), En. *echinococcosis*, Ro. *echinococoză* (f.n.) [cf. Gr. *ἐχίνοσ, -ου* 'hedgehog with thorns'];

Fr. *géotrichose* (f.n.), En. *geotrichosis*; Ro. *geotricoză* (f.n.) [cf. Gr. *γή, γής* 'earth'];

Fr. *hydatidose* (f.n.), En. *hidatidosis*; Ro. *hidatidoză* (f.n.) [cf. Gr. *ὑδωρῦδατος* n.n. 'water, rain, sweat, canal'];

Fr. *mycose* (f.n.), En. *mycosis*, Rron. *micoză* (f.n.) [cf. Gr. *μύκης, -ητος (-ου)* m.n. 'mushroom'];

As it can be observed in the given etymologies, the analysis of metaphors of interaction reveals an archaic conceptual basis of a Greek-Latin origin.

Few terms use other types of conceptual foundations. Among such terms we can mention: Ro. *cobaltoză* (cf. Fr. *cobaltose* (f.n.), En. *cobaltosis*) sends to the German conceptual foundation [cf. Germ. *Kobalt*, var. of *Kobolt* - goblin of the mines], Ro. *boala legionarilor* (cf. Fr. *légionellose*; En. *legionnaires' disease/ legionellosis*) is of a French origin, etc. The term *légionellose* was created based on the concept of *Legionella* dating back to 1976, when a first description of the Legionnaires' disease was presented at a congress held in Philadelphia by *American Legion*.

In *corpus linguistics*, a practice in the terminographic studies created under Realiter is using the metaphor of interaction as a *label-term*, highlighting the *common archaic conceptual foundation* of the medical terminology. For example Fr. *saturnisme* (m.n.) [cf. Lat. *Saturnus, i* (s.m.) "old Italic god; Saturn; god of the Sun at the Phoenecians"] used as a label-term has a double

quality both from the methodological and functional point of view: maintaining the conceptual monoreferentiality of the corpus on the one hand, and emphasizing the archaic conceptual foundation on the other, even if the socio-terminological analysis shows the fact that use imposes to different extents several terminological variants: Fr. *intoxication par le plomb* (f.n.); Sp. *envenamiento por plomo* (m.n.) [MX]; It. *avvelenamento da piombo* (m.n.), En. *lead poisoning*, etc. The English language uses the term *plubism*. It is a model based on which the Galician language uses the equivalent *plubismo* (m.n.), similar to Brazilian Portuguese [*plumbismo* (s.m)] [BR].

*Psittacose* (f.n.) En. *psittacosis*; Ro. *psitacoză* (f.n.) [cf. Gr.  $\varphi\iota\tau\tau\alpha\kappa\acute{o}\varsigma$ , -οῦ m.n. “parrot, magpie”] is another metaphor of interaction, used as a label-term. The French and English language creates specific terminological syntagms such as Fr. *fièvre des perroquets* (f.n.) / *maladie des perroquets* (f.n.), En. *parrot disease* / *parrot fever*. We find several variations in use, such as It. *psittaco-ornitosi polmonare* (f.n.), Pt. *pulmão dos criadores de pássaros* (m.n.) [BR].

### I.3. The mobility of the terminological variants;

We discuss an accentuated *mobility of terminological variants*, especially in Brazilian Portuguese, in Mexican Spanish and/or in American English. This type of linguistic mobility of the corpus indicates evolutions and differences in structure, and it needs to be correlated with the geographical variable of the linguistic space. So for example for the French *alvéolite allergique extrinsèque* (f.n.), the Anglo-Saxon terminology uses the syntagm *extrinsic allergic alveolitis* [GB] and the acronym EAA[GB], while in the case of American English the syntagms *hypersensitivity pneumonitis*/ *hypersensitivity pneumonia* [US] have been introduced. The phenomenon of geo-linguistic differences is general in the Neo-Latin linguistic corpus as well: for the concept known in French as *ornithose* (En. *ornithosis*), Continental Portuguese uses a semantic calque based on the French model (*ornitose* f.n.), but also a specific terminological variant *psitacose* (s.f.). Instead, Brazilian Portuguese uses the syntagm *doença dos de tratadores de aves*, as well as the term *clamidiose* (f.n.), unique in the Neo-Latin vocabulary of professional pneumopathies. It is not the only example. In Brazilian Portuguese there are other terms specific to the linguistic area that cannot be found in neither of the Neo-Latin languages: Pt. (BR) *zigomicoze* (s.f.) [unlike Catalan, Spanish, Galician, Romanian which have applied the French model [Fr. *phycomycose* (f.n.)], Pt. (BR) *lamparão*, m.n. [equivalent of Fr. *morve* (f.n.)], etc.

The use of terminological variants has at least two reasons: on the one hand it reflects a geo-linguistic characteristic; on the other it confers a conceptual-semantic transparency to the used term - with the help of their own linguistic instruments. So, for example, Brazilian Portuguese uses the syntagm *ebre de San Joaquin*/ *febre de São Joaquim*/ *febre do vale* characterized by high transparency of meaning, given by the geographical name *San Joaquin* (the fungal infection is predominant in the *San Joaquin* Valley in California, USA). The continental Neo-Latin languages, Mexican Spanish and partially English uses for the term *febre de San Joaquin* semantic calques based on the French model *coccidioïdomycose secondaire* (f.n.)/ *coccidioïdomycose progressive*.

The geo-linguistic variable in making the meanings transparent is present in both English terminology and the Neo-Latin terminology: En. *North American Blastomycosis*, En. *Brazilian blastomycosis*, but also: Ca. *malaltia de Chicago*, Sp. *efermedad de Chicago*, Ro. *blastomicoză nord-americană*, Ro. *blastomicoză braziliană*, etc.

In its broad sense, the terminology of professional pneumopathies was formed through semantic calque, based on the French model - on the horizontal axis, as an extension of the specialized language from different Indo-European languages. In a narrow sense - on the vertical axis (regarding the relationship of the common lexicon - CL - and specialized lexicons - SL - of every target language) - the mechanisms and strategies of semantic transfer are variable, depending on the etymological source / on image / on the type of semantic representation / on typology (inflected/agglutinating) of the languages, even if the designated referent retains its mono-

referential character. Disambiguation is achieved in the context.

There are numerous situations in which Neo-Latin languages create terminological *variants* in their own linguistic fields (preserving Greek and Latin lexical elements) to name certain professional diseases without the French and/or English model: in the Mexican Spanish terminology and in Brazilian Portuguese we signal the highest number of cases: Sp. *adiaspiromicosis pulmonar* (f.n.) [MX]; Pt. *adiaspiromicose humana/adiaspiromicose pulmonar* (f.n.) [[BR ]], compared to Fr. *adiaspiromycose* (f.n.) and En. *adiaspiromycosis* and / or En. *adiaspirosis*.

In other situations terms are created through semantic calque, based on the English model. The phenomenon is frequent both in continental and Mexican Spanish terminology, in European and Brazilian Portuguese, in Italian, etc.

We believe that the diachronic study of present-day terminology is especially important under two aspects: that of polysemy and of the specialized metaphor - both relevant in the heuristics of terminological creation.

### **Works Cited**

#### **Sources**

#### **Sources**

Bover, Bagarry, Ramon, Burguera, Galera, Aparicio. 2012. in *Vocabulaire panlatin des pneumopathies professionnelles*. eds. Tina Celestin, Xavier Darras, Denis Godbout. Québec: Office Québécois de la langue française.

Butiurca, Toma, Bidu-Vrănceanu, Raris, Leu, Grigore, Niculescu. 2012. in *Vocabulaire panlatin des pneumopathies professionnelles*. eds. Tina Celestin, Xavier Darras, Denis Godbout. Québec: Office Québécois de la langue française.

Comeau. 2012. in *Vocabulaire panlatin des pneumopathies professionnelles*. eds. Tina Celestin, Xavier Darras, Denis Godbout. Québec: Office Québécois de la langue française.

Finatto, Goldnadel, Tietboehl Filho, Blank. 2012. in *Vocabulaire panlatin des pneumopathies professionnelles*. eds. Tina Celestin, Xavier Darras, Denis Godbout. Québec: Office Québécois de la langue française.

Gioroceanu, Alina. 2008. *Terminologia greco-latină în româna actuală*. Craiova: Editura Aius PrintEd.

Guinovart, Clemente, Zamuz, Alvarez. 2012. in *Vocabulaire panlatin des pneumopathies professionnelles*. in *Vocabulaire panlatin des pneumopathies professionnelles*. eds. Tina Celestin, Xavier Darras, Denis Godbout. Québec: Office Québécois de la langue française.

Guțu Gheorghe. 2003. *Dicționar latin-român*, 2003. Bucharest: Humanitas.

Lino, Contente, Garcia, Travessos 2012. in *Vocabulaire panlatin des pneumopathies professionnelles*. in *Vocabulaire panlatin des pneumopathies professionnelles*. eds. Tina Celestin, Xavier Darras, Denis Godbout. Québec: Office Québécois de la langue française.

Littre, Emile. Littre in *Le Dictionnaire de la langue française*. [<http://litre.reverso.net/dictionnaire-francais/>].

Macmillan English Dictionary. 2006. Oxford.

Panovf Irina. 1978. *Dicționar român-englez, englez-român*. Bucharest: Editura Științifică și Enciclopedică.

Rusu, Valeriu. 2007. *Dicționar medical*. Bucharest: Editura Medicală.

Sánchez, Sánchez Cuéllar, Pozzi, Conde. 2012. in *Vocabulaire panlatin des pneumopathies professionnelles*.

Zanola, Bonadonna, Borghetti, Fiora 2012. in *Vocabulaire panlatin des pneumopathies professionnelles*. eds. Tina Celestin, Xavier Darras, Denis Godbout. Québec: Office Québécois de la langue française.



## **Literature:**

1. Bidu-Vrănceanu Angela. Terminologie și terminologii. Bucharest: Editura Universității. 2012.
2. Chivu Gheorghe. Stilul celor mai vechi texte românești (1680-1780). I-Introducere. II-Stilul textelor lingvistice. III-Stilul textelor matematice. IV-Stilul textelor medicale. V-Stilul textelor filozofice. in *Limba Română*. XXX. IV: 224. Chișinău. 1980-1981.
3. Coșeriu Eugen. Sincronie, diacronie și istorie. Bucharest: Editura Enciclopedică. 1977.
4. Dury Pascaline. Les variations sémantiques en terminologie: étude diachronique et comparative appliquée à l'écologie, in *Semantique des termes specialises*, eds. Valérie Delavigne și Myriam Bouveret, Universitatea Rouen. 1999.
5. Gaudin François: *Socioterminologie, une approche sociolinguistique de la terminologie, Cahiers de praxématique* [Online], 42 | 2004, document 15, Online since 31 May 2010, connection on 27 February 2015. URL: <http://praxématique.revues.org/2188>.
6. Purdelea Sitaru. Etnomedicină lingvistică. Timișoara: Editura Amarcord. 1999.
7. Slușanschi Dan. Studiul vocabularelor speciale, in *Studii și cercetări lingvistice XX*, 1971.

### **ბუტირკა დოინა პროფესიული პნევმოპათიის გამჭვირვალობა და თარგმანუნარიანობა რეზიუმე**

სტატიაში მოცემულია ტერმინოლოგიის დიაქრონული კონტრასტული კვლევა „პროფესიული პნევმოპათიის“ სფეროში 160 ცნების საფუძველზე. კვლევის ამოცანა იყო საერთო ენასა და სპეციალიზირებული დარგის ტერმინოლოგიას, ბერძნულ-ლათინურ, ნეო-ლათინურ და ინგლისურ ენებს შორის კავშირის შესწავლა. კვლევის საგანს წარმოადგენდა ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას ტერმინების მნიშვნელობის შენარჩუნების გზები, ეკვივალენტურობის შაბლონები, ტერმინოლოგიური მეტაფორების როლი. სემასიოლოგიურ კვლევასთან ერთად ვისარგებლეთ შედარებითი, აღწერითი, ენობრივი ანალიზის მეთოდებით.

კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ სამედიცინო ტერმინოლოგიის ეკვივალენტურობის/თარგმნის მოდელები სხვადასხვა ენაში განსხვავდებიან რამდენიმე (სემასიოლოგიური, ენობრივი, კულტურული, ეტიმოლოგიური და ა.შ.) კრიტერიუმის მიხედვით.

### **Бутирка Дойна Прозрачность и переводимость терминологии профессиональной пневмопатии Резюме**

В статье рассматривается диахроническое сравнительное исследование (применяемое в английском языке и нео-латинских языках) терминологии в области «профессиональных пневмопатий» на примере 160 понятий. Связь между общим языком и терминологией специализированной области исследования, между греко-латинскими, нео-латинскими языками, и английскими языками, а также типы междисциплинарности представляют некоторые из задач нашего исследования. Другими вопросами настоящего анализа являются пути сохранения однозначного характера терминов с одного языка на другой, шаблоны

Автор, в своей статье, рассматривает разнообразие педагогических игр, их значимые функции, принципы классификации, механизмы привлекательности игр, ограничение и недостатки их использования в образовании.

**Кифаят Мамедова**  
(Азербайджан)

## **ВЛИЯНИЕ ЗАНЯТИЙ ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРОЙ НА ПОВЕДЕНИЕ И ОБЩЕЕ РАЗВИТИЕ ДЕТЕЙ ДОШКОЛЬНОГО ВОЗРАСТА**

Основа физического развития, здоровья и культуры поведения ребенка закладывается в его «первой школе» - в семье. Взаимоуважение среди членов семьи, заботливое отношение к взрослым и детям, справедливость и искренность по отношению к людям, уступчивость и развитие других этических качеств, наряду с влиянием на формирование личности ребенка еще с малых лет, также способствует терпеливости, вежливости и уважению к своим товарищам во время игр, во время физических занятий, соблюдению норм поведения в отношении взрослых и своих сверстников. В последующие годы данный процесс запланированно, целенаправленно и периодически осуществляется в детском саду во время занятий по физкультуре согласно программе дошкольного образования (курикулум для 3-6 лет). Отражение знаний детей, направленных на здоровье детей в сфере развития программы «Физическое развитие, здоровье и безопасность» на развитие их навыков, обеспечивает реализацию стандартов содержания определенным критериям согласно периоду от 3 до 6 лет, что в свою очередь регулирует системность физического развития детей в дошкольных учреждениях.

Известно, что в период дошкольного возраста, поведение детей согласно учебным правилам, дисциплинированность, уважительное отношение к воспитателю и общим поручениям, уступчивость товарищам и другие этические навыки наряду с другими учебными процессами также развивается и во время занятий по физкультуре. Физические занятия и игры оказывают большое влияние как на моральные качества детей дошкольного возраста, так и на развитие их внешнего облика. Так, у детей развивается высокий моральный дух, оптимизм, выносливость, самоуверенность, терпеливость, обогащение мыслительных чувств, коллективизм, одновременно с этим оперативность, здоровый организм и правильная осанка.

По поводу умственного и физического развития детей дошкольного возраста во все времена со стороны специалистов, выдающихся педагогов, психологов, писателей и поэтов выдвигались различные мнения, и по сей день в наше современное время высказываются многочисленные мысли и суждения. Однако еще с древних времен, с момента рождения ребенка считали важным уделять особое внимание умственному развитию и здоровью ребенка и обучению его согласно возрасту. Выдающийся азербайджанский философ XII века Н. Туси, утверждал важность обеспечения физического развития, физической подготовки детей еще с первых дней жизни. Отношение Н. Туси к данному вопросу можно увидеть в его комментариях написанных к книге «Закон». По Туси, физическое здоровье, выдержка и этические чувства, составляют единое целое. С этой точки зрения великий философ не ошибался в видении физического воспитания как единства, дополняющего этическое воспитание. Он утверждал, что на здоровье человека влияют три основных фактора – солнце, вода и воздух, что человек должен в достаточной степени пользоваться чистым воздухом и солнечным светом. По его мнению, вода- это чистота и как основной показатель этого нужно содержать тело в чистоте, он также рекомендовал при омовении рук очищать участки между пальцами, уделять особое внимание чистоте ногтей, чистить зубы. Великий ученый также утверждал, что вторым фактором, влияющим на выносливость организма с физической точки зрения, на обеспечение здоровья, является воздух. По словам ученого чистый воздух способствует расслаблению, снятию усталости мозга. Великий

мыслитель также считал необходимым проведения большего промежутка времени ребенка на открытом воздухе и рекомендовал периодически очищать, проветривать воздух в квартире. Н. Туси в свою очередь отмечал оказание высоты потолков, ширины окон на здоровье людей, а причины возникновения определенных болезней связывал с недостаточностью воздуха и влажностью, сыростью. По словам Н. Туси солнечный свет играет огромную роль в обеспечении здоровья человека. Он обычно рекомендовал, наличие особой одежды для каждого сезона, отмечал, что ребенок не должен одеваться слишком плотно, чтобы не потеть, и не слишком мало, чтобы потом простужаться.

Как видно, еще с древних времен, выдающиеся философы, педагоги и ученые утверждали важность постоянного контроля за состоянием здоровья и развития детей еще с самого раннего возраста. Произнесенные в свое время эти ценные мысли во все времена высоко ценились людьми, и соответствующим образом применялись и в семье, и в процессе физического обучения в дошкольных учреждениях.

Говоря о физическом развитии детей дошкольного возраста, предусматривается не просто их физическая, но и моральная сила, воля и т.д. Так в процессе физической культуры, наряду с развитием мышц, организма ребенка, в них формируются высокие этические качества: правила культурного поведения, заботливость, человечность, такие высокие человеческие чувства, уважение к национальным традициям и обычаям. Одним словом, на занятиях по физической культуре поговорка «В здоровом теле- здоровый дух» способствует интеллектуальному развитию.

В дошкольных воспитательных учреждениях наряду с практической деятельностью детей, также важно обучение детей, характер взаимоотношений. Физические движения детей всех возрастных групп и дошкольного периода (старшая, средняя и младшая группы) наряду с обеспечением здоровья и бодрости ребенка, также способствуют их будущей здоровой жизни.

Выполнение каких-либо физических движений детей дошкольного возраста не только на занятиях по физической культуре, но при выполнении определённой физической работы, других видов деятельности (игры, труда и т.д.), обеспечивают и укрепляют общее развитие организма.

Неподвижный образ жизни, отстранение от физической работы, оказывают отрицательное влияние на развитие организма, в частности на развитие нервной системы. Во время физических движений у ребенка формируется не только развитие отдельных анатомических органов, одновременно происходит развитие его умственных способностей, что в свою очередь посредством движений формирует важные навыки для жизни ребенка. Проведенные исследования и наблюдения в осуществлении данных процессов в систематизированном виде дают основание утверждать, что дети дошкольного возраста, играясь с игрушками и предметами, переходя от неточных движений к точным движениям, стремительно переходят от развития больших моторных навыков к меньшим моторным навыкам.

Для здоровья, бодрости и физической выносливости детей в учреждениях дошкольного образования, предполагаются нижеследующие факторы:

1. защита здоровья детей;
2. всесторонне укрепление и физическое развитие их организма;
3. обеспечение безопасности детей при выполнении физических движений во время занятий по физкультуре и других видов деятельности;
4. соблюдение правил ежедневного режима, являющегося залогом физического здоровья.

Физическое развитие для детей дошкольного возраста происходит в различных формах. Так, занятия по физической культуре, проводимые в течении недели в детском саду,

соблюдение правил гигиенической культуры, использование солнечных, воздушных и водных процедур, нормальное и режимное питание, активные игры, занятие различными видами спорта, утренняя гимнастика и прогулка на открытом воздухе, одним словом четкое соблюдение режима и т.д., наряду с оказанием огромной роли на развитие и физических, и моральных качеств детей дошкольного возраста, также существенно влияет на общее развитие ребенка.

Ввиду того, что точное исполнение физических движений связано с деятельностью нервной системы, физические качества исполняются не механически, а осмысленно. Начиная с периода дошкольного возраста, для формирования у детей быстроты и ловкости в связи с исполнением движений за короткий промежуток времени, наряду с использованием определенных обучающих упражнений, нужно добиться осмысленного исполнения движений. На занятиях по физической культуре посредством этих упражнений у детей формируется и развивается выносливость, сохранение уравновешенности организма. Формирование уравновешенности организма ребенка нужно начинать еще с 5-6 месячного возраста ребенка. Сидячее положение 5-6 месячного ребенка, ползание на четвереньках в 8-9 месячном возрасте, являются первыми упражнениями обеспечивающими равновесие ребенка. Общеизвестно, что сохранение равновесия в организме, связано с деятельностью центральной нервной системы, однако ввиду того, что у детей дошкольного возраста нервная система развита еще слабо, способность сохранять равновесие у них также низкая. Частое падение ребенка, отношение к людям и предметам, тошнота, головокружение, наблюдаемое при быстрой езде, связано со слабым развитием равновесия и вестибулярного аппарата. Езда на велосипеде, катание на игрушечных конях, ходьба на бревне, движение в воде, катание на качелях, способность исполнения гимнастических, акробатических и других движений, связано с развитием равновесия. Естественно, такие физические качества появляются не сами по себе, а во время занятий по физической культуре, в результате организации специальных системных упражнений или во время игр.

Учитывая важную роль выполнения норм поведения в формировании личности ребенка, здоровья и физического развития, наряду с другими занятиями, также на занятиях по физической культуре воспитатели, уделяя особое внимание этим вопросам, должны развивать у детей искренность в отношениях и поведении друг к другу, со своими сверстниками и взрослыми, в частности осторожное обращение со своими товарищами во время игр и физических движений. Они не должны допускать грубости по отношению к своим товарищам во время игр, быть уступчивыми, соблюдать чистоту, правила гигиены. Известно, что занятия по физической культуре у детей дошкольного возраста, проявляющих огромный интерес к учебной деятельности, играют роль стимула в их деятельности, что в свою очередь доставляет детям радость и создает условия для искренности с товарищами.

В физическом развитии детей дошкольного возраста имеются несколько важных факторов и одним из них является правильное соблюдение культурно-гигиенических норм. Так воспитание навыков личной гигиены у детей, оказывает огромное влияние на их здоровый физический рост, на правильное поведение как в быту, так и в обществе. Соблюдение детьми гигиенических норм, является залогом их психологического и физического здоровья. Каждый родитель и воспитатель, для прививания детям привычек соблюдения гигиенических норм и с возрастом усовершенствования этих навыков, еще с малых лет должны обучать их этому. Для этого детей в первую очередь нужно учить элементарным вещам: мыть руки мылом до и после еды, после туалета, возвращения с прогулки и т.д., и со временем такие важные навыки должны развиваться и превращаться в привычку.

В формировании личности ребенка и в его физическом развитии игра как особый вид деятельности, играет незаменимую роль в общем развитии ребенка. Опыты показывают, что



игровая деятельность, оказывая сильное влияние на психологию ребенка, прививает ему такие положительные качества как дружба, товарищество, толерантность, воля, соблюдение правил коллективизма, взаимоуважение, забота друг о друге. Совместные игры учат детей таким важным вещам как деление (игрушки и т.д.), взаимное согласие с товарищами, забота друг о друге, оценка деятельности участников игры и т.д. Каждый воспитатель должен использовать приемлемые возможности для прививания детям терпеливости и честности, отважности, ответственности и активности во время игры. Обычно во время игры возникают множество ситуаций требующих проявления этих качеств. Ввиду того, что игра является свободным видом деятельности, здесь личностные и половые особенности детей, их способности, выносливость, характер более явно проявляют себя и дети оказавшиеся в идентичной ситуации, ведут себя не адекватно. Соблюдение очередности в играх, ответственность, инициатива, независимость, соответствие своих движений с движениями других, согласие с товарищами и т.д. составляют основной смысл игры.

В физическом развитии детей дошкольного возраста активные игры играют особую роль. Активные игры обычно наряду с положительным влиянием на детский организм, прививает им такие положительные качества, как активность, воодушевление, инициативу, творчество и т.д. Как видно, активные игры наряду с физическим развитием, одновременно также оказывают большое влияние на нравственное развитие ребенка. Основной особенностью таких игр является участие в игре любого количества детей и коллективная игра детей всех без исключения. Активные игры организовываются в неделю 1-2 раза с участием воспитателя.

В здоровье ребенка ежедневные прогулки также играют огромную роль. Прогулки организовываются на открытом воздухе с проведением физических движений и активных игр. Основная цель прогулок - это активность детей в определенное время суток.

Известно, что еще начиная с дошкольного периода, проведение утренней гимнастики оказывает огромное влияние на развитие ребенка. Проведение утренней гимнастики ежедневно перед завтраком начиная с 3-х летнего возраста, наряду со здоровьем ребенка, одновременно формирует у них воспитательные качества. Выполнение гимнастики или других физических движений, в основном выполняются в коллективной форме, что в свою очередь оказывает сильное влияние на развитие таких качеств как коллективизм, сплочённость, единство, дружба, сотрудничество, человечность, а также развитие внешнего вида, осанки ребенка.

Как видно, в период дошкольного возраста физические качества развиваются намного лучше. Современный образ жизни требует от человека быстроты, проворности, терпеливости, скорости, силы, способности действовать в соответствии с ситуацией. Поэтому каждый воспитатель в детском саду, для обеспечения физического здоровья детей, должен серьезно отнестись к этому вопросу и уделить внимание данной сфере.

Таким образом, на занятиях по физической культуре в дошкольных образовательных учреждениях упражнения, направленные на физическое развитие детей, наряду с укреплением их здоровья, одновременно, оказывая огромное влияние на формирование культуры поведения, высших нравственных качеств, обеспечивают общее развитие детей.

### ***Литература:***

1. Гурбанов Х. Учебная методика физической культуры, Баку, 2010.
2. Гурбанов Х., Багирова С., Гулиев Н. Физическое воспитание детей дошкольного возраста, Баку, 2011
3. Сухарев А. Г. Здоровье и физическое воспитание детей и подростков. Москва: «Школа здоровья», 1997, №1.

4. Гасанов А. Физическое воспитание детей дошкольного возраста, Баку, 1994.
5. Садыгова Т. Практические занятия по физической культуре в дошкольных группах, Баку, 2009.
6. Назаров А., Керимова З., Эминов Г., Эминова Г. Дошкольная педагогика, Баку, 2011.
7. Алекперов Х. Игры на открытом воздухе, Баку, 2006.

**კიფაიატ მამედოვა**  
**ფიზიკური კულტურის გავლენა სკოლამდელი ასაკის ბავშვების**  
**ქცევასა და ზოგად განვითარებაზე**  
**რეზიუმე**

სტატიაში საუბარია ფიზიკური კულტურის გავლენაზე სკოლამდელი ასაკის ბავშვების ქცევასა და ზოგად განვითარებაზე. ის იძლევა დეტალურ ინფორმაციას სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფიზიკური ვარჯიშების, ჰიგიენის წესების დაცვის, მზის, ჰაერისა და წყლის პროცედურების, კვებისა და აქტიური თამაშების შესახებ.

**Kifayat Mamedova**  
***The influence of physical activity of preschool aged children on their behavior***  
***and general development***  
**Summary**

The article is about the influence of physical development of preschool aged children to their behavior and general development. Usually, physical development for preschool aged children is used in various forms. In this regard, the article gives broad information about the role of physical exercises, following hygiene regulations, using sun, air and water procedures, adequate nutrition, active games, etc. of a preschool aged child.

**ირმა ცომია, თამარ გიგოშიძე (საქართველო)  
დიმიტრი სინოვი (რუსეთი)**

**ჯამური (ბალენიური) ფიტოპრეპარატები**

ფიტოპრეპარატების მისაღებად დღესდღეობით გამოიყენებენ გამომშრალ მცენარეულ ნედლეულს, იშვიათად – ცოცხალ ნედლეულს და სამკურნალო მცენარეების ქსოვილების კულტურებს.

მცენარეულ ნედლეულს ამზადებენ საერთო წესების შესაბამისად: ყველაზე ხშირად მიწის ზედა ნაწილს აგროვებენ ყვავილობის პერიოდში, მიწის ქვეშა ნაწილს – უფრო ხშირად შემოდგომაზე, როდესაც მათში გროვდება დიდი მასა, ზოგჯერ გაზაფხულზეც. ყვავილებს აგროვებენ ყვავილობის დასაწყისში, მოსავალს – მწიფეს, ქერქს – გაზაფხულზე, წვენის მოძრაობის პერიოდში, კვირტებს – ადრე გაზაფხულზე. შეგროვებულ ნედლეულს ახარისხებენ, ათავისუფლებენ მინარევებისაგან და შემდეგ აშრობენ, ნედლი სახით იშვიათად გადაამუშავებენ. გაშრობა წარმოებს მზოგავი მეთოდით არაუმეტეს 90 °C, უფრო ხშირად – 50-60 °C (ეთერზეთოვანი ნედლეული – 25-30 °C). ნარჩენი ტენი ნედლეულში არ უნდა აღემატებოდეს 10-15%-ს. მცენარეული ნედლეულის ხარისხი განისაზღვრება ნორმირების საბუთებით. მცენარეული ნედლეულის დანაწევრებისათვის გამოიყენებენ დანიან წისქვილს, ბალახის და ფესვების ექსცელსიორებს, ლილვაკს, დეზინტეგრატორს. დასაქუცმაცებელი დანადგარის არჩევაზე გავლენას ახდენს ჰისტოლოგიური სტრუქტურა, ტენიანობა და ნედლეულის შედგენილობა.

ახალი ნედლეულის უჯრედები იმყოფება ტურგორის მდგომარეობაში, უჯრედოვანი მემბრანა ნახევრად გამჭვირვალეა, რაც ნივთიერების ამოღებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. ამიტომ ექსტრაქციის წინ ახალ ნედლეულს გულდასმით დააქუცმაცებენ ან გაყინავენ (უჯრედოვანი მემბრანის დასაშლელად ყინულის კრისტალებით).

ბოლო წლებში მთელი რიგი ფიტოპრეპარატების მისაღებად ნედლეულად გამოიყენებენ მკვებავ გარემოში მოყვანილი ორანების, ქსოვილებისა და მცენარეების უჯრედების კულტურას. ეს საშუალებას იძლევა აღმოიფხვრას მცენარეული ნედლეულის იშვიათი სახეობების დეფიციტი და უწყვეტად მომარაგდეს ფარმაცევტული წარმოება ნედლეულით.

**ექსტრაქციული პრეპარატების მიღების ტექნოლოგია**

ჯამური, მაქსიმალურად გასუფთავებული პრეპარატებისა და ინდივიდუალური შენაერთების პრეპარატების მიღების ძირითად ტექნოლოგიურ სტადიას წარმოადგენს ექსტრაქციის სტადია, რომლის შედეგად მიიღებენ ექსტრაქციული ნივთიერებების ჯამებს.

მეორე ეტაპია გასუფთავება. გასუფთავების მეთოდებისა და ხარისხიდან გამომდინარე განასხვავებენ:

პრეპარატებს მინიმალური გასუფთავების დონით (ჯამური ან გალენიური). ისინი შეიცავენ მოქმედი და თანმხლები ნივთიერებების ჯამს, გათავისუფლებულს ბალასტური ნივთიერებებისგან;

მაქსიმალურად გასუფთავებული პრეპარატები (ახალგალენიური), რომლებიც შეიცავენ მოქმედი ნივთიერებების ჯამს, მაქსიმალურად გათავისუფლებულს თანმხლები ნივთიერებებისგან;

ინდივიდუალური შენაერთების პრეპარატებს, რომლებიც შეიცავენ მცენარის ერთ ან რამდენიმე მოქმედ ნივთიერებას.


ექსტრაქციულ პრეპარატებს სისუფთავის უმცირესი ხარისხით, მიეკუთვნება: ნაყენები, ნახარშები (მათ შორის, პომეოპატური მატრიცული), ექსტრაქტები, ახალი ნედლეულის პრეპარატები. ჯამური პრეპარატები შეიცავენ ექსტრაქციული ნივთიერებების ჯამს, მათ შორის, მოქმედი (ახდენენ სამკურნალო მოქმედებას) და თანმხლები ნივთიერებები (რომლებიც ახლოსაა მოქმედ ნივთიერებებთან ხსნადობით და არასასურველ გავლენას არ ახდენენ ორგანიზმზე).

ჯამური ფიტოპრეპარატები მინიმალური ხარისხითაა გათავისუფლებული ბალასტური ნივთიერებებისგან. ისინი რბილად მოქმედებენ, რაც განპირობებულია მათ შემადგენლობაში შემავალი შენაერთების მთელი კომპლექსით. ჯამური პრეპარატების სახეობები ნაჩვენებია ნახ. I-ზე.

### ნაყენები (tinctura)

ნაყენები – გამჭვირვალე თხევადი სპირტოვანი, წყლიან-სპირტოვანი გამონაწვლილია სამკურნალო მცენარეული ნედლეულიდან, მიღებული გაცხელებისა და ექსტრაგენტის მოცილების გარეშე.

მშრალი სტანდარტული მცენარეული ნედლეულიდან, რომელიც შეიცავს არაძლიერმოქმედ ნივთიერებებს, ნაყენები მიიღება ნედლეულისა და მზა პროდუქციის შეფარდებით (მასა/მოცულობა) 1:5, ხოლო ძლიერმოქმედი ნივთიერების შემცველი ნივთიერებებიდან – 1:10.



ნახ. I. ჯამური (გალენიური) ფიტოპრეპარატები

ნაყენების უმრავლესობა მიიღება ექსტრაგენტად 70%-იანი ეთინოლის, იშვიათად, 40%-იანი ეთანოლის გამოყენებით (კოწახური, კრაზანა და სხვ.) და ძალიან იშვიათად – სხვა კონცენტრაციების ეთანოლისაგან 90% (პიტნის, წიწაკის ნაყენი), 95% (ლიმონიუმის ნაყენი) და სხვ.

ნაყენები ფართოდ გამოიყენება სამკურნალო პრაქტიკაში როგორც დამოუკიდებელი პრეპარატები შინაგანი და გარეგანი გამოყენებისათვის, სხვა ნაყენებთან შეხამებაში, აგრეთვე მიქსტურების, წვეთების, მალამოების, პლასტიკების შედგენილობაში. ნაყენების წარმოების სქემა ნაჩვენებების ნახ. II-ზე.


სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ექსტრაგირებისათვის ნაყენების მიღებისას გამოიყენებენ დანაწევრებულ მაცერაციას და პერკოლაციას, გამონაწვლილის გასუფთავებას აწარმოებენ გაფილტრვით სიცივეში გაჩერების შემდეგ (8<sup>0</sup> ტემპერატურაზე).

**ექსტრაგენტის მომზადება.** კონცენტრული ეთანოლისა და წყლის რაოდენობა, რომელიც საჭიროა დადგენილი კონცენტრაციის ექსტრაგენტის მოსამზადებლად, გამოითვლება სპირტის განზაგების მოვლენის გათვალისწინებით. გათვლებისათვის გამოიყენება წყალ-სპირტიან სხნარებში ეთილის სპირიტს შემცველობის განსაზღვრისათვის შექმნილი ცხრილები.

**დანაწევრებითი მაცერაციის მეთოდი.** დანაწევრებული მცენარეული ნედლეულის გათვლილი რაოდენობა თანაბრად დალაგდება პერკოლატორში. ქსოვილის, დოლბანდის ან ბამბის ფილტრზე; ყოველ ულუფას მსუბუქად დატკეპნიან ხის ჯოხით. დალაგებულ მასალას დააფარებენ ბამბის თხელ ფენას ან ქაღალდის ფილტრის ნაჭრებს, ან დოლბანდის ოთხად დაკეცილ პატარა ნაჭერს; ზემოდან დაადებენ სიმძიმეს (ფაიფურის ნაჭრებს ან მდინარის ქვებს), რათა მცენარეული ნედლეული არ ამოტივტივდეს.

პერკოლატორს მცენარეული ნედლეულით დაამაგრებენ შტატივზე. პერკოლატორის ქვეშ მოათავსებენ სუფთა, მშრალ, ეტიკეტირებულ შუშის მიმღებს.

ექსტრაგენტი პერკოლატორში შეიძლება მიწოდებული იყოს ზემოდან ან ქვემოდან, ჩამოსასხმელი ონკანით.



**ნახ. II. ნაყენების მიღების ტექნოლოგიური ეტაპები**

ზემოდან შევსების შემთხვევაში, ექსტრაგენტი პერკოლატორს მიეწოდება ისეთი სიჩქარით, რომ მასალის ზედაპირზე მაშინვე წარმოიქმნას „სარკე“, ანუ სითხის მუდმივი გაუქრობადი ფენა. შემდეგ უმატებენ ექსტრაგენტს ისე, რომ ის მასალამ შეიწოვოს მთლიანი უწყვეტი მასით, ჰაერის გამოდევნით პერკოლატორის ღია ონკანიდან. სითხის „სარკე“ არ უნდა გაქრეს (შეიწოვოს), წინააღმდეგ შემთხვევაში, მცენარეულ მასალაში მაშინვე მოხვდება ჰაერი, რომელიც ეწინააღმდეგება ექსტრაქციის პროცესს. როცა ექსტრაგენტი დაიწყებს ონკანიდან გამოდინებას, მას კეტავენ, გამოდენილ სითხეს მიაწოდებენ ისევ ნედლეულზე პერკოლატორში და ჩაასხამენ იმდენივე ექსტრაგენტს, რათა მცენარეულ მასალაზე იყოს 10-20 მმ სისქის თხევადი ფენა.

ქვემოდან შევსების შემთხვევაში, მინის ძაბრს მიუერთებენ რეზინის გრძელ შლანგს, რომლის მეორე ბოლო მიერთებულია პერკოლატორის ქვედა ონკანთან. ძაბრის პერკოლატორზე ქვემოთ ჩამოწვევით ავსებენ მას ექსტრაგენტით. ძაბრის ნელა აწვევით შლანგიდან გამოდევნიან ჰაერს და აიძულებენ გამსხნელს გადაისხას უწყვეტი ფენით ჩატვირთულ პერკოლატორში. ამავე დროს თვალყური უნდა მიედევნოს ძაბრში ექსტრაგენტის დროულ დამატებას. პერკოლატორიდან ჰაერის გამოდევნისა და „სარკის“ წარმოქმნის შემდეგ ონკანს კეტავენ და ძაბრს შლანგთან ერთად მოხსნიან.

პერკოლატორს კეტავენ მჭიდროდ დაჭიმული, წყალში დასველებული პერგამენტის ნაჭრით და ტოვებენ მაცერაციული პაუზის განმავლობაში, რომელიც გრძელდება 24-48 საათი.

მაცერაციული პაუზის ამოწურვის შემდეგ, გააღებენ ონკანს და ჩამოასხამენ ექსტრაქტის პირველ ულუფას მზა პროდუქციის 1/4 მოცულობით. დარჩენილ ექსტრაგენტს მიაწვდიან ნედლეულს „სარკის“ წარმოქმნამდე. ჩამოსხმიდან 1,0-1,5 საათის გასვლის შემდეგ ექსტრაქტს ისევ იმავე რაოდენობით ჩამოასხამენ, როგორც პირველ შემთხვევაში. სამუშაო დღის განმავლობაში დროის სხვადასხვა ინტერვალით აწარმოებენ ოთხ ჩამოსხმას. ექსტრაქტის ყველა ულუფა გაერთიანდება.

**პერკორაციის მეთოდი** (ლათ. percolare – გაუფერულება). მცენარეული ნედლეულის გათვლილ რაოდენობას მოათავსებენ ფაიფურის საორთქლე ჭურჭელში და დააღებენ ექსტრაგენტის თანაბარი რაოდენობით, რომელსაც კარგად გადაურევენ და დატკეპნიან. ამასთან, მცენარეულმა მასალამ უნდა შეინარჩუნოს ფხვიერება და არ უნდა შეიცავდეს ზედმეტ ექსტრაგენტს. დამბალ მასალას მჭიდროდ დახურავენ და აჩერებენ ოთახის ტემპერატურაზე 2-4 საათი გაჯირჯვებამდე, იშვიათად ურევენ. სწავლების მიზნით, გაჯირჯვლების დრო შეიძლება შემცირდეს.

გაჯირჯვლებულ მცენარეულ მასალას ულუფებად ჩაალაგებენ პერკოლატორში და დაასხამენ ექსტრაგენტს „სარკემდე“.

პერკოლაციის პრინციპი მდგომარეობს მცენარეული მასალის ექსტრაქციაში ექსტრაგენტის ნელი და უწყვეტი დენით, რომელიც მიეწოდება ნედლეულს პერკოლატორში. ექსტრაგენტის დამატების სიჩქარე გამოწვევლილის გამოდინების სიჩქარის ტოლი უნდა იყოს, რათა თავისუფალი სითხის სისქე („სარკე“) მასალაზე არ იცვლებოდეს.

ექსტრაგენტი პერკოლატორში მიეწოდება ავტომატურად, მკვებავის დახმარებით – ძირითადად ზევით გადაყირავებული ექსტრაგენტიანი შუშით, რომელიც ყელით ჩაძირულია პერკოლატორის შიგნით ექსტრაგენტში. მკვებავის ყელის ქვედა ნაპირსა და მცენარეული მასალის ზედაპირს შორის მანძილი უნდა შეადგენდეს 1-1,5 სმ-ს. ზოგჯერ შუშას აგრძელებენ შესაბამისი სიგრძის მინის დროტით, რომელსაც მჭიდროდ ჩასვამენ შუშის ყელში რეზინის რგოლის დახმარებით. შუშის დროტი უნდა იყოს საკმარისი დიამეტრის და ხელს არ უშლიდეს სითხის გამოდინებას

მკვებავიდან. მკვებავი ინარჩუნებს სითხის დონეს პერკოლატორში შუშის ყელის ქვედა დონეზე ან მასში ჩაყენებული დროტის ნაჭრის დონეზე.

პერკოლატის გამოდინების სიჩქარე პერკოლატორიდან უნდა დარეგულირდეს ქვედა ონკანით. 1 საათის განმავლობაში გამოდენილი სითხის მოცულობა უნდა შეადგენდეს პერკოლატორის მუშა მოცულობის 1/12 ნაწილს.

ექსტრაქტის (პერკოლატის) მოგროვების სიჩქარე გამოითვლება ფორმულით

$$V = \frac{\pi \cdot d^2 \cdot h}{4 \cdot 60}$$

სადაც  $d$  არის პერკოლატორის დიამეტრი, სმ,  $h$  – ნედლეულის სვეტის სიმაღლე, სმ.

ლაბორატორიულ პირობებში, ნედლეულის მცირე ჩატვირთვისას, პერკოლაციის სიჩქარე მოსახერხებელია გაითვალისწინოთ. პერკოლაციის დასასრული (ნედლეულის გამოფიტვა) განისაზღვრება: პერკოლატის გაუფერულებით, პერკოლატის და სუფთა ექსტრაგენტის სიმკვრივეებს შორის განსხვავების არქონით, პერკოლატორიდან გამოდენილ სითხეში ნიმუშის მოქმედ ნივთიერებებზე იგივეობის (იდენტიურობის) უარყოფითი შედეგით.

**სპირტიანი ნაყენი ახალი ნედლეულისაგან.** ახალი ნედლეულისაგან ნაყენის მისაღებად გამოიყენებენ მაცერაციას მაგარი სპირტით ან ბისმაცერაციას. უკანასკნელ შემთხვევაში პირველი ექსტრაქცია ტარდება 96%-იანი ეთანოლით, რაც ხელს უწყობს დეჰიდრატაციას, რის შედეგადაც უჯრედების მემბრანები ხდება ფოროვანი ტიხრები; მეორე ექსტრაქციისათვის იღებენ ნაკლებ კონცენტრაციას (მაგ., 20%). პირველი მაცერაციის დრო შეადგენს 14 დღეს, მეორის – 7 დღეს.

**გამონაწველილის გასუფთავება.** მიღებულ გამონაწველილს დასაღებად გააჩერებენ მაცივარში 8-10°C ტემპერატურაზე. დალექვის შემდეგ გაფილტრავენ და ახდენენ ხარისხის შეფასებას.

### **ეთანოლის რეკუპერაცია გადამუშავებული ნედლეულიდან**

გადამუშავებული მცენარეული ნედლეული შეაკავებს ექსტრაგენტის მნიშვნელოვან რაოდენობას – 150%-მდე გაწურვის გარეშე და 50%-მდე გაწურვის შემდეგ. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ექსტრაგენტის დაკარგვა და წარმოება გავსადოთ უფრო რენტაბელური, საჭიროა ეთანოლის რეკუპერაცია, ანუ დავაბრუნოთ წარმოებაში. რეკუპერაცია ხორციელდება ორი მეთოდით: დამუშავებული ნედლეულიდან ეთანოლის წყლით გამოძევებითა და დამუშავებული ნედლეულიდან ეთანოლის წყლის ორთქლით გამოხდის გზით.

ეთანოლის წყლით გამოძევებით რეკუპერაციისას გადამუშავებულ ნედლეულზე, იგივე ექსტრაქტორზე (პერკოლატორზე) მიაწოდებენ წყლის სამჯერად, ხუთჯერად რაოდენობას. 2 საათის განმავლობაში დაწმენდის შემდეგ რეკუპერატს ნელ-ნელა გადაღვრიან. ამასთან, ეთანოლი ნედლეულის ნაჭრებიდან გამოძევდება წყლით. მიღებული რეკუპერატი შეიცავს 5-12% ეთანოლს, მისი ფერი და სუნი შეესაბამება საწყის ნედლეულისას. ეთანოლთან ერთად რეკუპერატორში არის ექსტრაქტის ყველა ხსნადი კომპონენტი, ამიტომ რეკუპერატი გამაგრების შემდეგ შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ექსტრაგენტი იმავე სახეობის ნედლეული-სათვის.

წყლის ორთქლით გამოხდის გზით რეკუპერაციისას გამოიყენებენ იგივე გამოსახდელ დანადგარებს, რასაც ეთერული ზეთებისა და არომატული წყლების მისაღებად. ნედლეულს ათავსებენ ორთქლის პერანგითა და ბარბოტერიით (მილი, რომლის გავლითაც ნედლეულის შიგნით მიეწოდება ორთქლი) აღჭურვილ გამოსახ-

დელ კუბში, ან გამოსახდელ კოლბაში, რომელიც გამოხდის მთელი პროცესის განმავლობაში ცხელდება წყლის აბაზანაზე. ორთქლის მიწოდებისას ბარბოტერის გავლით, ეთანოლო წარიტაცება ორთქლით, გაცივდება კონდენსატორში და მოგროვდება მიმღებში. წყლის ორთქლით გამოხდისას მიიღება რეკუპერატი, ეთანოლის 15-25 % შემცველობით. ნახადში მოხვდება საწყისი მცენარეული ნედლეულის აქროლებადი ნივთიერებები, ამიტომ მას გააჩნია იმ ნედლეულის სპეციფიკური სუნი, რომლისგანაცაა მიღებული. რეკუპერატორი შეიძლება გამოყენებული იყოს იმავე სახეობის ნედლეულის ექსტრაქციისათვისაც.

**ხარისხის შეფასება.** თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, სპირტიან ნაყენებში განისაზღვრება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების უტყუარობა და რაოდენობა, მძიმე ლითონები (არაუმეტეს 0,001%-სა), მშრალი ნარჩენი (ექსტრაქციული ნივთიერებების რაოდენობა), სიმკვრივე არეომეტრის ან პიკნომეტრის დახმარებით, ეთანოლის შემცველობა.

**Irma Tsomaia, Tamar Gigoshvili, Dmitri Sichov**  
***Galenic herbal medicinal products***  
**Summary**

The article discusses herbal medicinal products, their production process at different technological stages. Nowadays, dried herbal substances, raw materials and tissue cultures of medicinal plants are usually used for the production of herbal medicinal products.

The main technological stage of the sum, maximally refined and individual products is the stage of extraction, as the result of which we receive extractive matters.

The following is the clearance stage. Less purified products include infusions, broths, extracts. Sum herbal medicinal products are minimally purified.

**Ирма Цомая, Тамар Гигошвили, Дмитрий Сычев**  
***Сумарные фитопрепараты (галеника)***  
**Резюме**

Работа посвящена фитопрепаратам, способам их получения на разных технологических стадиях. Сегодня для получения фитопрепаратов используют-высушенное растительное сырье, реже сырой материал и тканевые культуры лечебных растений.

Главной технологической стадией получения сумарных, максимально очищенных и индивидуальных препаратов является стадия экстракции. С помощью которого получают извлечения экстрактивных веществ.

Последующий этап очищение. Менее очищенные препараты-настои, отвары, вытяжки. Сумарные фитопрепараты минимально очищены от балластных веществ.



**ირმა ცომაია, თამარ გიგოშვილი (საქართველო)  
დიმიტრი სინოვი (რუსეთი), თამარ დაუნია (საქართველო)**

**სამკურნალო წამლო ფორმების კლასიფიკაცია და ბავშვთა პედიატრიული  
სამკურნალო საშუალებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები**

ბავშვებისათვის სამყარო არ არის ისეთი, როგორც ჩვენთვის, მოზრდილებსთვის. ეს ყველაფერი, ნაწილობრივ, უბრალო ფიზიკური ფაქტორითაა განპირობებული, თუმცა განსხვავებულია მათი აზროვნების ხასიათიც. დაახლოებით ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ – ბავშვები ფიქრობენ, რომ ისინი მოზრდილთა სამყაროს პარალელურ განზომილებაში ცხოვრობენ და მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სამყარო ურთიერთკავშირშია, ბავშვებისათვის ისევე რთული გასაგებია მოზრდილთა ცხოვრების თავისებურებები, როგორც დიდებისათვის ბავშვების. ის პრიორიტეტები, რომლებსაც ბავშვი სახავს, მკვეთრად განსხვავდება მოზრდილთა პრიორიტეტებისგან, ბავშვებთან ურთიერთობისას ჩვენ გვიწევს დავივიწყოთ ჩვენი შეხედულებები და ვეცადოთ შევიცნოთ მათი აზროვნება, დავიცვათ ისინი ზიანისგან, დავიცვათ მათი ჯანმრთელობა.

ბავშვის ორგანიზმი მუდმივი განვითარების პროცესშია. როგორც ცნობილია, პედიატრია მედიცინის დარგია, რომელიც შეისწავლის ბავშვის ორგანიზმის სხვადასხვა ასაკობრივი პერიოდის ანატომიას, ფიზიოლოგიას, ბავშვთა სნეულებებს, მათ მკურნალობასა და პროფილაქტიკას. პედიატრია მოიცავს: პრევენციულ, კლინიკურ, სამეცნიერო, სოციალურ და ეკოლოგიურ პედიატრიას. პედიატრია, როგორც დამოუკიდებელი კლინიკური დისციპლინა, ჩამოყალიბდა XIX საუკუნის II ნახევარში. პედიატრია გულისხმობს ბავშვის ყოველი ნაბიჯის განსაზღვრას, გათვალისწინებას. ფიზიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების ცვლილება ორგანიზმზე გარეგანი და შინაგანი არასასურველი ფაქტორების ზემოქმედების შედეგია.

წამლებს სხვადასხვა ფორმა და მიღების წესი აქვთ. ეს იმიტომ, რომ მათთვის მაქსიმალური სამკურნალო ეფექტის გამოვლენის საშუალება მიეცათ. პედიატრიული პრეპარატების აუცილებელი ასპექტებია: მათი შემადგენელი ნივთიერებების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესაბამისობა, გამძლეობა შენახვის დროს, სამკურნალო ეფექტის სრულფასოვნება და სისწრაფე, არასასიამოვნო გემოს შენიღბვის შესაძლებლობა, სამკურნალო საშუალებების დოზირების სიზუსტე, მოხერხებულობა მიღების დროს, დამზადების სიმარტივე, სისწრაფე და სხვ. რაც უფრო მეტი ღირსება გააჩნია ამ თუ იმ სამკურნალო წამლო ფორმას, მით უფრო დიდხანს ხდება მისი პრაქტიკაში შენარჩუნება და გამოყენება.

სამკურნალო საშუალებებს უწოდებენ ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ქიმიურ შენაერთებს და მათ ნაერთებს, რომლებიც გამოიყენება დაავადებების მკურნალობის, პროფილაქტიკისა და დიაგნოსტიკის მიზნით. სამკურნალო საშუალებებს მიაკუთვნებენ, აგრეთვე, ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატებს. სამკურნალო საშუალებებთან ერთად, ბოლო დროს განიხილავენ ბადებს (ბიოლოგიურად აქტიური დანამატები).

პედიატრია ფართო მცნებაა. წარმოდგენილი თემა ეხება კონკრეტულად პედიატრიულ სამკურნალო წამლო ფორმებს, რომლებიც ხასიათდება განსაზღვრული თვისებებით (შემადგენლობა, დოზირება, ფიზიკური და ქიმიური სტრუქტურა, გეო-

მეტრიული ფორმა) და უზრუნველყოფენ პრეპარატის მიღების მოსახერხებელ ფორმასა და საჭირო სამკურნალო მოქმედებას.

აგრეგატული მდგომარეობის მიხედვით შედგენილი კლასიფიკაცია ყველაზე ძველი და გავრცელებული კლასიფიკაციაა, რომელიც სამკურნალწამლო ფორმებს ჰყოფს 4 ჯგუფად: მყარი, რბილი, თხევადი და აიროვანი. მყარ სამკურნალწამლო ფორმებს მიეკუთვნება: ტაბლეტები, დრაჟეები, გრანულები, ფხვნილები, სპეციები, კაფსულები. არსებობს სხვადასხვა პრინციპზე დაფუძნებული პედიატრიული სამკურნალწამლო ფორმების კლასიფიკაცია: აგრეგატული მდგომარეობის, შეყვანის მეთოდებისა და დისპერსიულობის მიხედვით.

ამრიგად, მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მიმართ ინტერესი გაიზარდა, რადგან ისინი შეიცავენ ორგანიზმის ნორმალური ცხოველმყოფელობისათვის აუცილებელ ნივთიერებებს: ვიტამინებს, ნახშირწყლებს, ფერმენტებს, კორმონებს, მაკრო და მიკროელემენტებს.

### **ლიტერატურა:**

1. ხიდაშელი შ., სამკურნალო მცენარეების გამოყენება ფიპოთერაპიაში, თბ., 1987.
2. ცომაია ი., სხილაძე რ., ცნობარი „წამლის სააფთიაქო ტექნოლოგია“, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2012.
3. შოთაძე შ., ციციშვილი ი., პედიატრიული ფარმაკოთერაპია, თბ., 1988.

**Irma Tsomaia, Tamar Gigoshvili, Dmitri Sychev, Tamar Ghazhonia**  
***Classification of medicinal forms, children's pediatric requirements for medical products***  
**Summary**

Child's healthy lifestyle consists of a well balanced schedule, healthy meals and a quiet family environment. Children need special care for their growth and development. Parenthood is a great responsibility.

**Ирма Цомаия, Тамар Гигошвили, Дмитрий Сычев, Тамар Гаджония**  
***Классификация лекарственных форм, детские педиатрические***  
***требования к медицинской продукции***  
**Резюме**

Здоровый образ жизни ребёнка – это хорошо сбалансированный график, здоровое питание и тихая семейная среда. Дети нуждаются в особом уходе. Они постоянно растут и развиваются. Быть родителями – это большая ответственность.

**ვიოლა ესენჯია**  
(საქართველო)

**სამკურნალო-არომატულ-სანელებელი მცენარე კვლიავის**  
(*Carum Carvi L*) **გავრცელება და გამოყენება**

სამკურნალო-არომატულ-სანელებელ მცენარეთა კულტივირება, ისტორიულად ტრადიციული მიმართულება, თანამედროვეების ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი ხდება. სამკურნალო პრეპარატთა არსენალში, მიუხედავად მაღალეფექტურ სინთეზურ საშუალებათა სიახლისა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მცენარეული წარმოშობის სამკურნალო საშუალებებს. მათში წარმოდგენილი ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ქიმიური სტრუქტურით, რაოდენობრივი და თვისობრივი შემცველობით, რის გამოც ცოცხალ ორგანიზმზე მათი მოქმედების ხასიათი სხვადასხვაგვარია.

კვლიავის, ამ უნიკალური მცენარის ინტენსიური ექსპლუატაცია ბუნებრივი რესურსის განადგურებას იწვევს, პროცესი შეუქცევადია; ამიტომ მისი სამრეწველო პლანტაციები იქმნება აერობიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით.

კვლიავის ნაყოფები ნაპოვნია არქეოლოგიური გათხრების დროს აზიის კონტინენტზე. ის ნახსენებია არაბულ ლიტერატურაში დასახელებით – Carawiya, სპარსეთში – Zireh-I-siyah, ჩ.წ.ად. VIII საუკუნეში. კვლიავის სამშობლოა ევროპა და დასავლეთი აზია. დღეისათვის ის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული. კვლიავის ველური სახეობები გვხვდება ინდოეთის ჩრდილოეთ პლატოებსა თუ სამხრეთის მთიან რეგიონებში, რუსეთში – ურალში, ციმბირში; კავკასიაში – მთიანი ზონიდან ალპურ ველებამდე. შენიშნულია აფხაზეთში, კერძოდ, კლუხორში; გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, სვანეთში, მთიულეთში, თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში, გარეკახეთში, თრიალეთში, ჯავახეთში, მესხეთში; შუა აზიაში – ყირგიზეთში, კოჩკარის ველზე; ყაზახეთში – ჩრდილოეთ ველების გარეუბანში და სამხრეთ ყაზახეთის მთიან რეგიონებში, კუსტანაისკიდან სემიპალატინსკამდე და აღმოსავლეთ ყაზახეთის რაიონებამდე, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

არომატულ-სანელებელ მცენარეთა შორის ძველ ქართულ მედიცინაში გვხვდება ზირა ანუ კვლიავი, კამა, ნიახური, ოხრაუში, ტყიურა, ქინძი. საყურადღებოა, რომ სამკურნალო-არომატულ მცენარეებს მიეკუთვნება ცნობილი ბოსტნეული კულტურები, რომლებიც როგორც საჭმლის შესანელებლად, ისე საკვებადაც იხმარებოდა. ასეთებია: კამა, პიტნა, ნიახური, რეჰანი, ტარხუნა, ქინძი, ქონდარი. ყველა ეს მცენარე გამოყენებული იყო ძველ ქართულ მედიცინაშიც (1, 2).

ზირა – კვლიავი – ძირაკი *Carum Carvi L.* ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება ასურული ძირა და ქირმენული ძირა, რომელიც *Cuminum cyminum L* უნდა იყოს. სამკურნალოდ იხმარებოდა ზირას ზეთი ანუ კვლიავის ზეთი, ზირას წყალი, მთლიანად მცენარეც.

სამედიცინო ხასიათის ძველ წერილობით წყაროებში ზირას შესახებ ვკითხულობთ: „ზირა მეორეს წელშიგა მხურვალი და ნედლი არის, ყოვლისა გრილის სენისათვის, ყოვლის ბაღდმისა და წამალი არის“. ზირას ურჩევდნენ შემდეგი დაავადებების მკურნალობისათვის: „ვინცა ზირა ჯავაშირი ჯალინოზითა ჭამოს, თირკმელსა მწოდ დაახურებს...“; „ვინცა ზირა დაჭეჭოს, მოხარშოს და დაწუროს და ამისი თბილი [სვას], ქარსა გაუბდებს და გულის ფეთქასა და თრთოლვასა ორსავე

უშველის“ (1). ზირას წყალს თვალში აწვეთებდნენ თვალის ჩაწითლების და ტკივილის დროს, ხოლო მისი ზეთი იხმარებოდა დასახელად.

ძირა ქირმენული – ნამდვილი ზირა *Cuminum cuminum*. ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში ეს მცენარე ქიმნუნის და ქამუნი ქირმენის სახელით არის მოხსენებული. გვხვდება განმარტებები: „ქიმნუნი ვითამცა და ზირა“.

კვლიავი ბალახოვანი მცენარეა, 60-95 სმ სიმაღლით, ქოლგისებრთა (*Umbrelliferae*) ოჯახს მიეკუთვნება. კულტურაში კვლიავი წარმოდგენილია მარტო ერთი სახეობით *Carum Carvi* L. ნაყოფიერ და კარგად დამუშავებელ ნიადაგზე კვლიავი ვეგეტაციის პირველ წელს ივითარებს ძლიერ, ხორცოვან და დატოტვილ ფესვს, სიგრძით 25 სმ-მდე, ფესვისზედა საასიმილაციო ნაწილს, რომელიც შედგება 9-16 ფოთლისაგან. ფოთოლი შიშველია, ორმაგფრთისებრ განკვეთილი. ფოთლების განლაგება არის რიგობრივი. კვლიავის ყუნწი გლუვია, ცოტა კუთხური ან მრგვალი, გული კი – ცარიელი, მუხლუხა, შეღუნული. ნაყოფის ფერი დამწიფებამდე იცვლება ღია მწვანედან მუქ ყავისფრამდე. ნაყოფის დამწიფების დროს ყუნწი დებულობს ანტაციურ ფერს, შემდეგ მუქდება. ყუნწი იტოტება მთელ სიგრძეზე, გვაძლევს ყლორტებს 1-ლი, მე-2, მე-3 რიგის, ხოლო მე-4 და მე-5 რიგისას კი იშვიათად. გვერდული ყლორტების რიცხვი 50-მდე აღწევს, ხშირად მეტსაც. მთავარი და გვერდული ყლორტები ბოლოვდებიან ყვავილების ბოჭკოებით, რომელთაც რთული ქოლგის ფორმა აქვთ. რთულ კოლგაში 3-12 (16-18) პატარა ქოლგაა, ხოლო თითოეულ ქოლგაში 14-დან 21-მდე სხივია. თითოეულ სხივს აქვს ერთი ყვავილი. ყვავილი პატარაა, ხუთფურცლიანი. ზის გრძელ ყვავილტოტზე, შეკრებილია რთულ ქოლგად. ყვავილის ფურცელი თეთრი ან ვარდისფერია, გულისმაგვარი, შიგნით შეღუნული წახნაგით, მტვრიანა ხუთია, განლაგებულია გვირგვინის ფურცლებს შორის. ნასკვი ორბუდიანია, ორი პატარა ბოძით. ნაყოფი – მოგრძო, დაპრესილი ორთესლადი კვერცხისებური ფორმისაა, სპეციფიკური, სანელებელი გემოთი, არომატული სუნით. დამწიფების დროს ნაყოფი ადვილად იფცქვნება და იყოფა ორ ნაწილად, მომწიფების შემდეგ ვლებულობთ თესლს (პრაქტიკაში ნაყოფებს უწოდებენ თესლებს). თესლის სიგრძეა 4-6 მმ, სიგანე – 1-1,5 მმ, წონა 1000 თესლისა 2,1-4,2 გრ-ია. თესლს აკეში აქვს ექვსი ცხიმზეთოვანი სათავსე – არხები; თესლის ოთხივე წახნაგში მოთავსებულია ერთი არხი, ხოლო მეხუთეში, რომელიც მაგრდება თესლების აკეში, მოთავსებულია ცხიმის ორი სათავსი. ამ არხებშია სწორედ უძვირფასესი ეთერზეთი.

### კვლიავის ბიომეტრული პარამეტრები

ვარიანტები	თესვის ვადა	ვეგეტაციის დასაწყ.	იუველ. პერიოდი	სიმაღ. ყვავილობის (სმ)	ყვავილობის ხანგრ. (დღ.)	ფოთლ. ფართ. (მმ <sup>2</sup> )	საასიმ. აპარატ. მასა (გ)	ფესვის მასა (გ)	1000 თესლ. მასა (გ)
N <sub>0</sub> P <sub>0</sub> K <sub>0</sub>	10.04.10	01.05.10	25	37.0	32	57.7	63	7.1	2.0
N <sub>0</sub> P <sub>30</sub> K <sub>20</sub>	10.04.10	01.05.10	21	42.3	30	61.0	73	23.3	3.2
N <sub>60</sub> P <sub>30</sub> K <sub>20</sub>	10.04.10	01.05.10	21	46.8	30	63.8	75	24.0	3.2
N <sub>60</sub> დოფ P <sub>30</sub> K <sub>20</sub>	10.04.10	01.05.10	21	56.0	28	74.5	83	25.3	4.7
ორგ.სას 20ტ/ჰა	10.04.10	01.05.10	21	54.1	29	73.8	82	25.0	4.2
ენდემური ფორმა	-	-	29	48.2	35	59.3	64	18.3	3.7

კვლიავის ნაყოფი შეიცავს ეთერზეთებს 3-6%, რომლებიც შედგება a – კარვონის C<sub>10</sub>H<sub>14</sub>O, d – ლიმონენისგან, C<sub>10</sub>H<sub>14</sub> – 40-50% (რაც განპირობებულია თესლის

მბაფრი სუნით), 30-40% დიჰიდროკარვონი და დიჰიდროკარვაკროლისაგან (კარვაკროლი 40-70% და კავრაკროლი, დიჰიდროკარვეოლი). აგრეთვე, შეიცავს ცხიმოვან ზეთს 14-21%-მდე, ცილას – 20-23%-ს, ნახშირწყლებს, ფლავონოიდებს – რუტინი, კვერცეტინი, კემპფეროლი, იზორამტენინი, ფისი, ცვილი, სტეროიდები 0,02%, კუმარინები 0,48% და საღებავ ნივთიერებებს; შეიცავს ზოგიერთ მიკროელემენტს – რკინა, თუთია, სტრონცი, მოლიბდენი, ნიკელი, მანგანუმი.

მწვანე მასიდან გამოყოფილია ფლავონოიდები.

კვლიავის ნედლეულისაგან დამზადებული პრეპარატების ფარმაკოლოგიური მოქმედება: კვლიავის ნაყოფიდან წყლისა და ზეთების ამონაღები, ისევე, როგორც ყველა მცენარეული ჯგუფის სიმწარეები, ჭამის მადას აღძრავს, ამადლებს კუჭის სეკრეტორულ და ძრავით მოქმედებას, ნაღვლის წვენის გამოყოფას, აუმჯობესებს საჭმლის გადამუშავებას, ხსნის მტკივნეულ შეგრძნებას კუჭისა და კუჭ-ნაწლავის არეში, სპაზმებს სწორ მესკულებიანი ორგანოებიდან (კუჭ-ნაწლავიდან, საშვილოსნოდან, შარდსაღენიდან), აძლიერებს დიურას.

გარდა ამისა, კვლიავის ნაყოფი ხელს უწყობს დიურეტიულ და ლაქტოგენურ მოქმედებას, ნერწყვისა და ნაფურთხის გამოყოფას.

გამოყენება მედიცინაში: კვლიავის ნაყოფები – ყველაზე საუკეთესო მცენარეული კარმინატივია (საშუალება მეტეორიზმის საწინააღმდეგოდ), გაღენური პრეპარატები კვლიავისაგან გამოიყენება სპაზმებისა და კუჭ-ნაწლავის ფუნქციის დაზიანებისას (დისპეპსია, ენტრიტი, კოლიტი მეტეორიზმი, გაკავება).

კვლიავის ნაყოფები აუმჯობესებენ: ნაღვლის, კუჭის და პანკრეატიკული წვენების გამოყოფას; მას ნიშნავენ გასტრიტის, ხოლცისტიტის და პანკრეატიტის დროს. იყენებენ, აგრეთვე, სუნთქვის ორგანოების ანთების შემთხვევაში, კუჭ-ნაწლავის ავადმყოფობისას, გასტრიტის, მუავიანობის შემცირების, სისხლნაკლებობის დროს.

კვლიავის თესლი გამოიყენება ნაყენების, ფხვნილების, ექსტრაქტების სახით.

### **ლიტერატურა:**

1. კაჭარავა თ., საქართველოს მიწათმოქმედებისა და გარემოს დაცვის თანამედროვე ტექნოლოგიები-სამკურნალო მცენარეები. მეთოდური მითითებები; თბ., 2004.
2. Лархер В. Экология растений. М. 1978.
3. Машанов В. Пряно-Ароматические растения. Москва. 1991.

### **Viola Esvanjia**

#### ***Medical - aromatic - spice plant Caraway (Carum Carvi L.) distribution and use.***

#### **Summary**

The article gives Caraway's (Carum Carvi L.) botanical description, its site of spreading, biological particularity, stage of development, providing its enological phases during all the period of its ontogenesis.

**Виола Есванджия**

***Ареал распространения и использование лекарственно - пряно - ароматического растения тмина (Carum Carvi L.)***

**Резюме**

В статье изложены агробиологические свойства лекарственно – пряно – ароматического растения тмина (*Carum Carvi L.*). Описаны: ареал распространения, биологические и ботанические особенности, биометрические параметры, состав и использование фармакологически активных веществ.

**Виола Есванджия, Теа Абрамишвили**  
(Грузия)

## **АГРОБИОЛОГИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ РОМАШКИ АПТЕЧНОЙ (*Matricaria recutita*)**

Грузия аграрная, малоземельная страна. Мягкий климат, сумма активных температур, оптимальное количество осадков, относительная влажность воздуха, продолжительность светового дня и плодородные почвы создают благоприятный фон для возделывания многих ценных сельскохозяйственных культур, в том числе лекарственных и ароматических, тем более, что для нашей страны это направление является исторически традиционным, а на сегодняшний день становится перспективным приоритетом.

Применения средств растительного происхождения, прежде всего, обуславливается их высокой биологической активностью. Природные химические соединения обладают как правило, менее вредным воздействием на человеческий организм, чем их синтетические аналоги и вещества с искусственно созданной структурой.

Одним из самых распространенных и древних лекарственных растений является - Ромашка аптечная (*Matricaria recutita*), требование к которой с каждым днем растет.

Удивительно, но именно этот скромный цветочек - простая ромашка была посвящена Богу Солнца - Ра в древнем Египте. Это неспроста - ромашка является как бы символом солнца и тепла. С ромашками связано множество примет и поверий. А по древним преданиям считается, что на месте, на которое упала звезда, вырастает ромашка.

Ромашка издревле была известна знахарям и травникам. Еще фараоны Древнего Египта использовали эфирное масло ромашки, затем обычай применять ромашку в качестве лечебного средства привился у древних греков и римлян. У друидов Англии ромашка была одним из семи священных растений. В качестве лекарственного растения она была известна врачам Древней Греции и Древнего Рима. Ромашка была включена в энциклопедию естественных наук древнеримским естествоиспытателем Плинием Старшим (23-79 гг. н. э.).

**Географическое распространение.** Каких только видов ромашек не существует! На самом деле их более 350 разновидностей, 100 из которых распространены в средней полосе Евразии. На территории Грузии 24 вида, из которых 10 - эндемы Кавказа, 3 - Грузии. Распространена - Главный Кавказский хребет, Западное Закавказье, Восточная Грузия. Растет на полях, огородах, в садах, на пустырях, межах, около жилищ, на залежах, у дорог, на сорных местах, по лугам, степям. Введена в культуру.

**Этимология.** Родовое название от латинского *matrix* - матка, в старину растение употреблялось для лечения женских болезней. Латинское *chamomilla* от греческого “*chami*” - низко и “*melon*” - яблоко, что характеризует низкий рост травы и присущий цветкам запах яблок.

**Ботаническое описание.** Ромашка аптечная это однолетнее растение семейства сложноцветных, высотой 15-60 см. Корень стержневой, маловетвистый, светло-бурый неглубоко проникающий в почву. Стебель обычно от основания ветвистый, реже простой, бороздчатый, полый. Листья очередные, сидящие, длиной 2-5 см и шириной 0,5-1 см, дважды- или триждыперисторассеченные.

Соцветия-корзинки, диаметром около 2-2,5 см, сидящие на длинных (1-5см) цветоносах на верхушках стеблей и их разветвлений. Цветки собраны в корзинки 1,5-2,5 см в диаметре, одиночные, на верхушке стебля и ветвей на довольно длинных (2-8 см), тонких и ребристых цветоносах. Обертка полушаровидная, из двух рядов черепитчато расположенных листочков длиной 2-2,5 мм, продолговатых, тупых, на спинной стороне с зеленой килеватой

полоской, с узким белым или буроватым пленчатым краем. Общее ложе корзинки голое, внутри полое в отличие от других видов ромашки.

Краевые цветки иногда неправильно называемые лепестками, белые, язычковые, с 3 зубчиками на конце, длиной 5-7 мм и шириной 2-3 мм, пестичные, однорядные, в числе 15-21. Срединные цветки желтые, трубчатые, обоеполые, многочисленны, длиной 1-1,5 мм, венчик пятизубчатый. Распускаются корзинки постепенно: вначале язычковые цветки направлены вверх и цветоложе (общее ложе корзинки) плоское, а затем венчики язычковых цветков располагаются горизонтально, цветоложе вытягивается, и зацветают нижние трубчатые цветки. В дальнейшем язычковые цветки отцветают, и их венчики отклоняются вниз, цветоложе все более принимает коническую форму. Постепенно к центру расцветают трубчатые цветки, тогда как нижние трубчатые цветки уже находятся в стадии плодоношения. Цветет почти все лето (с мая до осени, массовое цветение в июне). Стадия цветения отдельной корзинки продолжается около 3 недель. Плод - продолговатая бурая семянка длиной 0,8-1,2 мм, шириной 0,25 мм, немного изогнутая, на спинной стороне выпуклая, гладкая, на внутренней стороне с 4-5 тонкими и острыми ребрышками; к основанию они сужены, на верхушке косо срезанны, без хохолка.

**Биологические особенности.** Цветет ромашка с мая до осени; массовое цветение наблюдается в июне, массовое созревание семян в июле-августе. Обычно всходы ромашки появляются весной, но при обилии осадков они возможны и в августе-сентябре, тогда ромашка зимует в виде розеток зеленых листьев. На хороших зарослях в урожайные годы с 1 га можно собрать 2-5 ц сухих соцветий ромашки. Высокие ее урожаи обычно наблюдаются в годы с теплой и влажной весной, благоприятной для появления всходов этого растения оптимальной температурой вегетационного периода для ромашки считается 19-21 °С. При повышении температуры воздуха до 28-31 °С уменьшаются число соцветий и их величина.

**Размножение и агротехника.** Ромашку аптечную относят к группе растений с легко или относительно легко прорастающими семенами. У неё мелкие семена со средними размерами 0,8-1,2 × 0,25-0,4 мм, вес 1000 семян - от 0,026 до 0,077 г. Ромашка аптечная размножается исключительно семенами. Её целесообразно сеять сплошным способом при озимом сроке посева. Это влаголюбивое растение, хорошо растущее как на глинистых, так и на песчаных почвах. Самые высокие урожаи ее соцветий наблюдаются на плодородных черноземах, темно-серых лесных, высококультурных и торфяных почвах. Бедные почвы требуют хорошей заправки их органическими и минеральными удобрениями.

**Уборка урожая и хранение сырья.** Готовое сырье у аптечной ромашки состоит из цельных или частично осыпавшихся цветочных корзинок. Запах сильный, ароматный, вкус пряный, горьковатый. Заготавливают корзинки, собирая их в стадии горизонтального расположения язычковых цветков. Соцветия ромашки собирают в начале цветения, когда трубчатые цветки бывают раскрыты лишь возле язычковых цветков, а венчики последних торчат вверх или в стороны (а не обращены вниз). При более позднем сборе соцветий они рассыпаются при сушке и теряют товарный вид. Сбор сырья проводят в сухую погоду, после схода росы. Соцветия ромашки срывают руками или специальными гребенками, оставляя цветонос не длиннее 3 см. Собранный сырьё, не уплотняя, как можно быстрее отправляют на сушку. Сушат сырьё под навесами, на чердаках, рассыпав слоем 2-3 см и периодически перемешивая. Срок хранения 1 год.

**Химический состав.** Цветки ромашки аптечной содержат 0,2-0,8% эфирного масла синего цвета, обладающего дезинфицирующими и противовоспалительными свойствами. Главный компонент его - хамазулен составляет около 7% от остальных компонентов эфирного масла. Кроме хамазулена в масле имеются и другие сесквитерпеноиды (до 50%): фарнезен, бисаболол, бисабололоксиды А и В; монотерпен мирцин; кадинен, каприловая, изовалериановая и нониловая кислоты.



В цветках найдено значительное количество флавоноидов, производных апигенина, лютеолина и кверцетина, обладающих противовоспалительным и антивирусным свойствами. В частности, гликозид апиин (агликон - апигенин, сахарная часть - глюкоза и апиоза).

Кроме того, в цветках содержатся кумарины, полиацетиленовые соединения, холин, фитостерины, глицериды жирных кислот (олеиновой, линолевой, пальмитиновой, стеариновой), полисахариды, свободные органические кислоты (салициловая, никотиновая, аскорбиновая), каротиноиды, горечи, слизи, камеди.

В состав цветочных корзинок входят также терпеноиды: сесквитерпены (до 10%), сесквитерпеновые спирты (до 20%), флавоноидный гликозид кверцимеритрин, расщепляющийся на кверцетин и глюкозу, диоксикумарин.

**Фармакологические свойства.** Гликозиды ромашки оказывают слабое атропиноподобное действие, расслабляют гладкую мускулатуру, устраняют спазмы органов брюшной полости, увеличивают секрецию желудочно-кишечного тракта, усиливают желчеотделение и возбуждают аппетит.

Хамазулен усиливает регенеративные процессы, ослабляет аллергические реакции, обладает местноанестезирующим действием. Он и его синтетические аналоги находят применение при лечении бронхиальной астмы, ревматизма, аллергических гастритов и колитов, экземы, ожогов рентгеновскими лучами. Показаны значительные лечебные свойства хамазулена при воспалении, возникающем в результате облучений. В аптеках продается хамазуленовая мазь.

Эфирное масло ромашки оказывает дезинфицирующее действие, уменьшает образование газов, снимает боли, ослабляет воспалительные явления, нормализует нарушенные функции желудочно-кишечного тракта, усиливает потоотделение.

Мягчительные, обволакивающие свойства препаратов из ромашки в определенной степени обусловлены слизью, которая обладает большой поглощающей способностью, вследствие чего адсорбирует различные яды. Покрывая воспаленную ткань, она препятствует теплоотдаче и действует как согревающий компресс. Кроме того, слизистые вещества предохраняют ткань от внешних раздражителей и соответственно снижают ее чувствительность. При этом уменьшается боль, снимаются спазмы желудочно-кишечного тракта, т. е. создаются нормальные условия для его работы.

В настоящее время ромашка лекарственная применяется в виде настоя внутрь как противовоспалительное, спазмолитическое средство при заболеваниях органов пищеварения (спазмы кишечника, метеоризм, понос, гастрит, колит и другие расстройства), для стимуляции желчеотделения, как потогонное, ветрогонное средство.

В народной медицине отвар и настойку из ромашки аптечной широко используют при мигрени и бессоннице, катарах желудка, повышенной возбудимости, зубной боли и простудных заболеваниях.

Настойку рекомендуют для примочек и обмываний при экземах, нарывах, язвах, воспалении век, сыпях, фурункулах и потливости. Пары ромашки вдыхают при гриппе.

При золотухе, подагре, суставном ревматизме принимают ромашковые ванны.

### **Литература:**

1. კატარაგა თ., ესვანჯია ვ., ევექტური ტექნოლოგიები მიწათმოქმედების ინდუსტრიაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის მოამბე, თბ., 2004.
2. Лавренов В., Лавренова Г. Полная энциклопедия лекарственных растений. Москва, 1999.
3. Гаммерман А., Канаев Г. Лекарственные растения (Растения - целители). Москва, 1990.
4. Задорожный А., Кошкин А. Справочник по лекарственным растениям. Москва, 1989.

**ვიოლა ესვანჯია, თეა აბრამიშვილი**  
**გვირილის (*Matricaria recutita*) აგრობიოლოგიური თავისებურებანი**  
**რეზიუმე**

სტატიაში მოცემულია გვირილის ბოტანიკური აღწერა, გავრცელების არეალი, ბიოლოგიური თავისებურებანი, განვითარების ეტაპებისა და ფენოლოგიური ფაზების გათვალისწინებით, ონთოგენეზის მთელი პერიოდის განმავლობაში, ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემადგენლობა.

**Viola Esvanjia, Tea Abramishvili**  
***Agrobiological characteristics of Chamomile (Matricaria recutita)***  
**Summary**

The biological features of medical plant Chamomile (*Matricaria recutita*) are studied in Georgia in the period of ontogenesis, botanical description, site of spreading, biological particularity, stage of development, providing its phenological phases during all the period of its ontogenesis.

# მხატვრული თარგმანი – LITERARY TRANSLATION – ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ПЕРЕВОД

თარგმნა ინგა მორგოშიამ

## ელგარ პო მორელი

მორელას მიმართ მე უცნაური გრძნობა მქონდა, ის ჩემი მეგობარი იყო. დიდი ხნის წინ ჩვენ ერთმანეთი შემთხვევამ გაგვაცნო და პირველსავე შეხვედრაზე ჩემს სულს ალი მოედო; შემდეგ თანდათან – სანამ მე ვრწმუნდებოდი იმაში, რომ შეუცნობელი აზრებით ვიყავი შეპყრობილი და ვერ ვძარტავდი მის ალში დაბინდულ გრძნობებს – ჩემი სული იტანჯებოდა. ჩვენ ერთმანეთს ბედისწერამ დაგვაკავშირა და საკურთხევლამდე მიგვიყვანა; მე არც ვნებას ვიყავი აყოლილი და არც სიყვარულზე მიფიქრია. ის ხალხს გაუბროდა და მთელი თავისი არსებით ცხოვრება მე მომიძღვნა და გამაბედნიერა. ვინაიდან იმაზე ფიქრი, რომ ბედნიერება არის, ან ოცნება ბედნიერებაზე, უკვე დიდი რამეა.

მორელა უზომოდ ნაკითხი გახლდათ. სიცოცხლეს ვფიცავ, იშვიათი ნიჭის პატრონი იყო, განსაკუთრებული ჭკუით დაჯილდოებული. მე ამას კარგად ვგრძნობდი და მისგან ბევრ რამეს ვსწავლობდი. თუმცა მალე შევამჩნიე, რომ ის ძალიან ხშირად წასაკითხად მისტიკურ მოთხრობებს მთავაზობდა, რომლებიც ადრეული გერმანული ლიტერატურის საწყალ გადმონაშთად ითვლებოდა მხოლოდ. ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო, ის იქცა მუდმივი და საყვარელი განხილვის საგნად. თანდათან მეც მთლიანად ჩავერთე სწავლების ამ ფერხულში, რაც შეიძლება, უბრალოდ, მის ძლიერ ზეგავლენას მივაწეროთ.

ჩემი გონება – თუ ჩემს თავს არ ვატყუებ – ამასთან არავითარ კავშირში არ იყო. იდეალურია – განა მე ჩემს თავს არ ვიცნობ – არც ჩემი ქცევები, აზრები არ იყო შელამაზებული – ან მე ძლიერ ვცდები იმ მისტიკური ძალით, რითაც ჩემი კითხვა იყო გამსჭვალული. მე მთლიანად მოვექეცი ჩემი მეუღლის ზეგავლენის ქვეშ, გულანთებული გავყევი და გავიხლართე იმ რთულ ლაბირინთში. როდესაც იქითკენ ვიხრებოდი, რაზეც აკრძალული გვერდები მიგვითითებდა და ვგრძნობდი, რომ ჩემში აკრძალული სული იღვიძებდა, მორელა დამადებდა თავის ცივ ხელის-გულს ხელზე და მკვდარი ფილოსოფიის გაყინული ფერფლიდან მისტიკური შეგრძნება ღრმა და წარუშლელ კვალს ტოვებდა ჩემს მეხსიერებაში. მე საათობით მის გვერდით ვიჯექი და მისი ხმის მუსიკას ვუსმენდი, სანამ ეს მელოდია შიშის ზარს არ მცემდა – ჩემს სულს ჩრდილი ეფინებოდა, ვფითრდებოდი, შინაგანად ვკრთოდი ამ ბგერების მოსმენით, რომლებშიც ძალიან ცოტა იყო მიწიური. ამგვარად სიხარული საშინელებად გარდაიქმნებოდა და სილამაზე – სიმახინჯედ.

არ არის იმის აუცილებლობა, რომ იმ საუბრების თემების შინაარსი გადმოგცეთ, მაგრამ მე და მორელას დიდი ხნის განმავლობაში რამე სხვა თემაზე არ გვისაუბრია. ადამიანები, რომლებიც სწავლობდნენ იმას, რასაც შეიძლება თეოლოგიური მორალი ვუწოდოთ, ადვილად წარმოიდგენენ, თუ რაზე ვსაუბრობდით. ის, ვინც ვერ ერკვეოდა და არ იყო ჩახედული ამ ამბავში, ძნელად თუ გაიგებდა საუბრის შინაარსს. ფიხტეს მშფოთვარე ბუნება, ნირშეცვლილი „მეორედ დაბადება“ (ბერძ.), პითაგორები და, რაც მთავარია, იგივეობის დოქტრინა, როგორც ამას

შელინგი გამოგვცემდა – მორელა ყოველივე ამაში განსაკუთრებულ სილამაზეს პოულობდა, ალბათ იმიტომ, რომ ის ბუნებით ძალიან მგრძობიარე გახლდათ. იგივეობა, რომელსაც მისტერ ლოკი (თუ არ ვცდები) პირადულს უწოდებს, სამართლიანად განსაზღვრავს ყოველივე ამას, როგორც გონივრულ ნაბიჯს, რომელიც შეიძლება მივაწეროთ საღად მოაზროვნე არსებას, რადგან ჩვენ „პიროვნებად“ აღვიქვამთ რაციონალური საწყისისაკენ მიმართულ გონებას და რადგან აზროვნებას მუდამ თან ახლავს ცნობიერება. სწორედ ეს გვაყალიბებს ისეთებად, როგორებიც ვართ, სხვა დანარჩენი მოაზროვნე არსებებისგან განსხვავებით. მე ძალიან მაინტერესებდა პიროვნება, რომელიც ქრება ან არ ქრება სიკვდილთან ერთად, – არა იმიტომ, რომ მას პარადოქსული და მიმზიდველი ბუნება აქვს, არამედ იმ მღელვარების გამო, როგორითაც ამაზე მორელა საუბრობდა.

მაგრამ დადგა უამი, როდესაც ჩემი მეუღლის მიუწვდომელი და საიდუმლოებით მოცული ბუნება მე მთრუნავდა და ეს ჰგავდა ბოროტ წყევლა-კრულვას. ჩემთვის უკვე აუტანელი გახდა მისი თხელი, ნახევრად გამჭვირვალე ხელების შეხება, მისი ნელი, მუსიკალური ხმით საუბარი, მისი სევდიანი თვალების ოდნავი ციმციმი. მას ეს ესმოდა, მაგრამ არ მაყვებდრიდა. ჩანდა, რომ ის მიხვდა ჩემს სისუსტეს და სიგიჟეს. მე კიდევ ვფიქრობ, მან იცოდა ის უხილავი მიზეზი, რომელმაც ჩემში თანდათანობით გაუცხოება გამოიწვია, მაგრამ არც პირდაპირ და არც გადაკერით არ გამომხილა. ის ქალი იყო და დღითიდღე ილეოდა. იყო დრო, როდესაც მის ღოყებზე ორი ლაქა ალაქლაქდებოდა და ღურჯი ძარღვები მის უფერულ შუბლზე შესამჩნევი ხდებოდა; მაშინ ჩემი სული სიბრალულით ივსებოდა, მაგრამ უცებ ჩემ წინ მისი მეტყველი თვალები გადაიშლებოდა და ჩემს სულს ხან შფოთვა განგმირავდა და ხან შიში, რომელიც ადამიანს შეიპყრობს, როდესაც ის თავბრუდამხვევ სიტუაციაში აღმოჩნდება და შეჰყურებს მოღუშულ სიღრმეებს უხილავი უფსკრულის პირას. გითხრათ ის, რომ მე მოუთმენლად ველოდი მორელას სიკვდილს? დიახ, ამას ველოდი. მისი ფაქიზი სული კიდევ დიდხანს დაფავდა სულს - ბევრ დღეს, ბევრ კვირას, მძიმე თვეებს, სანამ ჩემმა დაგლეჯილმა ნერვებმა გონება არ დაკარგა. მთელი ძალით და დემონური სიმშაგით ვწყევლიდი იმ დღეებს, წუთებს, საათებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო გრძელი და გაწელილი მეჩვენებოდა ისე, როგორც მისი უწყინარი სიცოცხლე - ნელ-ნელა ქრებოდა, - ისე, როგორც აჩრდილი წაგრძელებული დღის დასასრულს.

ერთხელ, შემოდგომის საღამოს, როდესაც ქარმა მიიძინა ზეცაში, მორელამ მე თავის ღოგინთან მომიხმო. მთელ დედამიწაზე გამჭვირვალე ღრუბელი იყო დაკიდებული, ოქტომბრის ტყის ბრწყინვალე ფოთლეულს ცისარტყელა ეცემოდა.

– ეს იყო დღეების დღე, – თქვა მან, როდესაც მივუახლოვდი. ეს დღეების დღეა, რომ იცოცხლო და რომ მოკვდეო.

საოცარი დღე ამ მიწის ვაჟებისა და სიცოცხლისათვის... მაგრამ უფრო საუცხოლო არის ის ზეცის ქალიშვილებისა და სიკვდილისათვის!

შუბლზე ვაკოცე. მან განაგრძო:

– მე ვკვდები, მაგრამ მე მაინც ვიცოცხლებ.

– მორელა!

– სიცოცხლეში შენ მე არასდროს გიყვარდი, მაგრამ ვინც შენში სიცოცხლეში ზიზღს იწვევდა, იმას სიკვდილის მერე გაადმერთებ.

– მორელა!

– მე ვამბობ, რომ ვკვდები! მაგრამ ჩემში იმალება იმ სინაზის ნაყოფი – ოჰ, ძალიან პატარა! – ის, რითაც შენ საზრდოობდი, მორელათი. როდესაც ჩემი სული ზეცაში გაფრინდება, ბაღლი იცოცხლებს, შენი და ჩემი ბაღლი, მორელა. მაგრამ შენი დღეები სევდით სავსე იქნება, ეს გრძობა ყველა გრძობაზე დღეგრძელია,

ისევე, როგორც კიპარისი. შენი ბედნიერების საათმა ჩაიარა... მეტიც – შენ დროსთან თამაშს ვერ შეძლებ, მაგრამ განშორების ჟამს შენი სათანო თან გაგყვება როგორც მუსულმანს თავისი მექა.

– მორელა! – დავიყვირე მე, – როგორ შეგიძლია შენ ეს იცოდე!

მან თავი შეაბრუნა, მის მხრებზე ურუანტელმა გაიარა; ის გარდაიცვალა და მას შემდეგ მისი ხმა არ გამოიგია.

გოგონა, პატარა ბაღლი ამ ქვეყანას მოვევლინა მაშინ, როდესაც დედამისის სუნთქვა შეწყდა. ის უცნაურად ვითარდებოდა როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. ის დედამისის ზუსტი ასლი გახლდათ. მე ის ძალიან მიყვარდა. შეუძლებელია ამაზე ძლიერი გრძნობა ამ ქვეყნად მცხოვრები არსების მიმართ დაგეუფლოთ.

ძალიან ძალე ამ ყველაზე ნაზი არსების მიმართ ზეცა თითქოსდა ჩაქრა და მღვდვარების, შიშის, მწუხარების ბინდით შეიმოსა. მისი სწრაფი ზრდა ძალიან უცნაურად მეჩვენებოდა, მაგრამ მე საშინელმა შფოთვამ მაშინ შემიპყრო, როდესაც მის სულიერ ზრდას ვადევნებდი თვალყურს! ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, მე რომ ყოველდღიურად შემეჩნია ბავშვის სიტყვებში ზრდასრული ქალის უნარი და აზროვნება, ვნება, რომელიც ამ ასაკში იშვიათობაა. ვიმეორებ, როცა ეს ყველაფერი აშკარა გახდა, ჩემს გრძნობებს ზიანს აყენებდა, მე უკვე ძალა აღარ შემწევდა ეს ჩემი სულისთვის დამემალა, უკვე არც შებრძოლების უნარი მქონდა. შეიძლებოდა გამკვირვებოდა უჩვეულო და სასოწარკვეთილი ეჭვი, ჩემი აზრები იმ ფანტაზიებით და თეორიებით რომ მოცულიყო, რომლებიც მორელას სამარხში დაბუდეებულიყო. მე გადავძალე ცნობისმოყვარე სამყაროსგან ის, ვინც ბედმა მაიძულა გამეღმერთებინა და ჩემი სახლ-კარი მკაცრ განმარტობაში მომექცია. ძალიან მღვდვებდა და თვალყურს ვადევნებდი ჩემს საყვარელ არსებას, ძალ-ღონეს არ ვზოგავდი და ვცდილობდი არაფერი გამომჩენოდა.

წლები გადიოდა. მე ყოველდღე ვაკვირდებოდი წმინდა, უწყინარ, მჭერმეტყველ არსებას, მის ფიზიკურ განვითარებას; ვაკვირდებოდი იმას, თუ როგორ ემსაგავსებოდა ის დედამისს, ნაღვლიანს და მიცვალებულს. და ყოველ საათს მსგავსების აჩრდილი უფრო და უფრო ღრმა ხდებოდა, უფრო გამოკვეთილი, აშკარა, გაუგებარი და თავზარდამცემი. მისი ღიმილი, მზერა დედამისის ღიმილს მაგონებდა. ეს მსგავსება შიშის ზარს მცემდა - ასეთი მზერა მხოლოდ მორელას ჰქონდა. დიდი შუბლის მოსახულობა, აბრეშუმის ლოკონები, თხელი, ნახევრად გამჭვირვალე თითები, ნაღვლიანი მუსიკალური ხმა და, რაც მთავარია, სიტყვები, მიცვალებული და ცოცხალი არსებების საუბარი, მეტყველება. ეს მსგავსება შიშის ზარს მცემდა და ჭია არ კვდებოდა! ჩემი ქალიშვილი ცხოვრობდა ამ უსახელო მიწაზე. „ჩემი შვილი“ და „ჩემი სიყვარული“ – მამობრივი სინაზე არ საჭიროებდა სხვაგვარი სახელის დარქმევას, ის მკაცრად განცალკევებულად ცხოვრობდა, მთელ დღეებს ყოველგვარი თანამოსაუბრის გარეშე ატარებდა. მორელას სახელი მის სიკვდილთან ერთად დასრულდა. მე ჩემს ქალიშვილთან დედის თაობაზე არ მისაუბრია – ეს შეუძლებელი იყო. არა, მისი არსებობის ეს მოკლე დრო რჩებოდა შინაგანად უხილავი.

ბოლოს და ბოლოს ნათლობა მომეჩვენა ერთადერთ გამოსავლად და ჩემი ბედის საშინელებებისაგან თავის დაღწევის ერთადერთ შანსად. მაგრამ ტაძარში მე გამიჭირდა მისთვის სახელის შერჩევა. ბაგეებზე მიტრიალებდა ბევრი ბრძენი, შესანიშნავი, ნაზი, ბედნიერი, კეთილშობილი ქალბატონის სახელი. მაგრამ რამ მაიძულა გარდაცვლილის ხსოვნა შემეწუხებინა? რომელმა ბოროტმა სულმა მიბიძგა იმ ბგერების წარმოთქმა, რომელთა გახსენებაც კი მზარავდა საფეთქლიდან გულამდე, რომელმა დემონმა ამომძახა ჩემი სულიდან, რომ იმ ბინდიან დამეს სამი მარცვალი ჩამეწურჩულებინა მღვდელმსახურისთვის - მორელა? ეს იყო რაღაც მე-

ტი, ვიდრე ბოროტი სული, დაასახიჩრა ჩემი შვილის ნაკვთები და მისგან წაშალა ცხოვრების ფერები, როდესაც ამ ოდნავ გასაგები ხმისგან მან აღაპყრო სარკისებრი თვალები მიწიდან ზეცაში და ქანცგამოცლილი დაეშვა ჩვენი საგვარელოს შავი ქვაფენილის სამარხში, მიპასუხა:

– მე აქ ვარო.

გარკვევით, ვნების გარეშე, ცივად გაისმა ეს ბოროტი ბგერები, რომლებიც ყურში ჩამესმის და მთელს ტვინს მოეფინა. წლები... წლები შეიძლება უკვალოდ გაქრეს, მაგრამ მესხიერებიდან არასდროს ამოიშლება ის წამები - არასდროს! მე ვერაფერს ვამჩნევდი ირგვლივ, ვერ გვრძნობდი დროს, არ ვიცოდი, სად ვიმყოფებოდი, ჩემი ცხოვრების ვარსკვლავი ციდან გაქრა და მიწას ბინდი მოეფინა, იქ მცხოვრებნი ჩემ გვერდით თითქოსდა ტივტივებდნენ როგორც გაუგებარი აჩრდილები, მათ შორის მე მხოლოდ მორელას ვხედავდი! ქარი ყურში ჩამჩურჩულებდა ერთ ბგერას და იმეორებდა სამუდამოდ – მორელა! მაგრამ ის გარდაიცვალა; მე თვითონ მოვათავსე ის საგვარელო სამარხში და მწარედ გამეცინა, როდესაც იქ მეორე მორელა მოვათავსე და პირველი მორელა არ დამხვდა.

სონეტები



ყველა შემოქმედს სდევდა გრძნობა უკმარისობის  
და მეც ამ გრძნობამ უცნაურად ამიყოლია!..  
ჩემი არსება დაიხვერიტა იჭვის ისრებით,  
თუმც ლექსზე უფრო საიმედო არვინ მყოლია!

ნუთუ ეს არის ყოველივე, რაზეც ვდეღავდი  
და ფრთების გაშლა უფრო მძლავრად რჩება სურვილად!..  
ვინ დამისურა ჭაბუკობის გზები ფერადი  
და ცა ლამაზი ვარდფურცლობის ოქროცურვილი?!

ო, ეს რამდენჯერ აბობოქრდა ჟამი მრისხანე,  
შმაგი კივილით – ეს რამდენჯერ შემომიტია!..  
ჩემი ფიქრები მარადმწვანე რტოებს ისხამენ  
და სულში მაინც უკმარობის გრძნობა მინთია!..

ვეცადე, მაგრამ ვერ გავედი იჭვის ველიდან,  
გაორებული ვრჩები კაცი ამიერიდან!..



გადაუქროლე საუკუნის უღელტეხილებს,  
ომი, სისხლის ღვრა, ველურობა ვნახე მრავალი!..  
შენი თვალების სილაჟვარდე რომ არ მეხილა,  
ამაკივლებდა ზღვის სიღრმეში მზე ჩამავალი!

ვერ იქნა, დღემდე ვერ ვიმორებ დროის სიურჩეს,  
კვლავ ხვნეშის გული უჩვეულო ცეცხლის მოდებით!..  
რეკავს საათი, მაგრამ ღელვას ვეღარ მიუჩნებს,  
ვაწყდები კაცი ჟამის კედლებს გაბოროტებით!..

ვერ მოვიტოვე საუკუნის ლაბირინთები,  
ისევ მიქრიან ეს დღეები შმაგი ჭენებით!..  
არ მიცხოვრია სამზეოზე მხოლოდ მითებით,  
რად მემუქრება ეს დემონი გადაშენებით?!

უნდა დაგსძლიო ტკივილები გაუსაძლისი,  
რომ გავამართლო ქვეყანაზე ჩემი საწყისი!



რა სუსხიანი და სასტიკი დღეები ბრუნავს,  
განდევნა ქარმა უღმობელმა ლურჯი ნიავი!  
ეს ჩემი ბაღი დაემსგავსა მხეცების ბუნავს  
და დგას გარშემო უჩვეულო ორომტრიალი!..

მზე ღრუბლებიდან იმზირება შიშით, ცახცახით,  
ნუთუ ავდარმა დაუღეწა სხივები ერთობ?  
გაფრენილ დღეებს ყიჟინით და სტკენით გაგძახი,  
მაგრამ ამაოდ! არავინ ჩანს მშველელი, ღმერთო!

ჩემს ბაღს არ შერჩა არც სურნელი, არც სილამაზე  
და გულისცემას ვერ იქნა და ვედარ ვამშვიდებ!  
ამ დღეთა ბრუნვა მე ნიადაგ ტკივილით მავსებს  
და უსაშველო დღევით მიკლებს, სანამ დამშლიდეს!

თუ ზამთრის ქარმა ბაღი ერთობ გამინიავა,  
ვინ ამიყვავებს გაზაფხულზე ქცეულს იავარ?!



ჟამი ფერს გვიცვლის და ყოფილად ვიქცევით მალე,  
ჩაქრება ო, ეს სილამაზე სიცოცხლის მიღმა!..  
სულო, მითხარი, ფრთებდაღლილი საითკენ მიხვალ,  
გულო, რას უცდი, შენც აფეთქდი ერთბაშად, ბარემ!

რაგინდ ეცადო, დრო გარდასულს ვედარ აბრუნებს,  
ვერც იმ თვალების სილაჟვარდე დაგიბრუნდება!  
შეხედე, ირგვლივ ყველაფერი როგორ ხუნდება,  
არ მინდა ვნახო ის ბილიკი, ნისლო, დაჰბურე!

შემოინახე, ლექსო, ხსოვნა გარდასულ დღეთა  
და ვარდფურცლობის უჩვეულო ფერთა სიალე!  
ო, ახლა უკვე შემოდგომის ქარი რიალებს,  
მალე შემოსავს ამ მიდამოს ზამთარი თეთრად!

დრო ისე გარბის, არ მორჩილებს ფოლადის ლაგამს,  
ის ცოცხალს – არა, უსულოსაც აბერებს საგანს!



ვერ შემიცვნია მაგ თვალების ლურჯი ნათება  
და რასაც ვხედავ, ნუთუ იგი ლანდია მხოლოდ?  
რა გტკივა ასე, ო, ძვირფასო, რა გემართება?  
მივაყურადოთ ცის თავანზე ვარსკვლავთა ქოროს!..



აქ ყველაფერი საოცარი ფერებით ფეთქავს!  
ბრუნავს და ბრუნავს ეს სამყარო – უსაზღვრო სფერო...  
მამლის ყივილით გათენდება ეს ღამეც თეთრად,  
ჩვენ შევრჩით ხელში სიყვარულის უჩინარ დემონს!..

მხურვალე ბაგე გამძაფრებით დაეძებს ბაგეს  
და მოქათქათე მთვარის ქორფა მკლავებზე ვწვებით...  
ნუთუ, ჟამთა სვლის მდინარება ყველაფერს ანგრევს  
და ჩვენს სიყვარულს დააბერებს მოვარდნა წლების?

არ მეშინია, საყვარელო, რაც უნდა მოხდეს,  
არ შეიძლება სიყვარულის ყვავილი მოკვდეს!



იდგა ჟამი მაშინ მთვარის მოვანების  
და ჩვენ სულში ტრფობის მტკვნებს ვიწურავდით!..  
შენ იყავი ძალზე ნორჩი წლოვანებით  
და ზღვის პირად ყვავილებში მივცურავდით...

ჩავირბინეთ ჩვენ ბილიკი ზღვისკენ ვიწრო,  
მოგონებით, საყვარელო, გული მითრთის!..  
ის დღეები მე რამ უნდა დამავიწყოს,  
რასაც ვგრძნობდით, განა ენით გამოითქმის?

ის მშვენება, მითხარ, როგორ დავიბრუნო?  
როცა აფრა შორეულ გზით მიმაქანებს?!  
მიდის ჟამი!.. შენც მიცურავ, გაზაფხულო,  
და იმსხვრევა ჩემი სულის მინანქარი!..

დავიწყებას შენს ღიმილს ვერ მივაკარებ,  
რჩება ჩემში ო, იმ დღეთა სიანკარე!..



სული გაურბის შემოდგომის დღეებს მთვლემარეს  
და გაზაფხულის საოცარი ქრება ნათება!..  
რა რჩება ქვეყნად დაუმსობი, გაუთელავი?  
და თვალებიდან არ მშორდება შენი ხატება!..

ხორცი ადვილად ითელება დროის ფლოქვებით  
და გული ხსოვნით კვლავ რამდენჯერ დაიცვარება!..  
ვდგავარ ეულად, უჩვეულოდ შენაშფოთები  
და სული მედგრად უმკლავდება ფერიცვალებას!..

ჩემმა ხომალდმა ზღვის სივრცეში აფრა გაშალა,  
თუმც უტევს ჟამის ქარიშხალი დაუნდობელი..  
გულო, რას უცდი? – მოიშორე ეს კაეშანი,  
რადგანაც ისეც მდიდარია დარდით სოფელი!..

მივალ ბილიკზე დეღვით სავსე, უკვე დამდება,  
ისე ვინჩარი, თითქოს სადღაც მაგვიანდება!..



როგორ იქნება მოგონებამ არ აგაცრემლოს!  
მითხარი, დროო, თუ საითკენ მიექანები?  
საით წახვედით, ჩემი სოფლის ბერიკაცებო,  
დამუხტულელო გაზაფხულის მზით და ქარებით?!

შორს, ცის სიღრმეში, უთვალავი იწვის სანთელი  
და მოირხევა სიშორიდან შუქი ღვარებად!..  
ჩვენ გზას გვინათებს თქვენი სიბრძნის დიდი ნათელი,  
რომ არ დავენებდეთ სიბილწეს და გადაგვარებას!

რწმენის გარეშე სავალს ვეღარ გაიადვილებ,  
თქვენმა ოცნებამ კვლავ ძლიერი ფრთები მოისხა!..  
თუმც ჟამი ყმუის ბილიკებზე, როგორც ნადირი,  
მაგრამ ის ვეღარ გაექცევა ჯომარდ მოისარს!

მიიზვირთება ეს ცხოვრება მრავალხმიანი,  
მაგრამ გვამხნეებს – კვლავ თქვენი ხმა ომახიანი!..



მე დავდიოდი ჩემს ქალაქში წუხელის სიზმრად,  
იყო ქუჩები ზამთრის რუხი ნისლით ნაფერი..  
ვაყურადებდი არემარეს ეული ფხიზლად  
და აწყდებოდა ზღვის ნაპირებს... სხვა არაფერი!..

აქ სასაფლაოს შემზარავი დუმილი იდგა,  
ძლივს კრთოდა ნისლის სიშორეში მთვარის სხეული..  
მე დავდიოდი უკაცრიელ ქუჩებში დიდხანს,  
ისევე შხუოდა ქარის ფრთებზე ზღვა ამღვრეული!..

მთა საოცნებო დაეფარა უჟამო სევდას  
და სიბნელეში ის ყრუდ იყო თითქოს ჩაფლული..  
ირგვლივ ყველაფერს მხოლოდ მკედრული სიჩუმე სდევდა,  
არ ირხეოდა ო, იმ დღეთა აფრა ზღაპრული!

და ვისხენებდი კაცი წარსულს სულით ნათელით,  
გავცქერდი ქალაქს ბედისწერის ფლოქვით გათელილს!..



რად გახდა ასე პროზაული ჩემი ცხოვრება?  
დღეებს მიმავალთ თითქმის უკვე მხარი ავუბი!  
შენი ხატება, სულო, მარად მემახსოვრება,  
ო, ის ღამაში ღიმილი და ტონი საუბრის!..

ის ხეივანი გახდა უკვე ცივი და მკაცრი,  
ფერთა თამაშით მიიღია დღეები მწველი!..  
რაც კი გვებოდა, ჟამი ისევ ხელიდან გვაცლის,  
რა შეგვრჩა? – მხოლოდ მოგონებით თვალეები სველი!..

მივათრევ დღეებს უღიმღამოს და როგორ მიჭირს,  
ჩამოიქროლე ერთხელ კიდევ, ღურჯო ნიავო!  
საით წავიდა ის პატარა ღამაში ბიჭი,  
რომ შორს გაქცეულს ეწეოდა ველზე ნიამორს?!

გულს მძიმედ დაღლილს – ეს რა მძიმე სევდა მოება!..  
სად გაქრა ო, იმ სიღამაზის უსაზღვროება?!



გამოვეთხოვე გაზაფხულის დღეებს საოცარს,  
სულს მიღრღნის ახლა ჩუმი სევდა დაუფარავი!..  
მე ვეფერები მაგ შენს თვალეებს მარად სალოცავს,  
შორს დარჩა სადღაც ჩვენი ტრფობის თეთრი კარავი!..

გვითვალთვალეებდა ბუჩქებიდან ცელქი ამური  
და ხელში უხმოდ დაჭიმული მშვილდი ეჭირა!..  
ღამეს უნაზესს ჰქონდა ფერი სიასამურის,  
რომ ჩვენი სულის სიღამაზე გადაერჩინა!..

და ვარსკვლავები გვიგალობდნენ ციდან საამოდ,  
მხრებზე კი შენი თაფლისფერი თმები მეღვარა!..  
ასე ვხვდებოდით აღტაცებით ყოველ საღამოს,  
ჩვენი გვეგონა, საყვარელო, მთელი ქვეყანა!..

ახლა უშენოდ ეს ქვეყანა მეუცხოება...  
და ასე მიდის უფერულად ჩემი ცხოვრება!..



უშენოდ რა ვქნა, ახლა ძალზე შორსა ვარ შენგან!  
ვერ გეფერები, მაგრამ მაინც იმედით ვსუნთქავ!..  
ვერ იქნა, ქვეყნად ბოროტება ვერ გადაშენდა,  
თუმც უძღურებაც ბოროტების არავის უთქვამს!

ორთა ბრძოლაში სიკეთესთან ის უფრო ხშირად  
ათასგვარ ხერხით წარმატების მიღწევას ცდილობს!  
ხან შემართებას გოლიათურს სასტიკად ჩრდილავს,  
რომ სიდიადე შეურაცხოს და დაამციროს!

და მის ქმედების დასასრულს ხომ ბოლო არ უჩანს,  
ის ფოცხვერივით მოზომილი ნაბიჯით დადის!..  
ბევრჯერ დაფარა შავი ღრუბლით ეს ზეცა ღურჯი,  
ასი ათასჯერ ხელთ ჩაიგდო სამეფო ტახტიც!

ის უზენაესს ნუთუ აღარ ემორჩილება?  
კაცობრიობას იგი უკვე ექცა დიღემად!..

ვენტა კოცერე.....	3
<i>ლატვიის უნივერსიტეტის აკადემიური ბიბლიოთეკის როლი ლატვიასა და საქართველოს შორის სამეცნიერო და კულტურულ ურთიერთობებში</i>	
Venta Kocere	
<i>The role of the academic library of the University of Latvia in the development of scientific and cultural relations between Latvia and Georgia</i>	
Вента Коцере	
<i>Роль Академической библиотеки Латвийского Университета в развитии научных и культурных взаимоотношений Латвии и Грузии</i>	

**ზოლოლოგია – PHILOLOGY – ФИЛОЛОГИЯ**

მედეა საღლიანი.....	14
<i>ინტერფიქსური (რესპ. „მაერთხმეფიანი“ და „მაერთმარცვლიანი“) რედუპლიკაცია სვანურში</i>	
Medea Saghliani	
<i>Interfix (resp. "linking vowel" and "linking syllable") reduplication in Svan</i>	
Медея Саглиани	
<i>Интерфиксная (респ. «соединительная гласная» и «соединительный слог») редупликация в сванском языке</i>	
ლილია ტრინკა.....	29
<i>რუმინულ ენაში კონცეფცია პურის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი (ასოციაციური ექსპერიმენტი)</i>	
Lilia Trinca	
<i>"Cognitive mars" of Romanian culture vs. the concert of bread (on the basis of the associative experimdent)</i>	
Лилия Тринка	
<i>Лингвокультурологический анализ концепции хлеб в румынском языке (ассоциативный эксперимент)</i>	
ზეინაბ ახვლედიანი.....	37
<i>თურქულ-ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარება</i>	
Zeinab Akhvlediani	
<i>The Development of Turkish-Georgian lexicography</i>	
Зейнаб Ахвледяни	
<i>Развитие турецко-грузинской лексикографии</i>	
ქრისტინა აივაზიანი.....	41
<i>ლინგვისტური ცვლილებების ექსტრალინგვისტური ბუნება</i>	
Kristina Ayvazyan	
<i>Extralinguistic nature of the linguistic changes</i>	
Кристина Айвазян	
<i>Экстралингвистический характер языковых изменений</i>	

მანანა გამბაშიძე.....	46
<i>მარჯვენა ველის სატელიტები სახელურ ფრაზაში</i>	
<i>გერმანული პროზის მასალაზე</i>	
<b>Manana Gambaschidze</b>	
<i>The satellites of the right field in the nominal phrase on the material of German prose</i>	
<b>Манана Гамбашидзе</b>	
<i>Сателлиты правого поля в номинальной фразе по материалам немецкой прозы</i>	
სალომე მენაბდე, ელმირა ზოგრანიანი.....	59
<i>ყოველდღიური ცნებების სიმბოლიზაცია ენასა და კულტურაში (ლექსემების «очаг» и “hogar” შედარებითი ანალიზი რუსულ და ესპანურ ენებში)</i>	
<b>Salome Menabde, Elmira Zogranyan</b>	
<i>Symbolization of ordinary notions in language and culture (comparative analysis of lexemes “hearth” and “hogar” in Russian and Spanish languages)</i>	
<b>Саломе Менабде, Эльмира Зограмян</b>	
<i>Символизация обыденных понятий в языке и культуре</i>	
<i>(сопоставительный анализ лексем «очаг» и “hogar” в русском и испанском языках)</i>	
მირანდა თოდუა, ნონა ქეცბაია.....	65
<i>ცრემლისა და გლოვის სემიოტიკა</i>	
<b>Miranda Todua, Nona Ketsbaia</b>	
<i>Semiotics of Tears and Mourn in Sacred Poetry</i>	
<b>Миранда Тодуа, Нона Кецбая</b>	
<i>Семиотика слёз и траура в религиозной поэзии</i>	
ჟანა ტოლისბაევა.....	71
<i>რაზე ვდუმვარ შენთან, ან დიანა კაბდილგაზინას შემოქმედების ზოგიერთი თავისებურებანი</i>	
<b>Janna Tolysbaeva</b>	
<i>What I am silent with you about, or some aspects of the creativity features of Diana Kabdylgazina prose</i>	
<b>Жанна Толысбаева</b>	
<i>О чем я тебе молчу, или О некоторых особенностях творчества Дианы Кабдылгазиной</i>	
თამარ ჩოკორაია.....	78
<i>არსენა, როგორც ისტორიული და კოლექტიური მეხსიერების ნაწილი (მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ მიხედვით)</i>	
<b>Tamar Chokoraia</b>	
<i>Arsena as a part of historical and collective memory</i>	
<i>(according to “Arsena Marabdeli” by Mikheil Javakhishvili)</i>	
<b>Тамар Чокорая</b>	
<i>Арсена Марабдели как часть исторической и коллективной памяти</i>	
<i>(по роману М. Джавахишвили „Арсена Марабдели“)</i>	
კახა გლონტი.....	88
<i>ქრისტეს ჯვარცმის მისტერია და კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება</i>	
<b>Kakha Glonti</b>	
<i>The mystery of crucifixion of Jesus Christ and Konstantine Gamsakhurdia's work</i>	
<b>Каха Глonti</b>	
<i>Тайна распятия Христа и творчество Константина Гамсахурдия</i>	

მაია დუმბაძე.....	93
<i>ქალბატონი შოშა – ქალი ამორბალი</i> <i>(თომას მანის „ჯადოსნური მთის“ მიხედვით)</i>	
Maia Dumbadze	
<i>Mme Chauchat- an Amazon</i> <i>(According to “The Magic Mountain” by Thomas Mann)</i>	
Майя Думбадзе	
<i>Госпожа Шоша – женщина амазонка</i> <i>(По произведению Томаса Манна «Волшебная гора»)</i>	

ბუტიურკა დოინა.....	98
<i>პროფესიული პნევმოპათიის გამჭვირვალობა და თარგმანუნარიანობა</i>	
Butiurca Doina	
<i>Transparency and translatability regarding the terminology of professional pneumorathies</i>	
Бутирка Дойна	
<i>Прозрачность и переводимость терминологии профессиональной пневмопатии</i>	

მედეა იმნაძე.....	106
<i>თარგმანის ტრანსფორმაცია საზღვაო პროფესიულ კომუნიკაციაში</i>	
Medea Imnadze	
<i>Translation transformations in professional marine communication</i>	
Медая Имнадзе	
<i>Переводческие трансформации в профессиональной морской коммуникации</i>	

**ისტორია და პოლიტოლოგია – HISTORY AND POLITOLOGY –  
ИСТОРИЯ И ПОЛИТОЛОГИЯ**

ირადა ჰუსეინოვა, აინურ ჰუსეინოვა.....	110
<i>საერთაშორისო და რეგიონალური პროექტები კავკასიაში</i> <i>თანამედროვე ეტაპზე</i>	
Irada Huseynova, Aynur Huseynov	
<i>International and regional projects in Caucasus</i>	
Ирада Гусейнова, Айнур Гусейнова	
<i>Международные и региональные проекты на Кавказе на современном этапе</i>	

აიდა იუსუფზადე.....	120
<i>პოლიტიკური კულტურა – პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი</i>	
Aida Iusufzade	
<i>Political culture – an important element of political system</i>	
Аида Юсифзаде	
<i>Политическая культура – важнейший элемент политической системы</i>	

**საერთაშორისო ურთიერთობები – INTERNATIONAL RELATIONS –  
МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ**

ნესტან ჯაჩვლიანი, ამზა ჩარგაზია.....	126
<i>ახლო აღმოსავლეთის კონფესიონალიზმი – პრობლემები ლიბანში</i>	
Nestan Jachvliani, Amza Chargazia	
<i>Middle East Confessionalism - problems in Lebanon</i>	
Нестан Джачвлиани, Амза Чаргазия	
<i>Конфессионализм на Ближнем Востоке – проблемы в Ливане</i>	

ულკერ მამეზაძე.....131  
*ილჰამ ალიევის როლი აზერბაიჯანულ-რუსული ურთიერთობების განვითარებაში*  
**Ulker Mammedzade**  
*The role of Ilham Aliiev in the development Azerbaijani-Russian relations*  
**Улькер Маммедзаде**  
*Роль Ильхама Алиева в развитии Азербайджано-русских отношений*

ნესტან ჯაჩვლიანი, ირინე თედორაძე..... 138  
*ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა მესამე სამყაროს ქვეყნებზე: ქეისი – სინგაპური*  
**Nestan Jachvliani, Irine Tedoradze**  
*Transnational corporations' influence on the third world countries (on the case of Singapore)*  
**Нестан Джачвлиани, Иринэ Тедорадзе**  
*Влияние транснациональных корпораций на страны третьего мира (на примере Сингапура)*

**კულტუროლოგია – CULTUROLOGY – КУЛЬТУРОЛОГИЯ**

---

ინდირა ძაგანია, მარინა აროშიძე..... 144  
*ეროვნული დღესასწაულები როგორც კოლექტიური მეხსიერების შემადგენელი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემა*  
**Indira Dzagania, Marina Aroshidze**  
*National holidays as a constituent of collective memory and intercultural communication problem*  
**Индира Дзагания, Марина Арошидзе**  
*Праздники как составная часть коллективной памяти и проблемы межкультурного общения*

ლალა ახმედოვა..... 149  
*კულტურული პოლიტიკის საკითხისათვის*  
**Lala Akhmedova**  
*On the question of cultural policy*  
**Лала Ахмедова**  
*По вопросу культурной политики*

ირენა კუდლინსკა, ვალენტი პილატი .....155  
*კულტურული პარალელები და პოლონურ-რუსული ანტინომები სამეცნიერო კვლევებში*  
**Irena Kudliska, Valenti Pilat**  
*Cultural parallels and Polish-Russian antinomy in the light of scientific research*  
**Ирена Кудлинська, Валенты Пилат**  
*Культурные параллели и польско-русские антиномии в свете научных исследований*



ელენა ხაჯიშვილი.....161  
კულტურული მემკვიდრეობის ენობრივი მარკერები  
Elena Khadjishvili  
*Language markers of cultural memory*  
Елена Хаджишвили  
*Языковые маркеры культурной памяти*

მარინა დევაძე.....165  
გენდერის როლი კომუნიკაციურ სტრატეგიაში  
Marina Devadze  
*Gender role in the communication strategy*  
Марина Девадзе  
*Гендерная роль в коммуникационной стратегии*

ნესტან ლომაია.....169  
კულტურის ზოგიერთი ორიენტაცია გენდერთან მიმართებაში  
Nestan Lomaia  
*Some cultural orientations for gender equality*  
Нестан Ломая  
*Некоторые культурные ориентации гендерного равенства*

## **ჟურნალისტიკა – JOURNALISM – ЖУРНАЛИСТИКА**

---

კატერინა ლომონოსოვა.....177  
მცირე ფორმის ტექსტები ჟურნალისტური ჟანრების სისტემაში  
Kateryna Lomonosova  
*Mini texts in the system of journalistic genres*  
Екатерина Ломоносова  
*Тексты малой формы в системе жанров журналистики*

## **ეკონომიკა – ECONOMICS – ЭКОНОМИКА**

---

ნაზირა ჰუსეინოვა.....186  
საწარმოების გაყიდვების ლოჯისტიკის სტრატეგიების მეთოდოლოგიური ხერხებისა და გზების ანალიზი  
Nazira Huseynova  
*Methodological methods and ways of analysis of logistics strategy of sales at enterprises*  
Назира Гусейнова  
*Методологические приемы и способы анализа логистической стратегии сбытовой деятельности предприятий*

ლეილა ბაბაევა.....192  
კომპანიის ანტიკრიზისული მართვა გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გაუარესების პირობებში აღმოსავლეთ რეგიონში  
Leyla Babaeva  
*Company's Anti-Crisis Management under the Circumstances of the Worsening Geopolitical and Economic Situation in the Eastern Region*  
Лейла Бабаева  
*Антикризисное управление компании в условиях ухудшения геополитической и экономической обстановки в восточном регионе*

ნაზირა ჰუსეინოვა .....	202
<i>ლოჯისტიკის სამსახურის მატრიცული სტრუქტურა კომერციული საწარმოების მართვის სისტემებში</i>	
Nazira Huseynova	
<i>Matrix structure of logistics service in the management system of commercial enterprise</i>	
Назира Гусейнова	
<i>Матричная структура службы логистики в системе управления производственно-коммерческого предприятия</i>	

**პედაგოგობა – PEDAGOGICS – ПЕДАГОГИКА**

ლელა რეხვიაშვილი .....	207
<i>თამაშების გამოყენების პედაგოგიური ჩარჩოები</i>	
Lela Rekhviashvili	
<i>Pedagogical Frames for Using the Games</i>	
Лела Рехвиашвили	
<i>Педагогические рамки использования игр в школе</i>	

კიფაიატ მამედოვა .....	213
<i>ფიზიკური კულტურის გავლენა სკოლამდელი ასაკის ბავშვების ქცევასა და ზოგად განვითარებაზე</i>	
Kifayat Mamedova	
<i>The influence of physical activity of preschool aged children on their behavior and general development</i>	
Кифаят Мамедова	
<i>Влияние занятий физической культурой на поведение и общее развитие детей дошкольного возраста</i>	

**ჯანდაცვა – HEALTH CARE – ЗДРАВООХРАНЕНИЕ**

ირმა ცომაია, თამარ გიგოშვილი, დიმიტრი სიჩოვი .....	218
<i>ჯამური (გალენიური) ფიტოპრეპარატები</i>	
Irma Tsomaia, Tamar Gigoshvili, Dmitri Sichov	
<i>Galenic herbal medicinal products</i>	
Ирма Цомаия, Тамар Гигошвили, Дмитрий Сычев	
<i>Сумарные фитопрепараты (галеника)</i>	

ირმა ცომაია, თამარ გიგოშვილი, დიმიტრი სიჩოვი, თამარ გაჯონია .....	224
<i>სამკურნალო წამლო ფორმების კლასიფიკაცია და ბავშვთა პედიატრიული სამკურნალო საშუალებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები</i>	
Irma Tsomaia, Tamar Gigoshvili, Dmitri Sychev, Tamar Ghazhonia	
<i>Classification of medicinal forms, children's pediatric requirements for medical products</i>	
Ирма Цомаия, Тамар Гигошвили, Дмитрий Сычев, Тамар Гаджония	
<i>Классификация лекарственных форм, детские педиатрические требования к медицинской продукции</i>	

ვიოლა ესვანჯია..... 226  
*სამკურნალო-არომატულ-სანელებელი მცენარე კვლიავის (Carum Carvi L)  
გავრცელება და გამოყენება*  
**Viola Esvanjia**  
*Medical - aromatic - spice plant Caraway (Carum Carvi L.) distribution and use.*  
**Виола Есванджия**  
*Ареал распространения и использование лекарственно - пряно - ароматического  
растения тмина (Carum Carvi L.)*

ვიოლა ესვანჯია, თეა აბრამიშვილი..... 230  
*გვირილის (Matricaria recutita) აგრობიოლოგიური თავისებურებანი*  
**Viola Esvanjia, Tea Abramishvili**  
*Agrobiological characteristics of Chamomile (Matricaria recutita)*  
**Виола Есванджия, Теа Абрамишвили**  
*Агробиологические особенности Ромашки аптечной*

**მხატვრული თარგმანი – LITERARY TRANSLATION –  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ПЕРЕВОД**

---

---

ედგარ პო..... 234  
**მ ე რ ე ლ ა**  
*თარგმნი ინგა მორგოშიამ*  
**Edgar Poe**  
*Morella*  
*Translated by Inga Morgoshia*  
**Эдгар По**  
*Морелла*  
*Перевод Инги Моргошия*

**პოეზია – POETRY – ПОЭЗИЯ**

---

---

დავით გაბუნია..... 238  
*სონეტები*  
**David Gabunia**  
*Sonnets*  
**Давид Габуня**  
*Сонеты*

ჟურნალის ელექტრონული ვერსია:  
<http://www.nplg.gov.ge>

E-mail: Tel.: (+ 995 32) 2 30 25 48; (+ 995 32) 2 54 14 49  
[indira@dzagania.com](mailto:indira@dzagania.com) Mob.: (+995 93) 93 20 91  
[irsociety@rambler.ru](mailto:irsociety@rambler.ru)

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალაზე  
პასუხისმგებელია ავტორი.

**Ответственность за содержание публикации  
в журнале несет автор.**

**Authors are solely responsible for the content  
of published materials.**



გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

